

ზურაბ კალატოზიშვილი

# თეატრალური პიესები

ნიკოლოზ ბარათაშვილი

...

სადილი

...

ფარნავაზი და ქუჯი

თბილისი  
2017

ლიტერატურული რედაქტორი	მანანა ბალიაშვილი
დამკაბადონებელი	ლია სულაქველიძე

© ზურაბ კალატოზიშვილი. 2017

# ნიკოლოზ ბარათაშვილი



## მონაწილეები:

ნიკოლოზ ბარათაშვილი – 22 წ.;  
ალექსანდრე ჭავჭავაძე – 53 წ. რუსეთის არმიის გენერალი;  
სალომე ორბელიანი – 44 წ. ალ. ჭავჭავაძის მეუღლე;  
ეკატერინე ჭავჭავაძე – 24 წ. ალ. ჭავჭავაძის შვილი;  
ნინო ჭავჭავაძე – 27 წ. ალ. ჭავჭავაძის შვილი;  
სოფია – 6 წ. ალ. ჭავჭავაძის შვილი;  
ლევან დადიანი – 46 წ. სამეგრელოს მთავარი რუსეთის არმიის  
გენერალი;  
მართა – 40 წ. ლევან დადიანის მეუღლე;  
დავით დადიანი – 26 წ. ლევან დადიანის შვილი. პოლკოვნიკი;  
გრიგოლ ორბელიანი – 35 წ. რუსეთის არმიის კაპიტანი;  
ლევან მელიქიშვილი – 22 წ. 6. ბარათაშვილის მეგობარი;  
ალექსანდრე სულხანიშვილი – 31 წ. 6. ბარათაშვილის  
მეგობარი;  
სახლის მმართველი;

7 ყარაჩოხელი;  
5 კინტო;  
7 ასაკოვანი ქალბატონი – ევროპულ და ქართულ კაბებში;  
7 ასაკოვანი მამაკაცი – ზოგი ჩოხაში, ზოგი – სამხედრო  
მუნდირში;  
მეჯლისზე მოცეკვავე ახალგაზრდა მანდილოსნები – ზოგი  
ევროპულ და ზოგი ქართულ კაბაში;  
მეჯლისზე მოცეკვავე ახალგაზრდა მამაკაცები – ზოგი ევრო-  
პულ ტანისამოსში, ზოგი სამხედრო ოფიცრის მუნდირში.

(პიესის განვითარება იწყება – 1839 წ. ტფილისი)

## I ნაწილი

ისმის დუდუკების მუსიკა „დილის საარი“. ფარდა იხსნება. ყარაჩოხელები ქეიფობენ ორთაჭალის ბალში. სცენის მარჯვენა კუთხეში გაშლილია სახელდახელო სუფრა, დაბალ მაგიდაზე დევს რამდენიმე თაბახი, ორი დოქი და რამდენიმე ფიალა. სცენის უკანა ფარდა თბილისის ხედის ნახატი. სცენაზე ყარაჩოხელები ფეხზე დგანან ღვინის ფიალებით ხელში და ლექს ამბობენ.

I ყარაჩოხელი – „ღვინოს თუ დალევ, ძმაბიჭებში უნდა დალიო  
და ეს ცხოვრება ლამაზებში უნდა გალიო“.

II ყარაჩოხელი – „სჯობს, ფიალას ეფერო და,  
რომ მოკვდები ან დღეს, ან ხვალ,  
სამარისთვის სულერთია,  
ფხიზელი თუ მთვრალი ჩახვალ“.

III ყარაჩოხელი – „გინდ იცოცხლე ასი წელი,  
გინდ სამასი, გინდ ათასი,  
მაინც უნდა გამოკალო წუთისოფლად ყოფნის თასი;  
გინდა იყავ მეფეთ მეფე, გინდა ბაზრის გლახის მსგავსი,  
მაინც უნდა მინად იქცე, დაგედებათ ერთი ფასი“.

IV ყარაჩოხელი –  
„ჩვენს გარდა, ძმაო, ამ ხელადას არავინ დაცლის  
და სიცოცხლესაც ერთ ქეიფში არავინ გაცვლის;  
ის დროც დადგება, ეს მუხთალი წუთისოფელი  
ღვინის კი არა, წყლის დალევას რომ ალარ გვაცლის“.

**V ყარაჩოხელი –**

„ლამაზებმა შემოალონ შენი გულის კარი,  
დვინო შესვი, თორემ მალე შენც წაგიღებს ქარი“.

**ყარაჩოხელთა შეძახილები –** გაიხარეთ! თქვენ დაილოცეთ!  
გაგიმარჯოთ!

**I ყარაჩოხელი** (ა. ხორავას მსგავსი ხმის ტემპრით) – ერთ  
ბრძენსა ჰკითხეს: – რატომ არიან ლარიბები უფრო ალალი ხალხი,  
ვიდრე მდიდრებიო. ბრძენს უთქვამს – აბა, ფანჯარაში გაიხედე,  
რასა ჰედავო?

– ბავშვები თამაშობენო ეზოში, – უპასუხნია კაცსა.  
– ახლა კი სარკეში ჩაიხედე, რას ხედავო?  
– საკუთარ თავსაო.  
– ხედავო! – უთქვამს ბრძენსა. – ფანჯარაც და სარკეც ორივე  
შუშისაგან მზადდება; საკმარისია მინას დაუმატო ცოტაოდენი  
ვერცხლი და უკვე მხოლოდ საკუთარ თავსა ხედავო! (სიცილით).

**VI ყარაჩოხელი** – ვაპ! ეგ რა კარგად უთქვამს.

**VII ყარაჩოხელი** – ასე! ამბობენ კაცმა ფული თუ იშოვა, მერე  
სხვებს უკვე ვეღარ ამჩნევსო.

**I ყარაჩოხელი** – (მარცხნივ გაიხედავს) აბა, ერთი კარგად  
გახედე. ფართონიდან რომ ბატონები გადმობრძანდნენ, ტატო არ  
არის მათ შორის?

**III ყარაჩოხელი** – რომელი ტატო?

**II ყარაჩოხელი** – ჩვენი სული და ხორცი, თავადიშვილი  
ნიკოლოზ ბარათაშვილი, ტატოს რომ ეძახიან.

**IV ყარაჩოხელი** – კი, ჩვენი ტატოა (წინ გადგება), სხვა  
ბატონიშვილებთან ერთად ბრძანდება.

**I ყარაჩოხელი** – ტატოს სთხოვე ჩვენგან, რომ გვიკადრონ და  
მობრძანდნენ ბატონიშვილები ჩვენთან (IV ყარაჩოხელი გადის).

**II ყარაჩოხელი** – (სიტყვას დაადევნებს) უთხარი, პატივი  
დაგვდონ და თითო ჯამი მუკუზანით სუფრა დაგვილოცონ.

(სცენაზე შემოდიან ევროპულად ჩაცმული სამი ახალგაზრდა  
ყარაჩოხელთან ერთად.)

**I ყარაჩოხელი** – (ფეხზე წამოდგება, ხელებს გაშლის, ტატოს  
მიეგებება) – თავადიშვილო, ჩვენო ტატო! მობრანდით თასი  
ღვინით დაილოცეთ! (ლიმილით)

**V ყარაჩოხელი** – (დოქიდან ღვინოს ასხამს ფიალებში) – ზედაშე მუკუტანია, სატრფოს ცრემლივით მოცერიალე.

**VII ყარაჩოხელი** – (ფიალები უჭირავს და ბატონიშვილებს გაუწვდის) ქვევრიდან სისხამ დილითაა ამოღებული და მერცხლების გუნდმა ჩამოგვიტანა დალოცვილი კახეთიდან.

**ტატო** (ლიმილით ჩამოართმევს ფიალას) – გამარჯობათ, ბატონებო, სასიამოვნო პოეტურ განწყობილობაზედ გხედავთ დღეს.

**II ყარაჩოხელი** – უქმე დღეა, ვისვენებთ და საქეიფოდ ორთაჭალის ბალებს მოვაშურეთ, ლექსი და მუზა კი თქვენს პოეტურ კალამს უფრო მონა-მორჩილობს, თავადო.

**ტატო** (გაიცინებს) – გაიცანით ჩემი ერთგული მეგობრები, ბატონები ლევან მელიქიშვილი და ალექსანდრე სულხანიშვილი.

(მელიქიშვილი და სულხანიშვილი ოდნავ თავს დაუკრავენ და მიესალმებიან) – გამარჯობათ, ბატონებო!

**V ყარაჩოხელი** – გამარჯვება თან გდევდეთ მუდამდღე.

**ტატო** – უფალმა ლერთმა დაგილოცოთ მშრომელი კაცის მარჯვენა, თქვენითაა, რომ სულდგმულობს და ცოცხლობს ჩვენი ქვეყანა (მოსვამს).

**VI ყარაჩოხელი** – გაიხარე, თავადო (სხვებიც – გაიხარე! გაამოს!)

სულხანიშვილი და მელიქიშვილი (ფიალებს ასწევენ) თქვენს მარჯვენას გაუმარჯოს! გაუმარჯოს! (მოსვამენ და ფიალებს დაუბრუნებენ).

**VII ყარაჩოხელი** – იცოცხლეთ ბაოტნებო! (სხვებიც ერთხმად – იცოცხლეთ! გაგიმარჯოთ!)

**I ყარაჩოხელი** – რამ შეგანუხათ, თავადნო, რომ ორთაჭალის ბალებში მობრძანებულხართ, თუ სასეირნოდ ან მოსალხენად გაქვთ დრო, გვიკადრეთ და ჩვენს ქეითს შემოუერთდით.

**II ყარაჩოხელი** – სუფრაზე მცირედი გვაქვს, მაგრამ გული გვაქვს დიდი და ნაღდი.

**ტატო** (მიმართავს I ყარაჩოხელს) – გმადლობ, ჩემო გიორგი. თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი მობრძანდება აქ და ბრწყინვალე მანდილოსნებს უნდა შევხვდეთ. (ყარაჩოხელთა შეძახილები: – ოჟ, ოჟ!).

**III ყარაჩოხელი** – სამოთხის ტურფა მტრედები...

**IV ყარაჩოხელი** – მშვენიერნი ხოხობ-ვარდნი....

I ყარაჩოხელი (მიუბრუნდება ყარაჩოხელებს) ჲა, ჲა! კი ნუ გათავსედდებით! (შემდეგ ისევ ტატოს მიმართავს) – ტატო, შენს ლექსებს რაღაც ახლებური სურნელი მოსდევს, აი, ისეთი, სისხლს რომ აგიდულებს კაცს ძარღვებში. წაგვიკითხე რამე შენი ლექსებიდან, გთხოვთ, თავადო.

II ყარაჩოხელი – ამაზე დიდი ნეტარება რაღა იქნება ჩვენთვის (სხვებიც – გთხოვთ! გთხოვთ, თავადო!).

მელიქიშვილი – წაგვიკითხე, ნიკოლოზ, გთხოვთ.

სულხანიშვილი – დაგვატკბე შენი პოეზიით.

ტატო – კარგით, ბატონებო, ნება თქვენია.

### „ჩემს ვარსკვლავს“

რად მრისხანებ, ჩემის ბედის ვარსკვლავო?  
მაინც გეტრფი, თუმცა ხშირადა მკლავო;  
შეეთვისა სული შენსა მოლრუბლვას,  
შეეჩვია გული სევდითა კრთოლვას!

ნუ გგონია, ბედსა მით დამიმწარებ,  
რომ უეცრად ბუქით ნისლს მოიფარებ;  
შენ არ იცი, რა სიამეს მომაგებ,  
როს მიბუუტვით ნისლით გამომინათებ.

რა სახითაც გინდა შენ მე მეჩვენო,  
მაინც გიცნობ, მშვენიერის ცის მთენო;  
ნათელი ხარ შენ ნათელის სულისა,  
მალხინებელ დაბინდულის გულისა!

მოციმციმდი, მოდი, გამომედარე,  
შენგან ბნელი გული გამომიდარე;  
კვლავ ციური ცეცხლი გარმოისარე,  
ნაპერწკალნი ეშნისა მომაყარე.

მელიქიშვილი (აღტაცებით) – ჩინებულია, ჩინებული!

სულხანიშვილი – მშვენიერი ლექსია, ნიკოლოზ, მშვენიერი.

III ყარაჩოხელი – ჩაინვა და ჩაიფერფლა გული და სული.

IV ყარაჩოხელი – ვააჲ, ეს რა სიტყვებია! გულის მურაზი აგეშლება კაცსა.

სცენის მარცხენა კუთხეში გამოჩნდებიან ხუთი კინტო და სახლის მმართველი. მუსიკის ხმა წყდება.

სახლის მმართველი (მიმართავს კინტოებს) – აბა, ლამაზად გააწყევთ ყველაფერი. მაგიდა და სკამები იქ დადგით პუშკინისა და გრიბოედოვის ტფილისში ჩამოსვლის დროს სადაც რომ სუფრა იშლებოდა ხოლმე (და ტროსტს სცენის შუაგულისაკენ გაიშვერს).

I კინტო – ამხელა ბალია, შე დალოცვილო, სხვაგან რა, ადგილი აღარ არის? სხვაგან გავშლით რაღა?

სახლის მმართველი – გააკეთეთ რასაც გეუბნებით! იმ ადგილიდან კარგადა სჩანს ტფილისის მშვენიერი ხედი – (წყიპურტებით მტვერს მოიშორებს ევროპული კოსტიუმის სამხრეებიდან).

II კინტო – ხაზიან! ის ადგილი დაკავებულია და რა ვქნათ? (ხელს ყარაჩოხელებისაკენ გაიშვერს).

სახლის მმართველი – როგორ თუ რა უნდა ქნათ? მიდით და გაყარეთ ის ხალხი.

III კინტო (დაცინვით) – ვააა! რა ადვილი სათქმელია – „მიდით და გაყარეთ“.

IV კინტო – უფროსო! ის ხალხი ყარაჩოხელები არიან.

სახლის მმართველი – ყარაჩოხელები არ ვიცი მე, მიდით და გამოათავისუფლეთ პუშკინისა და გრიბოედოვის ყოფილი ადგილი; აბა, სწრაფად, გაინძერით! (კინტოები ერთ-ერთს ხელს წაკრავენ და ყარაჩოხელებისაკენ მიაგდებენ).

V კინტო (მიმართავს ყარაჩოხელებს) – ბოდიში მამითხოვნია და, ეს ადგილი უნდა დაგვიცალოოთ...

I ყარაჩოხელი – ვაჲ! დაგიცალოოთ! ვითომდა, რათაო?

V კინტო – ხაზეინმა თქვა, პუშკინი და გრიბაედოვი მობრანდებიანო...

II ყარაჩოხელი (სიცილით) – ვინაო, ვინ მობრძანდებაო?

II კინტო (ხელს გაკრავს V კინტოს) ტუტუც! რაებსა როშავ! (მიუბრუნდება ყარაჩოხელებს) – კნიაუნები მობრძანდებიან, ჭავჭავაძისანი. ჩვენმა ხაზეინმა თქვა, აქედანა ქალაქი კარგადა სჩანსო და მათი მოსასვენებელი ადგილიც აქ მოაწყვეთო.

III ყარაჩოხელი (დაცინვით) – თქვენი ხაზეინი ვინდა ჯანდაბაა?

II კინტო – როგორ თუ ჯანდაბა?

**III კინტო** – ჯანდაბა კი არა, „ვაშე ბლოლოროდიე დომო-უპრავლიაუში, პროშუ პოკორნი“, მააშ! (თოთს მაღლა ასწევს).

**IV ყარაჩოხელი** – ვახ, ვახ, დომოუპრავლიაუში, თორემ ეგეც ბაგრატიონ-მუხრანსკი ან ხელმწიფის ჩინოვნიკი არ იყოს (სიცილით. ყარაჩოხელებიც გაიცინებენ).

**კინტოები** – ჰა, ჰაა! ვაი! წამოიჭიმებიან.

**V კინტო** (დამუქრებით) – ყველაფერს ვეტყვი უფროსსა და ეხლავე გაჩვენებთ სეირსა, მააშ, ისეთი შფოთი იცის, რომა...

**V ყარაჩოხელი** – ჰა! ჰაა! აბა, წყნარად იყავით.

**VI ყარაჩოხელი** – აი, ყურებზე ხახვიც არ დაგვაჭრას, რაღა.

**ტატო** (წინ წადგება და კინტოებს ეტყვის სიცილით) – კარგით, კარგით. თქვენს უფროსს უთხარით, რომ თავად ნიკოლოზ ბარათაშვილს სურს თქვენთან საუბარი.

**კინტოები** (სახლის მმართველთან მიირბენენ და ყაყანით და ყვირილით ეუბნებიან) – ყარაჩოხელებმა ასე გვითხრეს, თქვენი ხაზეინი ვინ ჯანდაბააო! ყურებზე ხახვიც არ დაგვაჭრასო!

**სახლის მმართველი** – რაო? ჯანდაბაო? ხახვიო? როგორ გაბედეს!

**კინტოები** – ჰო, ჰო, ჯანდაბაო.

**I კინტო** – კიდევ, თავად ნიკოლოზ ბარათაშვილს სურს თქვენ-თან საუბარი.

**სახლის მმართველი** – მაქედან დაგეწყოთ, თქვე ბრიყვებო (და გაემართება სცენის ცენტრისაკენ, სადაც ტატო, მელიქიშვილი და სულხანიშვილი გადაინაცვლებენ).

**სახლის მმართველი** (ქუდს მოიხდის, თავის დაკვრით მიე-სალმება) – ბატონებო! თავადი ჭავჭავაძის სასახლის დომამაიორი. (მაიორდომო)

**ტატო** (ლიმილით) – გამარჯობათ, პატივი გვაქვს და ჩვენც სწორედ ჭავჭავაძის სახლეულის მობრძანებას ველოდებით, შეგი-ძლიათ მოაწყოთ აქაურობა. (სახლის მმართველი თავს დაუკრავს და კინტოებისაკენ გაემართება, თან ხელით ანიშნებს გააწყვეთ ადგილით და მათთან ერთად გადის სცენიდან.)

**მელიქიშვილი** – რატომაა, რომ ამხელა განსხვავებაა ყარაჩოხელებსა და კინტოებს შორის?

**სულხანიშვილი** – ამ კითხვას თვით ყარაჩოხელებმა უპასუხონ.

**ტატო** (ლიმილით მიმართავს ყარაჩოხელებს) – საინტერესო შეკითხვაა, ბატონებო.

**II ყარაჩოხელი** – სხვაობა? ომ! სხვაობა დიდია. ყარაჩოხელს სამართლიანი, კაცური კაცის სახელი აქვს ამ ქვეყანაზე. მის სიტყვას ყოველთვის ფასი აქვს. არასოდეს ტყუილს არ იტყვის. მეგობარს ყოველთვის მხარში უდგას და არ უმტყუნებს. მხოლოდ თავისი მარჯვენის შრომით ცხოვრობს და ირჩენს თავს. გაჭირვებულსა და ობოლს კი დახმარების ხელს გაუწვდის.

ამ დროს კულისებიდან ისევ შემოვლენ კინტოები სახლის მმართველთან ერთად და სცენის ბოლოში გამწკრივდებიან, ზოგს კალათები უჭირავთ, ზოგს თეთრი ტილოთი მოჩარდახებულ-გადაფარებული პატარა სკამი – ტაბურეტები იღლიებში, ერთ კინტოს თავზე შეუდგამს პატარა მრგვალი მაგიდა, რომელსაც ორივე ხელით ჩასჭიდებია.

**III ყარაჩოხელი** (ხელს გაიშვერს კინტოებისაკენ და სიცილით ამბობს) – ნახეთ ერთი, რასა ჰგვანან. კინტოს, ვერ გაიგებ, რა ჯურისა და რა ჯიშის ხალხია. მატყუარა, ქლესა და მშიშარაა. ალებ-მიცემობით, მოტყუებითა და მოპარვით ირჩენენ თავს. უნინ, ადრე ქურდობაზე და მოპარვაზე ხელს აჭრიდნენ კაცს! ამაზე მეტი სირცევილი ჩვენში არ არსებობდა. ეხლა კი ესენი მაიმუნობითა და გაიძვერობით ირჩენენ თავს.

**კინტოების წამოძახილები** – ვაი! ეს რეებსა ამბობენ ჩვენზე! ვაა, კაცო!

**III და IV ყარაჩოხელი** – ჰა! ჰაა! აბა, თქვენი ხმა არ გავიგოთ!

**I ყარაჩოხელი** – კარგით, კარგით, ბიჭებო, ისედაც ცოდნონ არიან ეგენი, რომ ამ ქვეყანას კინტოებად და ტაკიმასხარებად მოევლინენ. ეგენიც ადამიანები არიან (გასძახებს კინტოებს) დადგით ეგ ყველაფერი და მოდით აქეთ, აფსუსია გაფუჭება, ერთი ეს თაბახები აიღეთ და ხორცი გაინაწილეთ, თორემ ლანდი გაგდით ფერდებში.

კინტოები იქვე, კუთხის ბოლოში, ისევ დადგამენ ყველაფერს და სუფრისაკენ გაინევენ, მეხუთე კინტო კი თავზე მაგიდაშედგ-მული წამოვა ყარაჩოხელებიაკენ. ყარაჩოხელები სიცილს დაიწყებენ.

**VI ყარაჩოხელი** (ხელს გაშლის სიცილით) – – ეს ვინა ყოფილა, ვაა...  
ვაა...

**VII ყარაჩოხელი** (სიცილით) – დადგი მაგიდა, შე ბემურაზო...  
(კინტოები სუფრასთან მივლენ და თაბახს აიღებენ. დოქტე  
მიანიშნებს ერთ-ერთი კინტო. ყარაჩოხელიც ხელით ანიშნებს  
ნაიღეო).

**I ყარაჩოხელი** – ჩემო ტატო, გოგირდის აბანოებში მივდივართ  
ეხლა და თქვენც ხომ არ წამობრძანდებით?! ხვალ ისევ შრომა  
გველის და ჯანი უნდა გავიკაუთ!

**ტატო** – არა, არა, გიორგი, თავად ალექსანდრეს ქალბატონებს  
უნდა დაველოდოთ. შეთანხმებულები ვართ.

**I ყარაჩოხელი** – კარგი, აბა, ჩემო ტატო, შენი საქმისა შენ  
იცი (ისმის მუსიკა ბალდადური. ყარაჩოხელები ბალდადებს გაშ-  
ლიან და ნელ-ნელა ცეკვით სცენაზე წახევარმთვარესავით  
გაიშლებიან).

**II ყარაჩოხელი** – აბა, წასვლისას ერთი თქვენი კინტაური  
დაგვანახეთ (შესძახებს)

**III ყარაჩოხელი** – აბა, წავიდაა! შენ დაუკარ! (ისმის კინტაურის  
მუსიკა. სცენის შუაში კინტოები ცეკვავენ კინტაურს თავზე  
ბოთლის შედგმითა და ბალდადიდან ჭიქის ალებით).

**IV ყარაჩოხელი** (ცეკვის დამთავრების შემდეგ) – აბა, წავედით  
აბანში!

**I ყარაჩოხელი** (მიმართავს VII ყარაჩოხელს) – გოგლა! შენს  
გახარებას, ერთი დანინაურდი და მექისე ჰასანას უთხარი  
შეამზადოს იქაურობა. გადაეცი, ყარაჩოხელები კაი გუნდებაზე,  
კარგ ხასიათზე არიან, გოგირდის აბანოში მოდიან და ერთი  
შენებურად კარგი მაგარი შეზელვა უნდათო.

**II ყარაჩოხელი** (მიაძახებს) – უთხარი, ბატკანი და ტიკი ლვინო  
ჩვენზეა.

**I ყარაჩოხელი** (ხელის აწევით) – მშვიდობით, ბატონებო,  
მშვიდობით! (ყარაჩოხელები წამოიწყებენ სიმღერას „ორთავ  
თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენა“ და ზოგიერთი  
ერთმანეთის მხარზე ხელდადებულნი სცენიდან გადიან).

**ტატო** – მშვიდობით, მშვიდობით, ცოტას ჩვენც გამოგაცილებთ.  
ქალბატონებს ბალის შემოსასვლელში დავხვდებით.

გადიან სცენიდან ყარაჩოხელებთან ერთად. სცენაზე რჩებიან  
კინტოები და სახლის მმართველი.

**სახლის მმართველი** – ჰაიტ! თქვე უსაქმურებო. გამიმართეს აქ ტაშ-ფანდური. გააწყვეთ სწრაფად ყველაფერი, სადაცაა კნეინები მობრძანდებიან.

კინტოები სცენის შუაში მაგიდას დადგამენ და თეთრ გადასაფარებელს გადააფარებენ. მაგიდაზე დადგამენ ერთ თაბახს ხილით, რამდენიმე სასმისს და ორ პატარა გრაფინს გამაგრილებელი ფერადი სასმელით. მაგიდას გარშემო თეთრი ტილოთი მოჩარდახებულ პატარა ტაბურეტებს შემოუწყობენ. კინტოები თან საუბრობენ.

**III კინტო** – ამბობენ, ახალგაზრდა კნიაზსა, ბარათაშვილსა, ჩვენი კნეინას ეკატერინეს გულის მურაზი აქვსო, მააშ.

**II კინტო** – გულის მურაზიო? ვააპ! ვააპ!

**V კინტო** – პუმკინი და გრიბაედოვი ვინდა არიან?

**I კინტო** – ჩუუ! დაბალ ხმაზე, ხაზეინმა არ გაგვიგოს. ეგენი ისინი არიან, ლექსებსა რომ სწერდნენ, აი, რომ სთხზამდნენ რა.

**III კინტო** – ლექსებსა? მერე რაა. ლექსებსა მეცა ვთხზამ; აი, მაგალითად: „ავაგდე კოჭი…“

**I კინტო** – ჰა, ჰა! ეგეთები არ იყოს, ვააი! არ გამაბრაზო, თორემ შემოგიარე მაგ სიფთაზე. მასეთ ლექსებსა კი არა, შე ბრიყვო, შენა, ისეთ ლექსებსა სწერდნენ ეგენი, ისეთ ლექსებსა, რომა რუსთა მეფეს რომ წაუკითხავს, გამწყრალა მათზე; ისინი პეტერბურლიდან მოუშორებია და ტფილისში გადმოაგზავნინა, მააშ! ჩუმად იმასაც ამბობენ, მერე მოაკვლევინა კიდეცაო.

**II კინტო** – ვააა! კაი, კაცო, ისეთი რა დაწერეს მაგ მამაცხონებულებმა. მეტეხის ციხეში ჩაესვათ მერე, რაღასა ჰკულამდნენ, კაცო.

**სახლის მმართველი** – თქვენა რეებსა როშავთ! „პრეკრატიტ რაზგავორჩიკი“. ხმა არ გავიგო თქვენი! ხმა, კრინტი!!!

**IV კინტო** – კნეინები როდის მობრძანდებიან?

**სახლის მმართველი** – „კაკ ტოლკა, ტაკ სრაზუ“, თვალი გეჭიროთ ყველაფერზე; ბუზმა და პეპელამაც კი არ უნდა გადმოიფრინოს აქეთ!

**V კინტო** – პეპლებსა ვდიოთ, უფროსო?

**სახლის მმართველი** – „ბალვან! მალჩატ!“ ხმა არ ამოილოთ! დამუნჯდით!

**III კინტო** – მუნჯები ვართ, უფროსო, მუნჯები, ხმას არ ამოვილებთ.

**სახლის მმართველი** – გაისწორეთ ყველაფერი, ერთად დადექით, დამენახეთ (კინტოები ერთმანეთის გვერდით გამწკრივდებიან. მეზუთე კინტოს ორი მოპარული ვაშლი აქეთ-იქით უბეში დაუმალავს. სახლის მმართველი მიაჩერდება კინტოს ათქვირებულ მკერდს. ტროსტით გულსაბნევ ხალათს გადაუწევს, ჯერ ერთ ვაშლს ამოიღებს, შემდეგ მეორეს და იყვირებს) – „შტო ზა ბეზობრაზიე“. დავბრუნდებით სახლში და დიდ მარხვას მოგიწყობ, შე ვამლიპარია (თან ტროსტს დაჰკრავს თავში მეზუთე კინტოს). – გაეთრიეთ იქით სუყველა, კუთხეში დადექით და მაგიდასთან მიახლოვებული არ დაგინახოთ (კინტოები სცენის მარჯვენა კუთხისაკენ გაიქცევიან და თავიანთ კალათებთან დადგებიან). – „მერზავცი“ (მიაყვირებს კინტოებს და ხელში დაჭერილ ვაშლებს ცხვირთან მიიტანს ნელ-ნელა დასაყნოსად. უცემ დამანჭული სახით და ამრეზილი ტუჩებით თავს უკან გასწევს სახლის მმართველი და მეზუთე კინტოს გასძახებს), – შე უპატრონო, მოპარულ თევზსაც უბეში ინახავ? ლოგინში ცოლთან როგორა წვები მერე ასეთი აყროლებული?

**V კინტო** – ცოლი არ მყავს ჯერ, ბეღელში მძინავს, სხვენში.

**სახლის მმართველი** – სწორედ ბეღელშია შენი ადგილი, მაგსუნით თავვებს დაწამლავ და დააფრთხობ.

(ფრთხილად მაგიდას მიუახლოვდება, ვაშლებს დააორთქდებს სუფრის კუთხის ნაჭერით ვაშლებს გადაუსმევს, გააპრიალებს მზეზე გახედავს ვაშლებს, გაბრაზებით შეხედავს ისევ კინტოს და წამოიძახებს – „ვარვარ“, შემდეგ კი დიდი რუდუნებით ვაშლებს ხონჩაზე დააწყობს.

ისმის ქალებისა და მამაკაცთა სიცილის ხმა, სახლის მმართველი წელში გაიმართება და მიეგებება სტუმრებს. სცენაზე შემოდიან სოფიო, ეკატერინე, ნინო და სალომე. მათ აქეთ-იქიდან ამოსდგომიან ტატო და მისი მეგობრები).

**სახლის მმართველი** (თავის დაკვრით) – მობრძანდით (ზელით ანიშნებს).

**სალომე** – რა მშვენიერი საღამოა. დიდად მოხარულები ვართ, რომ მიიღეთ ჩვენი მოწვევა და დღეს აქ მობრძანდით, ბატონებო.

(მანდილოსნები სკამებზე განთავსდებიან).

**ტატო** – რას ბრძანებთ, ქალბატონო, პირიქით, მოხარულები ჩვენ გახლავართ, რომ პატივი დაგვდეთ და უფლება მოგვეცით, რათა თანხლება გაგიწიოთ. (საზაფხულო პატარა ქოლგებს ჩამოართმევს სალომეს და ნინოს და სახლის მმართველს გადასცემს).

**ნინო** – მართლაც მოხარულნი ვართ თქვენის ხილვით, ჩვენო ძვირფასო მეგობრებო (მუქი ფერის ევროპულ კაბას შეისწორებს დაჯდომისას).

**მელიქიშვილი** – პატივისცემა და სიამოვნება ჩვენია, ქალბატონებო, რომ ნება გვიბოძეთ და შემოგიერთდით (ოდნავ თავის დაკვრით). თავადი ალექსანდრე ხომ კარგად ბრძანდება?

**სალომე** – ალექსანდრე, მისი აღმატებულება მეფისნაცვალთან, გოლოვინთან ბრძანდება თათბირზე; ამ ბოლო დროს სულ მოუცლელია ჩემი მეუღლე.

**სულხანიშვილი** – ამჟამად რუსეთისა და თურქეთის იმპერიებს შორის რთული, დაძაბული ვითარებაა და, რა თქმა უნდა, ქალბატონო, დიდად დაკავებული იქნება ბატონი ალექსანდრე.

**ნინო** – ეჰ, როდის მოიცლის მამა; ტფილისში აუტანელი სიცრეები დადგა და ჯერჯერობით ვერა და ვერ მოვახერხეთ, რომ წინანდალს გადავიდეთ საზაფხულოდ.

**ეკატერინე** – სიცხის გამო სასახლეში გაჩერება შეუძლებელია და ოდნავ რომ სული მოვითქვათ, აქაურობას მოვაკითხეთ (ხელებიდან თეთრი ფერის ხელთათმანებს გაიძრობს, ხონჩიდან წყვილ ბალს აიღებს და სიცილით სოფიას საყურებად დაკიდებს) – რა მშვენიერია! (ყველა გაიცინებს).

**სალომე** (მელიქიშვილს) – თავადო ლევან, ძალზედ უჩვეულოდ გამოიყურებით ევროპულ ტანისამოსში, დიდი ხანია ასე ჩაცმული არ გვინახისართ.

**მელიქიშვილი** – მართალი ბრძანდებით, ქალბატონო, ორი კვირით ვარ მხოლოდ ტფილისში შვებულებით ჩამოსული და აქაურ-მა სიცხემ სამხედრო მუნდირი და ჩემა, სამოქალაქო გრილი სა-მოსელით შემიცვალა, სიმართლე გითხრათ, გადავეჩვიე და ცოტა უხერხულადაც კი ვგრძნობ თავს, მაგრამ ჩემს ბავშვობის მეგობ-რებთან, ტატოსთან და ალექსანდრესთან ერთად ასე ვისურვე თქვენთან შეხვედრა.

**სალომე** (ლიმილით) – ძალიან კარგი. თქვენ რას მეტყვით ახალს, ჩემო ტატო, თქვენს მომავალზე რას ფიქრობთ, თითქოსდა, სამსახურის გამოცვლაზე ფიქრობდით, ასე მაქვს მე გაგებული.

**ტატო – ოპ!** ტფილისის უზენაესი სასამართლოს კანცელარიაში, უბრალო მოხელედ მუშაობაზე მოსაპეზრებელი და ამაზრზენი, მე მგონი, სხვა სამსახური არ არსებობს. თვალნათლივ როდესაც ხედავ სასამართლოს კორუმპირებულ რუს ჩინოვნიკთა გულგრილ ბიუროკრატიას, რომლებიც შენი ქვეყნის ინტერესების საზიანოდ მოქმედებენ. ნამდვილად სხვა სამსახურის გამოცვლა მინდა, თორემ კანცელარიაში სული მეხუთება, გაუსაძლისია იქ ყოფნა და მუშაობა.

**მელიქიშვილი** (ლიმილით) – ქართველ თავად-აზნაურთა საზოგადოების დაუინებული თხოვნის შედეგად, ტატოს მე ვთავაზობ სამსახურს; ნახჭევანის მაზრაში ჩემთან იქნება მაზრის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე, მაგრამ ყოყმანობს, იქნებ ისევ ჯერ ტფილისში ვიშოვო რაიმე სხვა სამსახურიო, ვერ ელევა აქაურიობას.

**ტატო – (მოწყენით)** – ეჰ, ასეა. ჩემი მოშორება უნდათ თბილისიდან.

**ეკატერინე –** ტატო, მერედა, როგორ მოგიხდებოდა იარაღ-ასხმული სამხედრო მუნდირი (სიცილით). გახსოვს, რამდენიმე წლის წინ, იმპერატორი ნიკოლოზ I როდესაც საქართველოში იყო ჩამოსული; შენ მას დაჲყვებოდი ცხენზე შემართული ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ქართველთა ამალასთან ერთად. როდესაც შენი თავი იმპერატორს წარუდგინეს და უთხრეს, ამასაც თქვენ-სავით ნიკოლოზი ჰქვიაო, როგორ გითხრა მაშინ იმპერატორმა – „შენ ჩემი ორდინარეცი ხარო“.

პეტერბურგში ყოფნისას მე იქ მიამბეს, რომ საქართველოდან რუსეთში დაბრუნებულ იმპერატორს იმდენად მოსწონებია ქართველი არისტოკრატების მიღება, რომ ნიკოლოზი თურმე აღფრთვისანებითა და გაკვირვებით ამბობდა: – საქართველოში ისე-თი მიღება მომიწყვეს, როგორსაც მხოლოდ მოსკოვში მიწყობენო.

**ტატო –** სჯობდა, იმპერატორი სულ არ ჩამოსულიყო საქართველოში; მაშინ გამიუბედურეს ჩემი ახლო ნათესავი და სულიერი და, მაიკო ორბელიანი, რომელიც იმ დროს მხოლოდ 19 წლისა იყო.

**მელიქიშვილი –** არ გინდა, ტატო, გთხოვ, ამ თემაზე ნუ ვილაპარაკებთ. მეც უდიდესი ტკივილი მივიღე ჩემი სატრფოს გაუბედურებით. იმ დროს მე ნახჭევანში ვიმყოფებოდი და იქ შევიტყვე ეგ გულდასამძიმებელი ამბავი.

**ტატო** – ბოდიშს მოვითხოვ შენთან, ჩემი ლევან, და სათქმელი უნდა ვთქვა, თორებ ერთ დღეს, ალბათ, დარდი და ბოლმა დამახრჩობს.

**ნინო** – სოფია, საყვარელო, საქანელაზე იქანავე, ოლონდ, ლვთის გულისათვის, გთხოვ, ფრთხილად იყავი.

(სალომე სახლის მმართველს ანიშნებს, ბავშვი გაიყვანეო).

**სახლის მმართველი** – დიდი ყურადღებით მოვეპყრობით ქალ-ბატონი (სოფიას კინტოებისაკენ წაიყვანს).

**სოფია (მღერის)** – საქანელაზე მივდივართ...

(სოფია კინტოებთან ერთად სცენიდან გავა. სახლის მმართველი სცენის ბოლოში განთავსდება, რომ სოფიას თვალი ადევნოს).

**სალომე** – მოგეხსენებათ, რომ მე ამ გულმოსაკლავი ამბავის დიდი წინააღმდეგი ვიყავი. როდესაც მე ეს ამბავი შევიტყვე, უკვე ძალიან გვიანი იყო. აქ ყველა შინაურები ვართ და სრული სიმართლე უნდა ითქვას. თქვენ ყველამ კარგად უწყით, რომ სწორედ იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა დასაჯა 1832 წლის აჯანყებულები. მაშინდელი საქართველოს საუკეთესო შვილები და ლირსეული საზოგადოება, სუყველა ერთად საქართველოდან გადასახლებულნი იყვნენ, მათ შორის, ჩემი მეუღლეც.

1837 წელს, იმპერატორის საქართველოში ჩამოსვლისას, მას მაშინდელმა თავადაზნაურებმა გრანდიოზული დახვედრა მოუწყეს.

ჩამოსვლის მეოთხე დღეს ნიკოლოზ I-ს დიდი მეჯლისი გაუმართეს, სადაც თავმოყრილი იყო ქართველი არისტოკრატიული საზოგადოების უმაღლესი წარმომადგენლობა. მათ შორის, მანდილოსნები, რომლებიც თავიანთი სილამაზით ბრწყინავდნენ.

მეჯლისზე ურცხვ ნიკოლოზს სამი ქალი მოეწონა; ჩემი დაქვრივებული ნინო, გრაფი სიმონოვიჩის ასული და მაიკო ორბელიანი.

ჩვენ მალევე გავერიდეთ მეჯლისს. იმპერატორისაგან ძლიერ დაშინებული იყო მაშინდელი თავადაზნაურობა. ისინი ის ძლიერი ადამიანები არ იყვნენ, რომლებსაც სამშობლოსათვის უძგერდათ გული. ძლიერი და ჭეშმარიტი ქართველი მამულიშვილები გადასახლებულები იყვნენ. დარჩენილი და გადარჩენილები კი საკუთარ ინტერესებზე ფიქრობდნენ, მათ მხოლოდ ჩინ-მედლებზე

და მაღალ თანამდებობებზე ეჭირათ თვალი.

ულამაზესი, მაგრამ უმამოდ დარჩენილი და დაუცველი, ყველასგან განწირული 19 წლის მაიკო ორბელიანი, ულიორსმა ქართველებმა იმპერატორს საძინებელში მიჰვარეს მეჯლისის დასრულების შემდეგ.

იმპერატორი შემდეგ წავიდა, მაიკო კი სამუდამოდ შეურაცხყოფილი დარჩა.

(მელიქიშვილი მწარედ ამოიოხრებს).

**სალომე** – რა იყო ეს? – ადამიანების ულიორსი საქციელი, თუ ქართველი ქალის თავგანწირვა ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ, რომელიც მზად იყო დაეცვა სამშობლოს ინტერესები? – ალბათ, ორივე.

**ნინო** (მოწყენით და ცხვირსახოცით ცრემლს შეიშრობს) – ეჲ, ჩემო მაიკო, შენი თავგანწირვა უშედეგო აღმოჩნდა.

**ეკატერინე** – დიდად სამწუხაროა, რომ დღესდღეობით მანდილოსნებს არ ეკუთვნით თავიანთი ბედ-ილბლის მართვა და ქვეყნის ინტერესებზეა დამოკიდებული მათი ცხოვრება.

**სალომე** (ხელს დაადებს ეკატერინეს ხელზე) – საკმარისია; კმარა ამ თემაზე საუბარი. თქვენ რას ფიქრობთ თქვენს მომავალზე, ბატონი ალექსანდრე? (სულხანიშვილს შეხედავს).

**სულხანიშვილი** – მე მცირედითაც დავკამაყოფილდები.

**სალომე** – ნუთუ ამბიციები არა გაქვთ, რომ იმპერატორის სამსახურში ჩადგეთ და დიდი სამხედრო კარიერა გაიკეთოთ, ჯერ ძალიან ახალგაზრდა ბრძანდებით, ენერგიით სავსე და მომავალში თქვენთვის გენერლის ჩინის მიღწევა რუსეთის ხელმწიფის ჯარში დიდად რთული საქმე არ უნდა იყოს.

**სულხანიშვილი** – ალექსანდრე მაკედონელის საფლავზე ასეთი ეპითაპია ყოფილა: „ეს საფლავი საკმარისი აღმოჩნდა მისთვის, ვისაც არ ყოფნიდა მთელი სამყარო“.

**სალომე** – ესეც მართალია, რა გაეწყობა.

**სულხანიშვილი** – ჩემი ერისათვის სამსახურის გაწევა, მე ვფიქრობ, სხვანაირადაც არის შესაძლებელი. მე, როგორც მთარგმნელი, კალიგრაფი და ლიტერატორი, ვფიქრობ, რომ ქართველი ერის ლეთარგიული ძილის მდგომარეობიდან გამოყვანა შესაძლებელია მწიგნობრობითა და განათლებით, მთელი ერის განსწავლულობით, რადგანაც მე მიმაჩნია, რომ სრულიადაც არ

## ბურიად ჟალაშვილი - თეატრისტი პეტერი

არის საკმარისი ქვეყნისათვის და ერისათვის, ნარჩინებული არის-ტოკრატისა და ელიტის სამსახურებრივი მოვალეობის მაღალი კარიერისტული ჩინების მიღწევა მისი უდიდებულესობის საიმპერატორო ჯარში.

ქალბატონებო, იმედია, არ მიწყენთ ჩემი შეხედულების გაზიარებას თქვენდამი მოვალეობის შესახებ, თუ როგორი სამსახურია საჭირო საკუთარი ერისა და ქვეყნის წინაშე.

**სალომე** – არა, არა, რას ბრძანებთ! ფრიად საინტერესო აზრს მოგვახსენებთ.

(სცენაზე სოფია შემოირჩენს და მაგიდისაკენ გაეშურება. უკან სახლის მმართველი მოჰყვება).

**სოფია** – ნახეთ, რა ლამაზი საყურეები მაქვს. ნინო, შეხედე ჩემს წითელ საყურეებს.

**ნინო** (გაილიმებს) – კი, ძალიან გშვენის საყურეები (შემდეგ ტატოს მიმართავს) ტატო, გთხოვთ, ნაგვიკითხე რაიმე ლექსი შენი პოეზიიდან.

**ტატო** – ლვის გულისათვის, ნუ განმირისხდებით, ცოტა თამამი ლექსი გამახსენა პატარა სოფიას საყურემ. თუ ნებას დამრთავთ...

**ეკატერინე** – ტატო, ჩვენ ბავშვობისდროინდელი ერთული მეგობრები ვართ. ყველას გულწრფელად გვიყვარხართ, ნუ მოგერიდებათ, ნაგვიკითხე ლექსი, გთხოვთ.

**ტატო** (შეხედავს სალომეს) – ნებას მრთავთ?

**სალომე** (თბილად და ტკბილად) – რა თქმა უნდა, ჩემო ტატო, გთხოვთ! (გაილიმებს).

**ტატო** (შეხედავს ეკატერინეს) –

### **„საყურე“**

ვითა პეპელა

არხევს ნელ-ნელა

სპეტაკს შრომანას, ლამაზად ახრილს,

ასე საყურე,

უცხო საყურე,

ეთამაშება თავისა აჩრდილს.

ნეტავი იმას,

ვინც თავის სუნთქვას  
 შენსა ჩრდილშია მოიბრუნებდეს!  
 შენის შერხევით,  
 სიო-მობერვით  
 გულისა სიცხეს განიგრილებდეს!“  
 ჰოვ, საყურეო,  
 გრძნებით ამრევო,  
 ვინ ბაგე შენს ქვეშ დაიტებარუნოს?  
 მუნ უკვდავების  
 შარბათი ვინ სვის?  
 ვინ სული თვისი ზედ დაგაკონოს?

(ლექსის კითხვისას ფონად ისმის შოპენის ნოქტიურნი, №2, op. 27).

**ეკატერინე** (ლექსის კითხვისას თავს დახრის. კითხვის დამ-  
 თავრებისას მარაოს გაინიავებს და ხმადაბლა წარმოთქვამს) –  
 აპ!

**სულხანიშვილი** – ქართულ პოეზიაში ცოტაა ასეთი  
 მარგალიტები.

**სალომე** (გაიღიმებს) – იშვიათი ლექსია; არაჩვეულებრივი  
 (გადახედავს ეკატერინინეს).

**სოფია** – ჩემი ბლის საყურეებიც ტკბილია. (ყველა გაიცინებს)  
 – ძია ტატო, კიდევ წაგვიკითხეთ ლექსი, გთხოვთ.

**ნინო** – გთხოვთ, გთხოვთ (ეკატერინეს შეხედავს).

**ტატო** (მრავლისმეტყველად სალომეს შეხედავს) – უფლებას  
 მაძლევთ?

**სალომე** (ლიმილით თავს დაუკრავს და მსუბუქად ხელს  
 მოუსმენს მხარზე, ოდნავ დარცხვენილ ეკატერინეს).

**ტატო** – „თავადის ჭავჭავაძის ასულს ეკატერინას“

ხმით მშვენიერით,  
 ტკბილის სიმღერით  
 ჰაეროვანო, სულს ელხინები;  
 თვალთ არონინებ,  
 გულს დააწყლულებ  
 და ღიმილითა ესალბუნები!

სადაც ხარ, იმ არეს  
მოჰყენ სიამეს, –  
უშენოდ მოსცდეს მხიარულება!  
შენის ენითა,  
სავსე ლხენითა,  
ვინ არა იგრძნოს გულკეთილობა!

მახსოვს სიამით,  
ოდეს ტკბილის ხმით  
ვარდსა და ბულბულს მოელხინარე,  
პირმცინარითა,  
სინარნარითა,  
მგოსნის ყარიბს გულს ესხივმფენარე!

(ლექსის კითხვისას ფონად ისმის შოპენის ვალსი №1 op. 64).

**ეკატერინე** (სიცილით ყველას მიმართავს) – ნამდვილად ასე წარმოგიდგენივართ?

**სალომე** (ლიმილით) – ოჟ, ოჟ! ურუანტელის მომგვრული ლექ-სია, ჩემო ტატო, ძალზედ თამამი და გაბედული, მაგრამ ემოციათა თავდაჭერილობა და მეტი სიფრთხილე გმართებთ, (მარაოს დაუქნევს ტატოს სიცილით) – მეტი სიფრთხილეა საჭირო.

კარგით, ბატონებო, ჩევნი წასვლის დროა, გმადლობთ, რომ გვასიამოვნეთ და თანხლება გაგვიწიეთ.

**ნინო** – მშვენიერი სალმაო იყო, ძალზედ პოეტური და ამაღლებული.

**ეკატერინე** – კვლავ გვეწვიეთ, გიხილავთ, იმედია.

**მელიქიშვილი** – რას ბრძანებთ, პირიქით.

**ტატო** – ულრმესი მადლობა.

**სულხანიშვილი** – გმადლობთ მოწვევისათვის.

**სალომე** – მომავალ კვირა დღეს სასახლეში დიდი წვეულება გვაქვს. გთხოვთ, აუცილებლად მობრძანდეთ და გვეწვიოთ, გელით. (ფეხზე ადგებიან ქალები).

**მელიქიშვილი** – სიამოვნებით გეახლებით.

**ტატო** – დიდად გმადლობთ მოწვევისათვის.

**სულხანიშვილი** – დიდი პატივია ჩვენთვის.

### ფარდა

## II ნაწილი

(ჭავჭავაძეების სასახლის სამეჯლისო დარბაზი. ბალეტის სცენის მსგავსად რაც შეიძლება დიდი სიკრცე. სცენის სიღრმეში კიდია ბოლოში შეკრული სხვადასხვა ფერის ფარდები. ფარდებთან ახლოს დგას ტილოთი მოჩარდახებული 7 პატარა ტაბურეტი, ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულები ნახევარმთვარის ფორმით. ისმის მუსიკა – შოპენის სამხედრო პოლონეზი №1, op. 40, საორკესტრო ვარიანტი. რამდენიმე ტაქტის შემდეგ აიწევა ფარდა. სცენაზე მიმდინარეობს ევროპული ცეკვა. მოცეკვავე ქალები ევროპულად არიან ჩაცმულები. მოცეკვავე მამაკაცები ზოგი სამხედრო მუნდირშია გამოწყობილი ხმლის გარეშე, ზოგიერთიც ევროპული ტანისამოსით არიან შემოსილნი. სკამებზე სხედან ასაკოვანი მანდილოსნები, ზოგიერთი ხელში მარაოებით. მანდილოსნებს ოდნავ უკან და მარცხენა მხარეს უდგანან ასაკოვანი არისტოკრატი მამაკაცები, ზოგიერთი სამხედრო მუდირში ჩინ-მედლებით და ზოგიც ევროპული სამოსელით ჩაცმულ-გამოწყობილნი. სასურველია, სცენაზე მყოფი ხალხის უმრავლესობას – ქალებსაც და კაცებსაც ჰქონდეთ თეთრი ხელთამანები. გარშემო მდგომ რამდენიმე ქალს შეიძლება ეცვას ქართული კაბა. ცეკვა შეიძლება 3 ან 5 წუთამდე გაგრძელდეს. ცეკვის დასრულების შემდეგ, ვინც არ ცეკვავდა, მცირედ აპლო-დისმენტებს გაიღებენ).

**ალექსანდრე ჭავჭავაძე** – ქალბატონებო და ბატონებო! ძვირ-ფასო საზოგადოებავ! ულრმესი მადლობა მინდა გამოვთქვა ჩემი ოჯახის ესოდენ დაფასებისათვის და აქ, ჩემს სახლში მობრძანებისათვის.

**I ასაკოვანი ქალი** – ძვირფასო ალექსანდრე, თავადი ჭავჭავაძის ოჯახში სტუმრობა ყოველთვის დიდი პატივია ყოველი ჩვენგანისთვის (ნამდვილად, ნამდვილად, თავადო, – დაეთანხმებიან ზოგიერთები).

**II ასაკოვანი ქალი** – ბატონ ალექსანდრეს, როგორც ყოველთვის, ალბათ რაიმე მნიშვნელოვანი და ძალზედ საინტერესო სიურპრიზი უნდა ჰქონდეს დღეს ჩვენთვის მომზადებული, რადგანაც ასეთი საზოგადოება გვისტუმრა.

**ალექსანდრე ჭავჭავაძე** (სიცილით) – ნამდვილად რომ ასე გახლავთ; მაგრამ სიურპრიზის შესახებ მოგვიანებით მოგახსენებთ. ამჟამად კი მთელი სულითა და გულით მინდა მივულოცო იმ ადამიანებს, ჩვენი ერის იმ სახელოვან მამულიშვილებს, რომლებიც მისმა უდიდებულესობა იმპერატორმა, შეწყალების სიგელით გაათავისუფლა და ისინი რუსეთში გადასახლებიდან, სამშობლოში და სახლებში დაბრუნდნენ! (აპლოდისმენტები).

**I ასაკოვანი მამაკაცი** – რა თქმა უნდა, გაათავისუფლებდა, სადაცაა რუსეთსა და თურქეთს შორის ომი დაიწყება და გამოცდილი ოფიცირები ციხეში გყავდეს დამწყვდეული, დიდი უაზრობა იქნებოდა იმპერატორის მხრიდან.

**III ასაკოვანი ქალი** (ლიმილით) – ფრთხილად, თავადო. უკან არ გაგაბრუნონ ციმბირში გადასახლებაში (სიცილი).

**I ასაკოვანი მამაკაცი** (ლიმილით) – გმადლობთ, ძვირფასო. საკმარისია უკვე რაც ვიძუნდულე თეთრ დათვებთან ერთად 45-გრადუსიან ყინვაში (სიცილი).

**II ასაკოვანი მამაკაცი** – კეთილშობილო საზოგადოებავ, 5 წელი შესრულდა დიდი მამულიშვილისა და საზოგადო მოღვაწის, ბატონი სოლომონ დოდაშვილის გარდაცვალებიდან, რომელიც ციმბირში გადასახლებაში, საპყრობილები გარდაიცვალა.

**მანდილოსნები** – მართლაც, მართლაც საპრალო სოლომონი.

**III ასაკოვანი მამაკაცი** – მისმა პატრიოტულმა იდეებმა დიდი გავლენა მოახდინა ჩვენს საზოგადოებაზე და ახალ თაობაზე.

**სულხანიშვილი** – ჭეშმარიტად ასე იყო; ჩვენ, მოზარდებს, კეთილშობილთა სასწავლებელში მუდმივად გვესმოდა მისი მოძღვრებანი და შეგონებანი, რომ მიმდინარეობს ქვეყნის საზოგადოებრივი და სულიერი ცხოვრების რუსიფიკაცია.

**მელიქიშვილი** – ელიტა თითქმის მთლიანად გადასახლებული იყო რუსეთში, მცირე ურჩობაზეც კი ციმბირში ასახლებდნენ.

**ტატო** – მმართველობის სისტემა მთლიანად რუსეთის ხელშია. ქართული ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმებულია. ამით ქართველმა ხალხმა ის სულიერი საყრდენი დაკარგა, რომელიც საუკუნეების მანძილზე კრავდა და აერთიანებდა მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

**მელიქიშვილი** – ნადგურდება ქართული კულტურა და მეურნეობა. ხდება ერის ასიმილაცია.

**სულხანიშვილი** – ჩამკვდარია კულტურულ-ინტელექტუალური საქმიანობა. ურყევია ცენზურა. რუსული კოლონიზაციის სახით, ქართველ ერს გადაშენება უწერია.

**ტატო** – ამ იდეებს შთაგვაგონებდა ყველას ბატონი სოლომონი, რომ არასოდეს არ დაგვევიწყებინა, თუ ოდესლაც რანი ვიყავით და ვინ ვიყავით.

**სალომე** – თავად გრიგოლ ჯამბაკურ ორბელიანს ვთხოვოთ, რომელიმე თავისი ლექსი წაგვიკითხოს და მიუძღვნას ბატონი სოლომონ დოდაშვილის ხსოვნას (ხალხი – გთხოვთ, თავადო გრიგოლ).

**გრიგოლ ორბელიანი** – სიამოვნებით, ბატონებო! უნდა ვაღიარო, რომ ერისათვის ნამდვილად სასიქადულო მამულიშვილი დაიკარგა ბატონი დოდაშვილის დალუპვით. სწორედ მისი იდეებით იყვნენ ადგაზმული, ქართველთა პირველი აჯანყებები, რუსეთის იმპერიის ძალმომრეობისა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მის ნათელ ხსოვნას ვუძღვნი ამ ლექსს:

„**ჰე, ივერიავ**“

ჰე, ივერიავ! ვიდრე იყო ქედმოდრეკილი,  
ვიდრემდის სხვათა ყველრებითა გფარავდეს ძალი,  
რად არა გახსოვს ძეთა შენთა ხრმალთა კრიალი,  
ძლევათა მათგან, როს დიდებით იყავ მოსილი.

წინაპართ სისხლი ან ჩვენს შორის არღა მდინარებს,  
თავისუფლება განქრა ჩვენთვის, რაღა გვახარებს!  
შორით მოსული, ჩემს მამულში! მყვედრის ცხოვრებას!  
მოყვრულად გვმტრობს, გვტაცებს ყოველს, გვიქმს  
ალერსობას...

ესე ნაყოფი აქვს მარადის ცუდსა მონებას.  
ბედო! ნუ გძინავს, განიღვიძე, ისმენდ ვაებას!

(აპლოდისმენტები. გრიგოლი აქეთ-იქით რამდენიმეჯერ დინ-  
ჯად თავს დაუკრავს საზოგადოებას).

**სალომე** – ჩემსა და თავად გრიგოლ ორბელიანის სახელოვან დიდ პაპას, მეფე ერეკლეს! სიცოცხლე გაუმნარა და სისხლი გაუშრო ლეკთა მუდმივმა და სისტემატურმა თავდასხმა-შემოსევებმა. ამჟამად კი კავკასიის სამხედრო კამპანიის დაწყებასთან დაკავშირებით, თავადი ორბელიანი გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, ხმლით ხელში იმპერატორის ჯართან ერთად ლეკებს ებრძინოს.

**გრიგოლ ორბელიანი** (ულვაშებზე ხელს გადაისმევს) – დიალ! ბატონებო, მრავალი საუკუნეების განმავლობაში ლეკებისაგან განვალებულ ქართველთა და მეფე ერეკლეს ჯავრი, სულ ერთიანად უნდა ვაზღვევინოთ! (ხელს აღმართავს) სულ ერთიანად! (სიცილით).

**ალექსანდრე ჭავჭავაძე** – აგრე ჰქმენით, აგრე, ჩემო გრიგოლ! დაგელოცოს მარჯვენა. ზაფხულობით ჩემი ოჯახის დატოვება წინანდალში მიხდება ხოლმე. თუ საჩქაროდ ტფილისს გამომიძახეს და ლეკთა სიახლოვე წინანდალთან მოგეხსენება, ყოველთვის ჩემი შფოთვისა და ჭმუნვის მიზეზი იყო. ამჟამად კი ბევრად იმედიანად ვიქწები (მივა გრიგოლთან და მხარზე ხელს მოუთათუნებს).

**გრიგოლ ორბელიანი** (სიცილით) – ძალასა და ენერგიას არ დავიშურებ, თავადო.

**ალექსანდრე ჭავჭავაძე** – მისი აღმატებულება მეფისნაცვალის ინფორმაციის თანახმად, ლეკთა შევიწროვება ორი მხრიდან მოხდება; რუსეთისა და ქართველთა ტერიტორიებიდან მოახდენენ ორმხრივ შეტევებს, რაც საერთო საქმეს დიდად წაადგება. იმავდროულად, რუსეთის ჯარმა ბალკანეთის გასავალი გადაკეტა, რითაც ლეკებსა და ჩრდილოეთ კავკასიას თურქეთთან კავშირი შეუწყიტა. რაც შეეხება თურქეთთან ომს, მე ვფიქრობ, რომ იგი გარდაუვალია და სწორედ აქ გამოჩნდება ქართველ მებრძოლთა სიმამაცე და უტეხი სული. 1814 წლის პარიზის სამხედრო კამპანიის შემდეგ, ხმალი თითქმის აღარ გაგვიშიშვლებია და ლამისაა, უანგი მოედოს (სიცილით).

**IV ასაკოვანი ქალი** – თავადო გრიგოლ, გვიამბეთ, გეთაყვა, რა შეგემთხვათ ქვემო ქართლში, გავიგეთ, საპარათიანოში სტუმრობისას უხერხულობა შეგხდომიათ?

**გრიგოლ ობელიანი** (ღიმილით) – ნამდვილად ასეა.

**V ასაკოვანი ქალი** – გვიამბეთ, გეთაყვა, გთხოვთ.

**გრიგოლ ორბელიანი** – მარაბდაში დღესასწაულობაზე ვპრ-  
ძანდებოდით. კარვის თავზე, სადაც მანდილოსნები მზეს იყვნენ  
შეფარებულნი, ჩვენი მეწინავე დროშა იყო აღმართული. რამ-  
დენიმე ხნის შემდეგ გენერალმა ორლოვმა ჩამოიარა ჯარით და  
ბასილა მაიორს დაავალა, კარვის თავიდან დროშა ჩამოხსენით  
და აქ მომიტანეთო. მედროშე ლვთისავარმა მიუგო, საქართველო  
ხუთ სადროშოდ ითვლებოდა, ეს კი მრავალ ასეულ ბრძოლის  
ცეცხლში ამოვლებული მეწინავე დროშაა.

ბასილა მაიორმა შესძახა – რაო? რაო? მე უბრალო ბაიარლი  
მეგონა, ნამდვილად კი მართლა დროშა ყოფილა, ჩამოხსენი და  
აქ მომეციო. მედროშე ლვთისავარს ჩვენი მამაპაპისეული ნაქონი  
მეწინავე დროშა ჩამოხსნა და ჩვენ შემოგვცეროდა, რა ვენაო.

მთელს ბარათაშვილებს და ორბელიანებს ხმა ჩაგვივარდა,  
ზაფრანის ფერი დაგვედო და თავები ჩაგვექინდრა დარცხვენი-  
ლებს.

მედროშე ლვთისავარის ბიჭმა არსენამ კარავთან ცხენი მიაგ-  
დო, მამამისს ალამი ასტაცა, ააფრიალა მეწინავე დროშა და ორ-  
ლოვს გასძახა – „მოპრძანდი და წაიღეო“.

ორლოვი აერიდა არეულობის ატეხვას ამდენ ხალხში და გაგ-  
ვერიდა.

იმ ბიჭმა კიდევ ერთ სირცხვილს გადაგვარჩინა. (შესძახებს)  
„შაბაშ, არსენ!“

**V ასაკოვანი კაცი** – რომელი არსენა, დიდებულებს რომ  
ძარცვავდა?

**გრიგოლ ორბელიანი** – სწორედ ეგ არსენა, დიალაც! არსენა  
მარაბდელი.

ჩვენს ნირნამხდარ და უხერხემლო თავად-აზნაურობას ახალი  
სისხლი და ახალ თაობათა ენერგია სჭირდება, როგორებიც ესენი  
არიან! (ხელს გაიშვერს ტატოსკენ და მის მეგობრებისკენ) –  
ევროპულად განათლებულები და განსწავლულები.

**ალექსანდრე ჭავჭავაძე** – ბატონებო, ჩვენ დიდ პატივს ვცემთ  
ახალ თაობათა გულწრფელ პატრიოტულ სულისკვეთებას და ვა-  
ფასებთ ჩვენი შვილების განსწავლულობას, მაგრამ დღესდღო-  
ბით ყოველივე ეს, ქვეყანაში ვითარების შესაცვლელად არასაკმა-  
რისია.

უნდა მოგახსენოთ, რომ რუსეთის იმპერია ამჟამად უძლიერე-  
სი სახელმწიფოა. იმპერიის ორთავიან არნივს თავის სისხლიან

კლანჭებში, მტკიცედ ჰყავს ჩაბლუჯული ჩვენი ქვეყანა. ჩვენი თაობის მამულიშვილებმა რამდენიჯერმე ვცადეთ ამ მარწუხე- ბიდან თავის დახსნა, მაგრამ უშედეგოდ და მწარედ დავისაჯეთ. ამის გამო, რამდენჯერმე შორეულ გადასახლებებში მოგვიწია ყოფნა, მათ შორის მეც. ჯერჯერობით რუსეთის იმპერიას ჩვენ ვერ დავუსხლტებით კლანჭებიდან.

ჩვენი ქვეყნის განთავისუფლება რუსეთისაგან, მომავალმა თაობებმა უნდა მოიპოვონ, ამას შეიძლება 100 წელი დასჭირდეს ან კიდევ უფრო მეტიც, სანამ რუსეთის იმპერია არ დასუსტდება და თვითმშერობელობის რეუიმი თავისით არ ჩამოიქცევა. რუ- სეთი, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ახალი წარმოქმნილი ქვეყა- ნაა, შეიძლება ითქვას, რომ როგორც სახელმწიფო, 200 წელზე ცოტა მეტხანს მოითვლის და ჯერ კიდევ ზრდის პროცესშია, მით უმეტეს, რუსეთის ტერიტორიული სიდიდის გამო, ყველა პროცე- სები აქ ძალიან ნელა მიდის. როგორც რომ ახალდაბადებულმა პატარა ბავშვმა უნდა მოიხადოს სახადის ყველა ავადმყოფობები, ასევე ახლად შექმნილმა სახელმწიფომ უნდა განვლოს ყველა ის ეტაპები, რაც რომ სხვა სახელმწიფოებმა გაიარეს. ამას დრო უნდა. რუსეთი ბატონყმობას, თავის იმპერიაში კიდევ უფრო აძლიერებს, როდესაც საფრანგეთში აღარც ახსოვთ, რა არის ბა- ტონყმობა და მთელი ევროპაც, ახლო მომავალში, საფრანგეთის გაკვალული გზით დაიწყებს სვლას. დადგება დრო, როდესაც საფრანგეთის რესპუბლიკისა და თავისუფლების იდეები, რუსე- თის ბატონყმური იმპერიის საზღვრებსაც გადალახავს. დღეს- დღეობით კი მისი უდიდებულესობის საიმპერატორო ჯარში სამ- სახური ყოველმა ქართველმა უნდა გამოიყენოს ისევ ჩვენი ქვეყ- ნის საკეთილდღეოდ, რათა გავანადგუროთ ქართველთა მუდმივი მტრები ლეკები და თურქებისაგან გამოვიხსნათ ჩვენი კუთვნილი ტანჯული მინა-წყალი და ტერიტორიები.

მისი უდიდებულესობა ხელმწიფე იმპერატორი ქართველ თა- ვადაზნაურობას ზუსტად იმდენს გვაძლევს თანამდებობას და გასამრჯელოს, რომ მის სამსახურში ყოფნით ჩვენ კმაყოფილნი დავრჩეთ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ბოლომდე იმპერატორი ჩვენ არ გვენდობა.

ბატონებო, რა თქმა უნდა, ჩვენი დღევანდელი საუბარი ამ დარბაზიდან გარეთ არ გავა და ყოველივე რაც დღეს აქ ითქვა, აქვე დარჩება.

**VI მოხუცი კაცი** – თავადო ალექსანდრე, ესე იგი, თქვენ ბრძანებთ, რომ ჩვენს ყმებს დავკარგავთ?

ალექსანდრე ჭავჭავაძე (სიცილით) – მშვიდად ბრძანდებოდეთ ბატონებო, მშვიდად! სანამ ეგ პროცესები რუსეთის იმპერიის საზღვრებს მიაღწევს, ჩვენ შეიძლება ცოცხლები აღარც ვიყოთ. (საერთო სიცილი).

**VI ასაკოვანი ქალი** – თავადო ალექსანდრე, გთხოვთ გვასი-ამოვნოთ და თქვენის პოეზიიდან წაგვიკითხოთ რაიმე ლექსი (ხალხი – გთხოვთ, ალექსანდრე).

ეკატერინე – მამა, უმორჩილესად გთხოვთ.

ალექსანდრე ჭავჭავაძე – კარგით, ნება თქვენია, წაგიკითხავთ ლექსს „რაა სიკვდილი“:

რაა სიკვდილი, რაა მისი საშინელება?

მკვდარი თუ შვებას მოაკლდება, ჭირსაც მორჩება.

მაგრამ მოყვასისა მომშორვესა, სურვილით ტანჯულს, სიამე ოდენ მიეღება, თმენა კი რჩება.

გულო! უძლურო, მვაებელო, ოხვრათ მადიდო,

ეშყის ალმური გლახ ჩივილით ვით დაიმშვიდო?

კიდესა ზედა მდგომარესა გმართებდა განსჯა, ან ზღვას შეჰსულხარ, ზვირთთა მისთა სადღა ერიდო?

(აპლოდისმენტები)

**VI ასაკოვანი ქალი** (სიცილით) – ფრიად საყურადღებო ლექსია მამაკაცებისათვის სანამ ცოდვაში შესდგამენ ფეხს. (სიცილი. ქალები – ნამდვილად!)

**ნინო** – ტატოს ვთხოვოთ ამჯერად, ტატოს, წაგვიკითხოს თავისი ლექსი. იგი სიტყვათა ნამდვილი დიდოსტატია და მუზას განებივრებული ჰყავს.

**გრიგოლ ორბელიანი** – ჩემო ნიკოლოზ! გაგვაგონე, აბა, შენი ბრძნული სიტყვა.

**ხალხი** – გთხოვთ, ტატო, გთხოვთ.

**ტატო** – „ფიქრნი მტკვრის პირას“

წარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად,

აქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს განსასვენებლად;

აქ ლბილს მდელოზედ სანუგეშოდ ვინამე ცრემლით,

აქაც ყოველი არემარე იყო მოწყენით;

ნელად მოღელავს მოდუდუნე მტკვარი ანკარა  
და მის ზეირთებში კრთის ლაუგარდი ცისა კამარა.

იდაყვდაყრდნობილ ყურს უგდებ მე მისაა ჩხრიალსა  
და თვალი რბიან შორად, შორად, ცის დასავალსა!  
ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი?  
მრავალ დროების მონამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი!..  
არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება  
რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოება?..  
მაინც რა არის ჩვენი ყოფა-წუთისოფელი,  
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?  
ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს,  
და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?

თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ უმაღლეს  
არც ვინდა არის, და წინაშე არც ვინ აღუდგეს,  
რომელთ ხელთ ეპყრასთ უმაღლესი სოფლის დიდება,  
შფოთვენ და დრტვინვენ და იტყვიან: „როდის იქნება,  
ის სამეფოცა ჩვენი იყოს?“ და აღიძვრიან  
იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!..  
თუნდ კეთილ მეფე როდის არის მოსვენებული?  
მისი სიცოცხლე: ზრუნვა, შრომა და ცდა ქებული;  
მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს  
თვისს მამულსა, თვისთა შვილთა, რომ შემდგომსა დროს  
არ მისცეს წყვეტით თვის სახელი შთამომავლობას!..  
მაგრამ თუ ერთხელ უნდა სოფელს ბოლო მოელოს,  
მაშინ ვიღამ სთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?..  
მაგრამ რადგანაც კაცნი გვეკვიან – შვილნი სოფლისა,  
უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.  
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,  
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!“  
(აპლოდისმენტები)

**სახლის მმართველი** (შემოდის და აცხადებს) – მისი აღმატებულებანი, სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი მეუღლითურთ და  
მათი მემკვიდრე დავით დადიანი.

(შემოდიან)

**ალექსანდრე ჭავჭავაძე** (ლიმილით და ხელგაშლით) – მობრძანდით, მთავარო, გაგვახარეთ თქვენი პრეტინგალე ოჯახის სტუმრობით და იგულეთ თავი ვითარცა საკუთარ სახლში.

**სალომე** (ლიმილით მიეგებება) – დიდად გაგვაბედნიერეთ თქვენის მობრძანებით.

**მთავარი ლევანი** – ფრიად მნიშვნელოვანი და უკეთილშობილესი ბრწყინვალე საზოგადოება შეკრებილხართ აქ, თავადო ალექსანდრე. მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ჩემი ოჯახით თქვენს ყველასათვის სანიმუშო და სანაქებო დიდებულ სახლში ვიმყოფებით, ვინაიდან თქვენ ბრძანდებით აქ, საქართველოში, ევროპული კულტურის შემომტანი, დამმკვიდრებელი და ევროპულად აზროვნებისა და ცხოვრების გამავრცელებელი.

**ალექსანდრე ჭავჭავაძე** (ლიმილით) – გულწრფელი სიხარულით მოველოდით თქვენს მობრძანებას მთავარო. სასაზღვრო ზოლიდან გვეახელით და რუსეთ-თურქეთის ვითარების სიახლეებსაც ალბათ თქვენგან შევიტყობთ, თუ, რა თქმა უნდა, ნებას დაგვრთავთ.

**მთავარი ლევანი** – და! ბატონებო! ვითარება, როგორც იტყვიან, „პოროხომ პახნეტ“. დღეს თუ ხვალ ზარბაზანი გავარდება და ომში ჩავებმევით კვლავ, მაგრამ რაღა დროს ჩემი ხმლის ქნევაა, თქვენი აღმატებულებავ (სიცილით), მოვხუცდი. ანი დროა, ხმალიც და სამეგრელოს სამთავროს საქვეყნო საქმეებიც ჩემს მემკვიდრეს, სამეგრელოს მომავალ მთავარს, ჩემ ვაჟს დავით დადიანს გადავაბარო (წინ წამოსწევს ხელის უესტით თავის შვილს. დავითი ოდნავ წინ წარსდგება და თავს დაუკრავს ხალხს, რომლებიც აპლაუდირებენ მას).

**ალექსანდრე ჭავჭავაძე** – ქალბატონებო და ბატონებო, ყურადღებას გთხოვთ. დღეს ფრიად მნიშვნელოვანი და სასიხარულო ამბავი უნდა გამცნოთ, ამიტომაც შევიკრიბეთ ჩვენ დღეს აქ, სადღესასწაულო წვეულებაზე. მის ბრწყინვალებას, სამეგრელოს მთავარს ლევანს და მე, დიდი პატივი გვაქვს გაუწყოთ და დღეს საზეიმოდ განვაცხადოთ ჩვენი უსაყვარლესი შვილების, სამეგრელოს მომავალი მთავრის დავით დადიანისა და ჩემი ქალიშვილის ეკატერინე ჭავჭავაძის შეუღლების, წინასაქორწილო ნიშნობის კომპრომისი. (ალექსანდრე ხელს გაშლის და ეკატერინეს მოიხმობს. ძლიერი აპლოდისმენტები. სახლის მმართველი ლანგრით ორ სასმისს შემოიტანს და ლევან დადიანსა და ალექსანდრე ჭავჭავაძეს მიართმევს).

**ლევან დადიანი** – გილოცავთ, ჩემო შვილებო.

**ალექსანდრე ჭავჭავაძე** – ბედნიერები იყავით, შვილებო (ეკატერინეს შუბლზე ეამბორება).

**VII ასაკოვანი მამაკაცი** (შესძახებს) – სამეგრელოს მომავლ მთავარს დავითს და დედოფალს ეკატერინეს გაუმარჯოს! (ხალხი – გაუმარჯოს! გაუმარჯოს! აპლოდისმენტები. ლევანი და ალექსანდრე ჭიქებს მიუჭაუნებენ ერთმანეთს).

**სალომე** – გულწრფელად გილოცავთ, ჩემო შვილებო (მიუახლოვდება, გადაეხვევა და გადაკოცნის ორივეს).

**ლევან დადიანის მეუღლე** – გაიხარეთ და ბედნიერები იყავით, შვილებო (გადაკოცნის ორივეს. შეძახილები – „გაუმარჯოს“, „იბედნიერეთ“, „დაეგრძელობა მეფე-დედოფალს“. დავითი და ეკატერინე ხელკავგამოდებულნი თავს უკრავენ ოდნავ სხვა-დასხვა მხარეს. აპლოდისმენტები. დალონებულ ტატოსთან მივა გრიგოლ ორბელიანი და მხარზე ხელს დაჰკრავს მსუბუქად რამ-დენჯერმე).

**ალექსანდრე ჭავჭავაძე** – ძვირფასო სტუმრებო, თუ უფალმა გადმოგხედა და რუსეთ-თურქეთის გართულებულმა ვითარებაშ ხელი არ შეგვიშალა, დიდ სამეფო საქორწილო ცერემონიას გვიან შემოდგომაზე მოვაწყობთ. ახლა კი, პატივცემულო სტუმრებო, დიდ სადღესასწაულო სუფრასთან გინვევთ და გთხოვთ ყველას, სამაგიდო დარბაზში გადავპრძანდეთ (ისმის მუსიკა. იგივე შოპენის სამხედრო პოლონეზი. გასვლის წინ ეკატერინე ტატოს გახე-დაგს და ცხვირსახოცით ცრემლს შეიშრობს. სცენიდან პირველები გადიან ეკატერინე და დავითი, უკან მიჰყებიან მათი მშობლები. შემდეგ – დანარჩენი ხალხი. ტატო მელიქიშვილს და სულხანიშვილს ანიშნებს, მიდითო და მიაძახებს – „მეც მოვალ ახლავე“).

**გრიგოლ ორბელიანი** – გამაგრდი, ჩემო ტატო, ეჲ, ბედისწერას რა ვუთხარი.

**ტატო** (თავს დაიქნევს) – კი... ბედისწერაა.

**გრიგოლ ორბელიანი** – მეც შენს მსგავს ბედში ვარ... რა გაეწყობა?

**ტატო** (დალონებული) – ვიცი... ძია გრიგოლ. ეჲ, მე რომ საშუალება მქონდა, რომ პეტერბურგში უნივერსიტეტი დამემთავრებინა და დიდი კარიერა გამეკეთებინა, სხვაგვარად წარიმართებოდა ჩემი ბედი, მაგრამ რაზედაც გული მიკვდება, ეს არა ჩემი თავისა და ბედის გამო, არამედ ეკატერინეს გამო.

**გრიგოლ ორბელიანი** – ეკატერინეს რა უჭირს, სამეგრელოს სამთავროს მომავალი დედოფალია.

**ტატო** – რუსეთის იმპერია სამეგრელოს სამთავროს, მუდმივად დამოუკიდებელ ქვეყნად არ დასტოვებს. ადრე თუ გვიან მასაც დაიპყრობს. რუსეთმა სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი, გამოიყენა საქართველოში იმერეთისა და გურიის აჯანყებების ჩასახშობად. აფხაზეთისა და მთელი დასავლეთ საქართველოს დასამორჩილებლად. ზეველა სისხლიან დამსჯელ ექსპედიციას იგი პირადად ხელმძღვანელობდა, რისთვისაც იმპერატორმა, ლევან დადიანს გენერალ-ლეიტენანტის ჩინი უწყალობა. როდესაც მთავარი ლევანი აღარ იქნება და იმ ქვეყნად წავა, აი, მაშინ გაუჭირდება ეკატერინეს, შეიძლება სამთავროც წაართვან და რუსეთშიც გადაასახლონ კიდეც. სწორედ ამის გამო ვწუხვარ მე.

**გრიგოლ ორბელიანი** (ჩაფიქრებით) – არა მგონია, რომ მასე მოხდეს. ეხლა კი წავიდეთ, ჩემო ტატო, ჩვენც შევუერთდეთ წვეულებას.

**ტატო** – არა, მე არ შემიძლია.

**გრიგოლ ორბელიანი** – მეც მიძნელდება, მაგრამ სხვაგვარად არ შეიძლება, ტატო, უნდა შევუერთდეთ წვეულებას.

**ტატო** – თქვენ მიპრანდით, ძია გრიგოლ, მე არ შემიძლია. ხვალ დილით ადრე გავდივარ და უნდა მოვემზადო. საპარათიანოში მივდივარ.

**გრიგოლ ორბელიანი** – საპარათიანოს რა სჯობია ეხლა, ქვემო ქართლს, აფსუს! მე უნდა ვიკითხო, ვეუო, ლეკებში მივდივარ შამილთან ომში. (სიცილით ხელებს გაშლის და ტატოს გადაეხვევა) – არ დამივინწყო, წერილები მომწერე. აბა, შენ იცი. მშვიდობით (გასვლისას მოიხედავს და კიდევ მოაძახებს) – წერილი მოიწერე.

**ტატო** (ამოიოხრებს) – ეეჲ... (გადის სცენის საპირისპირო მხრიდან. იმავდროულად ნელ-ნელა შუქი და შორეული საზეიმო „შოპენის პოლონეზი“ ქრება).

(ისმის შოპენის „*Grande valse brillante*“. №1. op. 18. შუქი აინთება, სცენაზე შემოდის სახლის მმართველი).

**სახლის მმართველი** (ჯიბის საათს ამოიღებს, დახედავს) – რა მშვენიერი მუსიკაა. 4 ნელი გავიდა მას შემდეგ, როდესაც სამეგრელოს მთავარის დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის

შეუღლება გამოაცხადა დიდმა თავადმა ალექსანდრემ სწორედ აქ, ამ დარბაზში. ჭოჭო! რა დიდებული და ამაღლვებელი დრო იყო. იმ დროს დიდადქისაპატივცემულო სტუმრებთან ერთად მეც აქ გახლდით მააშ... აი, სწორედ აქ ვიდექი. ვერცხლის ლან-გარზე ხრუსტალნი სასმისები მე მივართვი სამეგრელოს მთა-ვარს ლევანს და ალექსანდრე ჭავჭავაძეს აპა! რა დამავიწყებს იმ დროს, სადლეგრძელოს შემდეგ ლევან დადიანის უკანმოსრო-ლილი ბროლის სასმისი შუბლზე რომ შემასკდა. რომ გამახსენდ-ება სულ ურუანტელი დამივლის ხოლმე მთელს ტანში. დაა, ბილი ვრემენა. ისე მაინც როგორ დაეტყობა ხოლმე სასახლეს, როდე-საც დედოფალი ეკატერინე ჩამობრძანდება ტფილისში.

კნეინა ნინოს უფრო სიმშვიდე უყვარს და ფორტეპიანოზედ დიდი ხანია აღარ უკრავს, ცხონებულ მის მეუღლეს აგონებს ფორტეპიანოზედ დაკვრა, რადგანაც მისი მუზიკის მასწავლებელი, კნეინა ნინოს ბავშვობისას, სწორედ გრიბოედოვი იყო, მააშ...

დედოფალი ეკატერინეს ტფილისში ჩამობრძანებისას კი სა-სახლეში სიცოცხლე სჩექფს ხოლმე (თითებს გაათამაშებს), სი-ცოცხლე.

ოთხი წელი გავიდა ეკატერინესა და მთავარი დადიანის შეუღ-ლებიდან და ტფილისში სამეგრელოს დედოფლის იშვიათი სტუმ-რობის პერიოდში, ყოველთვის ზარზეიმი გვაქვს სასახლეში. აბაა... (ისევ საათს დახედავს და შემდეგ კულისებს გახედავს) – შემოდით, შემოდით! (შემოდიან კინტოები).

I კინტო – ვაა, რა იმპორტნი მუზიკა ისმის, აი!

II კინტო – იმპორტნი კი არა, ევრაპეისკი მუზიკაა.

III კინტო – აი, ვითომ ხომ კარგია არაა, მაგრამ მაინც მოსაწ-ყენია.

IV კინტო – მართალი ხარ, საქოჯან, აი, სად ჩვენი ზურნა! პირდაპირ რომ ჯიგარში გგლიჯავს ხოლმე რა...

V კინტო – ჯიგარშიით?

სახლის მმართველი (გაბრაზებით) – ზურნას გაჩვენებთ მე თქვენ, დადექით აქ! სწრაფად!

I კინტო – ხომ გითხარით, ცუდი შფოთი იცის-მეთქი.

II კინტო – ვაჲ, ეს რა დღეში ვართ? (ჩამწკრივდებიან).

სახლის მმართველი – ხმა! კრინტი არ გავიგო თქვენი! ევროპეისკი მუზიკის კრიტიკაც კი დაიწყეს, „ტოუე მნე ტარტილინი“ (თან ჩამოუვლის გამწკრივებულ კინტოებს და V

კინტოს ტროსტით უბეს მოუსინჯავს) – კიდევ რაიმე ხომ არ მოგიპარავს, შე ბედოვლათო?

**V კინტო (დაინუნუნებს)** – რა დავაშავე?

**სახლის მმართველი** (ტროსტის ჩაუკაცუნებს თავში) – ხმა! კრინტი! შენგან ყველაფერია მოსალოდნელი. ეხლა ყურადღებით მომისმინეთ. დედოფალი ეკატერინე გვესტუმრა ისევ. დიდი ვაჟამია გასამზადებელი. მზარეულს გაჰყვებით ბაზრათ ხორაგ-სანოვაგეა მოსატანი. მზარეულს მიაკითხეთ. გასაგებია? თავისუფლები ხართ.

**კინტოები** – ჰო! გასაგებია. (გადიან)

(სახლის მმართველი ისევ საათს დახედავს. შემოდის ნინო. მუსიკა წყდება).

**სახლის მმართველი** (თავაზიანად თავის დაკვრით) – გისმენთ, ქალბატონო.

**ნინო** – თავადი ნიკოლოზ ბარათაშვილი უნდა გვეწვიოს სადაცაა და უხმეთ, თუ აქა ბრძანდება.

(სახლის მმართველი თავს დაუკრავს და გადის. შემოდის ეკატერინე თეთრი ევროპული კაბით და გრძელი წითელი მოსასხამ მოსხმული).

**ეკატერინე** – აჲ, ჩემო დაო ნინო, რაოდენ დიდი სიხარულია სახლში დაბრუნება. ყოველ ჩამოსვლის დროს ჩვენი ბავშვობა და უზრუნველი ცხოვრება მახსენდება.

**ნინო** – ეჲ, ნამდვილად კარგი, დაუვიწყარი და განუმეორებელი დრო იყო.

**ეკატერინე** – ზუგდიდში და გორდში იმდენი საქმეები და საზრუნავი გვაქვს, რომ ვერ წარმოიდგენ, როგორი დამქანცველია ყოველდღიური პასუხისმგებლობის მძიმე ტვირთი, მაგრამ რას იზამ, რა გაეწყობა „სე ლა ვი“ (გაიცინებს და ნინოს მოეხვევა).

**ნინო** – კატინკა, საყვარელო, ტატო არის ჩამოსული ტფილისში ორი დღით. გაუვია, რომ აქა ხარ და ძალიან მთხოვა, ეკატერინეს შემახვედრე, დიდი ხანია არ მინახავს, საქმე მაქვს მასთანო. შენთან ლაპარაკი სურს.

**ეკატერინე** (ჩაფიქრებული) – ჩემი საბრალო ტატო.

**სახლის მმართველი** (შემოდის თავის დაკვრით) – თავადი ნიკოლოზ ბარათაშვილი.

**ეკატერინე** – უხმეთ (გადის სახლის მმართველი და შემოდის ტატო). – ოჟ, ღმერთო ჩემო, ტატო! საუკუნეა, რაც არ გინახივართ, ჩემო ძვირფასო მეგობარო (ორივე ხელს მისკენ გაიშვერს. ტატო ნინოს თავს დაუკრავს ლიმილით. მიუახლოვდება ეკატერინეს ორივე ხელს გაწვდილ ხელებში ჩასჭიდებს).

**ნინო** (ლიმილით) – ისაუბრეთ, მე არ შეგაწუხებთ (გადის).

**ტატო** – არ მეგონა, თუ კიდევ შევძლებდი თქვენს ნახვას (ეამბორება ცოტა ხანგრძლივად ცალ ხელზე. ეკატერინე მეორე ხელს ნაზად თავზე გადაუსმევს ოდნავ დახრილ ტატოს).

**ეკატერინე** – ტატო, ჩემო მეგობარო, გავიგე ტფილისში ჩამოსულხართ.

(ისმის მუსიკა შოპენის „Prelude “– op. 28. №4).

**ტატო** – დამტანჯველი და გაუსაძლისი უსასრულობა იყო ჩემთვის ეს გაწვლილი დრო თქვენი ხილვის გარეშე.

**ეკატერინე** – ტატო!

**ტატო** – ჩემი დაობლებული და მწირი სული მოილტვოდა თქვენთან შესახვედრად, მაგრამ ამჟამად აღარ ვიცი, ვის მივმართო, დედოფალს თუ ეკატერინეს.

**ეკატერინე** (თბილი ლიმილით) – ჩემო ტატო, ჩვენ სიყრმის მეგობრები ვართ, ერთმანეთის მესაიდუმლე ერთგულნი და სამუდამოდ დიდ მეგობრებად დავრჩებით. მე შენთვის ყოველთვის ეკატერინე ვიქნები.

**ტატო** (დაღონებული) – რა თქმა უნდა, სამუდამო მეგობრები.

**ეკატერინე** – ტატო, გულახდილი საუბარი გვაქვს და დაუფარავად, გულწრფელად გეტყვი – მე დიდად ვაფასებ შენს ღრმა და სათუთ გრძნობას ჩემს მიმართ. კარგად იცი, რომ შენს გარდა, მე სხვა უამრავი თაყვანისმცემლები მყავდა, მაგრამ ჩემი ბედი ბავშვობიდანვე უკვე გადაწყვეტილი იყო. ჩემი დაბადებისთანავე მამაჩემმა, თავისი ნათლიის, იმპერატრიცა ეკატერინას პატივსაცემად დამარქვა სახელი და ბავშვობიდანვე სადედოფლოდ მამზადებდნენ. ჩემს მომავალ მეუღლეს, მთავარ დავით დადიანს, ჯერ კიდევ პეტერბურგში სწავლისას, ბავშვობიდანვე დამაკავშირეს. შენს მიმართ კი, ჩემო ტატო, სამუდამოდ დამრჩება

ყველაზე თბილი და სათუთი გრძნობა, რომელიც სამუდამოდ ჩემს გულში საიდუმლოდ იქნება შენახული.

**ტატო** – დაუოკებელ სიხარულს ვერ იტევს ჩემი გული, რომ ხანგრძლივი განშორების შემდეგ კვლავ გიხილე, ეკატერინე. უაღრესად მადლობელი ვარ შენი თანაგრძნობისა და გულწრფელობისათვის, მაგრამ ჩემი დიდი გულისტკივილი კიდევ სხვა რამ არის. მე ჩემს ბედისწერას ვგრძნობ და ვიცი, რომ ვეღარა გნახავ ალბათ, ეკატერინე, ვეღარასოდეს, აღარ ეღირსება ჩემსას თვალთა და ჩემს გულს შენი ღვთაებრივი სილამაზის ხილვა და ტკბობა.

**ეკატერინე** (სიცილით) – რას ამბობ, ტატო?

**ტატო** – შეიძლება ნახჭევანს გამოვექცე, სადაც ამჟამად მაზრის უფროსის თანაშემწედ ვმუშაობ, მაგრამ ბედისწერა უარესს გზას მიმზადებს. თუ ნახჭევანს გამოვექცი, სამსახურად მაშინ განჯაში მომიწევს გადასვლა და ვგრძნობ, იქიდან ვეღარ დავბრუნდები ცოცხალი. იქ იქნება, ალბათ, ჩემი სამუდამო სამარე.

**ეკატერინე** — ღვთის გულისათვის, ტატო, გთხოვ, გულს ნუ მიკლავ.

**ტატო** – ბედისწერას ვერ გავექცევით ვერავინ, ასე მგონია მე და გამოსამშვიდობებლად მოვედი შენთან ეკატერინე, გამოსათხოვარი სიტყვის სათქმელად.

ეკატერინე – ტატო, რას ლაპარაკობ, გემუდარები.

**ტატო** – ჩემი ლექსების აღმაფრუნისა და მუზის მიზეზი ყოველთვის შენ იყავი, ეკატერინე. შენზე ძვირფასი და ახლობელი ადამიანი ჩემს სულსა და გულს სხვა არავინ არ აბადია. ჩემთვის ყოველთვის პოეზია იყავი და ამიტომ მთელი ჩემი პოეზია შენ გეკუთვნის. გადმოგცემ ყველაზე ძვირფასს, რაც გამაჩინა ამ ქვეყანაზე (უბიდან ამოიღებს ლექსთა კრებულის გრაგნილს ცისფერი თასმით შეკრულს და ორივე ხელით გაუნოდებს). ეს არის ყველა ჩემი ლექსთა კრებული, ჩემი სულის ამოძახილი და ჩემი გული.

(ეკატერინე გამოართმევს ლექსთა კრებულს და ცალი ხელით გულზე მიიღებს).

**ტატო** – ამდაგვარად ჩემი სული და გული მუდმივად შენთან იქნება, ეკატერინე. (დაიჩიქება ტატო და ხელზე ეამბორება. აცრემლებული ეკატერინე თავს თავზე ჩამოადებს ტატოს).

(ნელ-ნელა შუქი ქრება და მუსიკაც იკარგება. სიბნელე და სიჩუმე რამდენიმე წამი. ისმის ისევ მუსიკა დუდუკებით „დოლის საარი“. დაბალი შუქი ინთება. სცენის უკან ისევ ფარდა კიდია თბილისის ხედის ნახატი ორთაჭალის ბალიდან. საღამოა. სცენაზე ნელა შემოდიან ყარაჩოხელები ხელში მაღლა ანეული სანთელანთებული ღვინის ფიალებით).

#### I ყარაჩოხელი:

„გარდის სურნელით რომ თენდება ღამე ტიალი,  
მაშინ უხდება ღვინით სავსე ჯამებს ტრიალი.  
ღვინო დალიე, მინის ქვეშაც გეყოფა ძილი,  
არ გეყოლება შენ იქ დედა, ცოლი და შვილი“.

#### II ყარაჩოხელი:

„ხალხი ამბობს: არ არსებობს სამოთხეზე კარგი რამო!  
მე კი ვამბობ: სანამ ცოცხლობ, კარგად უნდა სვა და ჭამო.  
დაჯექ მდელოზე და კამკამა ღვინო დალიე,  
სანამ ეს მდელო შენ საფლავზე გაიბინებს“.

#### III ყარაჩოხელი:

„ისიც გავიგე, საბოლოოდ რა ბედს ვეწევით;  
ჩვენ თურმე მინა ვიყავით და მინა ვიქნებით“.

#### IV ყარაჩოხელი:

„მინა, რომელიც დლეს მე და შენ ფეხქვეშ გვიგია,  
ერთ დროს რომ დიდი მეფე იყო, იქნებ იგია?!  
სახეზე მტვერი რომ გვეყრება, იქნება ესეც  
ლამაზ სახეთა მტვერია და ვერ გაგვიგია“.

(სცენის მეორე მხრიდან ტატო შემოვა, კუთხეში დადგება და ყარაჩოხელებს უსმენს).

#### V ყარაჩოხელი:

„ღვინო დალიე! უკვდავება გნამდეს, ეს არი!  
ვნება თუ უნდა სიჭაბუკეს წვავდეს, ეს არი!  
ღვინო იყოს და ვარდებს ჰკრეფდნენ ლამაზმანები...  
ვისაც სიცოცხლე უნდოდეს და სწაფდეს, ეს არი“.  
(ყარაჩოხელები სიმღერას წამოიწყებენ. მღერიან ყველა სამხამი:

„მე რომ ვლოთობ, შენ რას გიშლი, ძმობილო,  
ლოთ კაცშია აბა რა ნახე ცუდი,

մեց յաբու զար, ագրյ ռադոմ մոպորյէ,  
մեց մակարաց տացից նամսուս ქյոֆո”.

**VI յարահոելու** – զաք! Քադո՞?

**VII յարահոելու** – այյետ սաօճան?

**I յարահոելու** – ռաս դամնութեածոլեար, Քադո՞ եռմ արագյոր  
շեցեմթեա?

**Քադո** (դամնութեածու) – յըք. օմլերյտ, ծոյքյօն, օմլերյտ!  
ոյնեծ ռողորմյ տէյցենս ჰանցյօն ჩիմո დարժու դա մնութարյ ցոլո  
տան ցագացապոլու.

**I յարահոելու** (մոյաելուզագյօն) – ռա դացեմարտա, Քադո,  
ցուժագ եռմ արա եա?

**Քադո** (Քադո յարահոելու մեարչի ելու դաացյօն) – ցուժագ  
զար, սթորյօնաց ռոմ ցուժագ, ჩիմո ցոռրցո, ցուժագ.

**I յարահոելու** – ռա դացեմարտա? այյա զարտ ჩիցեն! Շեն ողոնց  
շրտու ցուտեարու դա...

**Քադո** – Տյուլու դամոնթլա, ցոռրցո, Տյուլո! դավրի մարդու դա  
ցուլո. Տյուլամեմոպրոլմա տէյցեն մոցակուտեյտ, ռոմ Շաբանակյունը ալ  
մոցուսմոնոտ. ցամոասմթզութոնքյօն մոցուցու, մե այ արացուս ալար  
ցփորժյօն ზեժմեցու զար գոյութունուն, մոցուցար դա ցեմթզութոնքյօն.

**I յարահոելու** – Տագ? մերյաց, Տագու մոցուսար, Քադու  
ցենացալու?

**Քադո** – նաեշյուանս մոցուցար, ჩիմո ցոռրցո, Տամսակարաց,  
նաեշյուանս!

**II յարահոելու** – զաք! ցացոնուա յաբո՞? Շենուստանա յաբս  
գոյութուսուան նաեշյուաննու ռողորմ յոնդա շյուցյօնեն.

**I յարահոելու** – մարտալուա! Շենուստանա աճամունյօն ჩիցենս  
յշյուանա դասակարցո Տագա ձյուաց! ամատ ռոմ յիշյա ձյունցյտ  
(Ելու տծունուս ելուսակյեն ցամթզուրս), տցալուս ჩինուցու յոնդա  
ցոյրտենութուն դա Տյուլ ելուս ցուլու յոնդա ցագարյօնեն. մացատ  
Շենուստանա ձյունուատ, ռոմ նոյունու ծարատամթզութուն ցուզուլ  
որ գույնու յրտեյլ օճագյօնան. Շեցարցյուն պայլաս նամսու,  
ռոմ յրտու ցամորհյուլու դա լցուուս նոյտու ցեյքյուլու աճամունան  
ցեր Շեցունախու. ჩիցենս մալալ դա ծրնցունցալու Տանցագույնուա  
մեռլուց յրտու րամ անցուրյուննու! գույն մոցուայյունուն Ռուստա  
մեցյու, րատա Տանցալութլաց տանամցյօնքյօն դա հին-մեցլույն  
մուլոն! յշյուանա դա յրու յու մաց Տյուլնանցյություննուն 30 ցերցե-  
լաց ցակյուցյու.

**ტატო** – ჩემით მივდივარ, გიორგი, ჩემით. გამოსამშვიდობებლად მოვედი, თორუმ მწუხარე სევდამ და ნაღველმა დამილია წუთისოფელი. ვემშვიდობები ყველას და ყველაფერს, ვემშვიდობები ჩემს საყვარელ ადამიანებს, ვემშვიდობები ტფილისა!

**I ყარაჩოხელი** (ფიალას ღვინით მიაწვდის) – მიირთვი, ტატო, დარდი ჩაიცხრე. ახლა ომარ ხაიმის ლექსებს ვამბობდით. ის ბრძენი კაცი! ღვინის სმაში გულისხმობდა, რომ „დარდს წუ გა-დაყვებით და ეცადე ბეჭნიერად იცხოვრეო“, იმიტომ, რომ სი-ცოცხლე ძალიან მოკლეა. კაცმა არ იცის, საბოლოოდ ვის რა ბედი გვეწევა.

**ტატო** – დაუკარით თქვნებურად! გამოსამშვიდობებისა იყოს (ისმის ისევ დუდუკის ხმა, ტატო მოსვამს ღვინის, ფიალას დაუბრუნებს გიორგის და ნაღვლიანად დაიწყებს ლექსის კითხვას).

(მსახიობმა შეიძლება „მერანი“ წაიკითხოს სრულად ან რომელიმე მონაკვეთი):

**„მერანი“**

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,  
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი!  
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,  
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

გაკვეთე ქარი, გააპე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი,  
გასწი, გაკურცხლე და შემიმოკლე მოუთმენელსა სავალნი დღენი!  
წუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა,  
წუ შემიბრალებ დაქანცულობით თავგანწირულსა შენსა მხედარსა!

რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა,  
წულა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს,

ტკბილმოუბარსა;  
საც დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო,  
მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო გულისა  
მე საიდუმლო!

კვნესა გულისა, ტრფობის ნაშთი, მივცე ზღვის ღელვას,  
და შენს მშვენიერს, აღტაცებულს, გიურსა ლტოლვას!  
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,

## Եղանակներ ծանությունների

და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

ნუ დავიძარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ  
საფლავებს შორის,  
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნუღა დამეცეს  
ცრემლი მწუხარის;  
შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელოთა შორის  
ტიალის მინდვრის,  
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ლრიალით,  
მიწას მამაყრის!

სატრუქოს ცრემლის წილ მკვდარსა თხერსა დამეცემიან  
ციურნი ცვარნი,  
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად მივალალებენ  
სვავნი მყივარნი!  
გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის  
სამძღვარი,  
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი!

და მოვკედე მე უპატრონოდ მისგან, ოხერი! ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი! გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი, და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი, უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი! გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი, და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

ଓଡ଼ିଆ

2015 6.

**პიესაში გამოყენებულია:**

ომარ ხაიამი – ალ. ელერდაშვილის თარგმანი;

არსენა მარაბდელი – მ. ჯავახიშვილი;

ინტერნეტ გვერდი – „ბურუსი“-ს მასალები;

ინტერნეტ გვერდი – ucnauri.com-ის მასალები;

ინტერნეტ გვერდი – wikipedia-ს – მასალები;

# საღილი



### მონაწილეები:

**ირაკლი** – ბაბუა

**დავითი** – ირაკლის შვილი

**თამარი** – დავითის მეუღლე

**ნინო** – დავითისა და თამარის შვილი

**ლაშა** – ნინოს მეგობარი

**მარიამი** – ნინოს უფროსი და

**გიორგი** – მარიამის შვილი.

**თამარი** – დავით, რა კარგია ადრე რომ დაბრუნდი სახლში, სადილი მზად არის.

**დავითი** – ძალიან კარგი.

**თამარი** – მამა თავის ოთახშია, ტელევიზორს უყურებს, გამოიყვანე და მაგიდასთან დასხედით, სუფრას ახლავე გაგინყობთ.

**დავითი** – რა ბედნიერებაა, რომ დენი აღარ გვეთიშება, როგორც იქნა, დათბა სახლში. გარეთ ისეთი ყინვაა, რომ ძალლს ვერ გაიყვანს კაცი სახლიდან.

(ოთახიდან გადის).

**თამარი** (სუფრას აწყობს) – ნინო, შვილო, მოდი, დამეხმარე სუფრის გაწყობაში.

**ნინო** – ახლავე დედა (შემოდის და დედას ეხმარება).

**დავითი** (ბრუნდება ოთახში მამამისთან ერთად) – დღევანდელი იუბილარი სუფრის თავში. დაბრძანდი, მამაჩემო (სკამს ხელს შეაშველებს). ეს წიგნიც საჩუქრად.

**ირაკლი** – გმადლობ, შვილო (წიგნს გადაფურცლავს).

**დავითი** – მამაჩემო, ამდენი წელი უშუქობაში გავატარეთ და ახლა ტელევიზორის ყურება მაინც შეგვიძლია (გვერდით მიუჯდება). იმედი ვიქონიოთ, იქნებ თანდათან დალაგდეს ცხოვრება.

**ირაკლი** – ეჲ, ღმერთმა გისმინოს, შვილო. მე დალაგებულ და აწყობილ ქვეყანას ვეღარ მოვესწრები და ანი თქვენ იყავით ბედნიერები.

**ნინო** – ბაბუა, ჩვენ ისედაც ბედნიერები ვართ, რომ ყველა

ერთად ვართ (ლვინის პატარა დოქს დადგამს მაგიდაზე ბაბუასა და მამას შეუა. ბაბუას სიცილით მოეხვევა და აკოცებს. შემდეგ დავითს მიმართავს). – მამა, მეგობარმა დამირეება, ახლა უნდა მოვიდეს. ბიბლიოთეკაში ვართ წასასვლელები, უნივერსიტეტში გამოცდებისათვის მასალებს ვამუშავებთ.

**დავითი** – ისადილე, შვილო და ისე წადი.

**ნინო** – დრო აღარ არის, ლაშა ეხლავე მოვა; არა უშავს, გზად პიცერიაში შევივლით.

**თამარი** – პიცერიაში რა გინდათ, შვილო, ამ სიცივეში, ან იმ უვარგისი თურქული ფქვილით რა პიცა უნდა დამზადდეს.

**დავითი** – ნინო, შვილო, შენს მეგობართან ერთად სადილად აქ დარჩით. იშვიათად ვართ სახლში ყველა ერთად, მით უმეტეს, დღეს ბაბუას დაბადების დღეა და ვისამოვნოთ ერთმანეთთან ურთიერთობის ამ მცირე დროით. სადილიც კარგი მოგიმზადებიათ; ცხელი რაჭული ლობიო, ჩაჭრილი ლორით, მწნილ-მჟავეული და მჭადები ყველით. ადრე ყოველივე ეს გლეხის საჭმელად ითვლებოდა, დღესდღეობით კი სახლში ასეთი სადილი თითქმის ფუფუნების ტოლფასია.

**ნინო** (სახლის კარის ზარის ხმა გაისმა) – ლაშა იქნება, მე გავუღებ კარს.

(მალევე ნინო დაბრუნდება დამორცხვებულ ახალგაზრდასთან ერთად) – გაიცანით, ჩემი თანაკურსელია – ლაშა.

**თამარი** – სასიამოვნოა, მობრძანდით, სადილობას ვაპირებთ და ჩვენთან ერთად ისადილეთ.

**ლაშა** (უხერხულად და დარცხვენით) – არა, არა, რას ბრძანებთ, გმადღლობთ. ჩვენ წავალთ, ნინოს და მე ერთად სამუშაო გვაქვს გასაკეთებელი და სამეცადინოდ საღამომდებილოთეკაში ვიქნებით.

**დავითი** (მაგიდიდან წამოდგება და ლაშას მაგიდასთან მიიწვევს) – მობრძანდით, მობრძანდით, ნუ გერიდებათ. ისადილეთ ჩვენთან ერთად, ოდნავ გათბებით კიდეც, ხედავთ გარეთ რა სიცივეა. ბიბლიოთეკა გვიანობამდე ლიაა და იქაც მოასწრებთ შესვლას.

ლ ა შ ა - გამარჯობათ (მიესალმება ბაბუას, ქურთუკს ნინო ჩამოართმევს და მაგიდასთან დაჯდება).

ნ ი ნ ო - დღეს ბაბუს დაბადების დღეა. გაგიმარჯოს და დიდხანს იცოცხელე, ბაბუა.

ყ ვ ე ლ ა - გაუმარჯოს! გაუმარჯოს!

ი რ ა კ ლ ი - გმადლობთ, შვილებო. (მცირე პაუზა) დღეს სტალინის დაბადების დღეცაა და მისი მოსაგონარიცი იყოს. ფრონტზე სტალინის სახელით მივდიოდით შეტევებზე (მშვიდად წარმოსთქვამს და შემდეგ კედელზე ჩამოკიდებულ დიდ სურათს გახედავს, რომელზეც გამოსახულია ბაბუა ირაკლი საბჭოთა ჯარის არტილერიის პოლკოვნიკის სამხედრო მუნდირით, საბრძოლო ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული).

80 წელს გადაცილებულმა და თვალში ცრემლჩამ-დგარი ბაბუა ცოტა ხანს უყურებს თავის მხედრულ სურათს, შემდეგ ოდნავ ღვინოს მოსვამს და მცირე სასმისს მაგიდაზე წელ-წელა დაუშვებს).

ნ ი ნ ო (ლაშას გვერდით მჯდომი) - ლაშა, ბაბუა ირაკლის ძალიან საინტერესო (ცხოვრების გზა აქვს გავლილი).

დ ა ვ ი თ ი (დიმილით, ხუმრობით) - ბარემ ათ კაცს ეყოფა მისი ბიოგრაფია.

ი რ ა კ ლ ი - ნუ გამანითლებთ ახლა, ამ სიბერეში.

ნ ი ნ ო - 1945 წელს ბაბუა ირაკლი 24 წლის იყო, როდესაც იგი საბჭოთა ჯარებთან ერთად ბერლინში შევიდა და ომი დაამთავრა ბერლინის კომენდანტის ერთ-ერთი ადიუტანტის თანამდებობაზე, არტილერიის მაიორის ჩინის წოდებით. ომის დამთავრების შემდეგ, საბჭოთა ჯარები ბერლინში დიდხანს დარჩნენ, კომენდატურას ევალებოდა ბერლინის პატრულირება და წესრიგის დაცვა, რადგანაც საბჭოთა ჯარის ბევრი მებრძოლები „მოროდიორობდნენ“ და უამრავ საშინელებებს ჩადიოდნენ.

ერთ-ერთი იყო რუსი პოლკოვნიკი, რომელიც გერმანელ პატარა გოგონას აუპატიურებდა, მისი თანაშემწენი კი იმ გოგოს სახლს ძალის პოლკოვნიკი ბაბუამ თავისი ხელით ადგილზევე დახვრიტა. ამის

გამო ბაბუას ბერლინი დაატოვებინეს. შემდეგ მან სამსახური რუსეთში, სამხედრო აკადემიაში გააგრძელა, სადაც პოლკოვნიკის ჩინს მიაღწია. სტალინის კულტად გამოცხადების შემდეგ, სამხედრო აკადემიაში კრება გამართულა და აკადემიის რექტორს, სტალინი უხსენებია ცუდად და აუგად, როგორც მას ზემდგომმა ორგანოებმა დაავალეს.

ირაკლი ბაბუას ველარ მოუთმენია, კრებაზე წამომდგარა და სამხედრო აკადემიის ხელმძღვანელისათვის სახეში სილა ისეთი ძალით გაუწნია, რომ გენერალი ტრიბუნიდან გადაფრენილა.

ბეწვზე გადარჩა მაშინ ბაბუა გაციმბირებას. სამხედრო ტრიბუნალმა გაითვალისწინა ბერლინის ამლები არტილერისტის დამსახურება. პოლკოვნიკის ჩინიდან ვიცე-პოლკოვნიკის წოდებამდე დააქვეითეს და სამხედრო აკადემიიდან დაითხოვეს.

თბილისში დაბრუნებულმა ბაბუამ, სამხედრო საგნის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა თბილისის ერთ-ერთ სკოლაში, სადაც პენსიაში გასვლამდე იმუშავა.

**დავითი** – გაუმარჯოს (ხმადაბლა ოდნავ გაღიმებული იტყვის და მოსვამს სასმისს, ლაშას გარდა სხვებიც ოდნავ მოსვამენ ღვინოს). თქვენ არ მიირთმევთ?

**ლაშა** – კი, მაგრამ არ შემიძლია.  
**დავითი** – მცირე, ოდნავ მოსვი, კარგი ღვინოა, შეთბები კიდეც.

**ლაშა** – ბატონ ირაკლის არ მინდა ვაწყენინო, მაგრამ სტალინის სადღეგრძელოს შესმა არ შემიძლია.

**თამარი** – ნება შენია, შვილო, არავინ გაძალებს, ჩვენ ბაბუას თანავუგრძნობთ, თორემ რაღა დროს სტალინია. (სითბოთი და ღიმილით იტყვის თამარი).

**ნინო** (სიცილით) – რა გაწყენინა, ბიჭო, სტალინმა?  
**ლაშა** (თავდახრილი) – 1937 წელს, ჩემი დიდი ბაბუა დახვრიტა.

**ირაკლი** – დიდი ბაბუა რა გვარისა იყო, შვილო?

**ლაშა** – შერევაშიძე.

**ირაკლი** – აუჰ! (შუბლშეკრული წამოდგება და სკამის უკან გაივლ-გამოივლის) 37-ში დახვრიტეს ხომ?.. ასეთი დიდი გვარის მქონე კაცს კიდევ დიდხანს უცოცხლია,

ჩემო ბატონო. სტალინი რომც არ ყოფილიყო, ლენინი, ტროცკი ან სვერდლოვი იმდენ ხანსაც არ აცოცხლებდნენ მას. ისინი მთელს ამიერკავკასიას მაინც დაიპურობდნენ ისევე, როგორც დაიპურეს შესა აზის ქვეყნები. ლენინის ფრაზა – „სჯობია ერთი ნაბიჯით უკან დავიხიოთ, რომ შემდეგ ორი ნაბიჯი წინ გადავდგათო“ – სწორედ ამას ნიშნავდა. ბოლშევიკები თავიანთ ახალ კომუნისტურ ქვეყანას, ყოფილი რუსეთის იმპერიის საზღვრებში გაიაზრებდნენ. ფინეთის და პოლონეთის დაპყრობაც ამიტომ განიზრახეს, მაგრამ ვერ მოახერხეს და სამარცხვინოდ დამარცხდნენ პოლონეთისა და ფინეთის ომებში.

**ლაშა –** ჩემთვის არა აქვს მაგას მნიშვნელობა!

**ირაკლი –** ჩემი ან გარდაცვლილი მეუღლე, ღმერთმა აცხონოს მისი სული, რუსეთში ყოფნისას მოვიყვანე ცოლად. სტროგონოვის ქალიშვილი იყო. მისი მშობლებიც გააციმბირეს და დახვრიტეს. დრო იყო მაშინ ისეთი, საშინელი... სხვა რეალობა იყო (დაამთავრებს სიტყვას და ისევ მაგიდასთან დაჯდება).

**ლაშა –** როდესაც მენშევიკებმა მეფე გადააყენეს და ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში, მაშინ უნდა მოეშორებინათ ბოლშევიკი ბანდიტ-ყაჩალების ხროვა და ის საშინელი რეალობა აღარ მოხდებოდა, რაც რომ შემდეგ მოხდა.

**ირაკლი –** ბოლშევიკებმა რატომ აჯობეს, თუ გიფიქრიათ ამაზე? ძველი ბოლშევიკები ძალიან გამოცდილები იყვნენ. თითოეულ მათგანს რამდენიმეჯერ ჰქონდა მოხდილი გაციმბირება, გადასახლება, პატიმრობა თუ კატორდა. ყველას მრავალი პოლიტიკური ბრძოლის დიდი გამოცდილება ჰქონდა მიღებული. დაპატიმრებებიდან გარბოდნენ. ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში ემიგრაციებში ყოფნისას, მრავალ ევროპელ რევოლუციონერებს ხვდებოდნენ. სტალინი და ორჯონიქიძე ბაქოში ერთად ისხდნენ ციხეში მესამე კამერაში. შემდეგ ისინიც ემიგრაციაში აღმოჩნდნენ და კვლავ ციმბირი და გადასახლება. ყველა ასე იყო.

რაც შემეხება მე, არც სტალინის მომხრე არა ვარ და არც ბოლშევიკებისა! არც ეგრეთ წოდებული, დღეს

რომ იძახიან, სტალინისტი არ გახლავართ, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ბოლშევიკებმა აჯობეს უნიათო, უხერხემლო და გამოუცდელ მენშევიკურ ინტელიგენ-ციას, რომლებმაც გამარჯვების შემდეგ მთელი ქვეყა-ნა გადააბარეს, როგორც თქვენ ბრძანებთ – „ნაციხარ ბანდიტებს“!

დროებითი მთავრობის მეთაური კი, ბატონი კერენ-სკი ქალის კაბაში გადაცმული გაეპარა ბოლშევიკებს. თამარი – არ გინდათ ახლა, პოლიტიკაზე ნუ დაიწყებთ ლაპარაკს და ნუ შეებმებით ერთმანეთს. ირაკლი – პირიქით, ვისაუბროთ! მაინტერესებს ახალი თაობის აზრი. ჩემს შვილიშვილებს ჩემთან სალაპარაკოდ არა სცალიათ, სულ დაკავებულები არიან.

ნინო (სიცილით) – ვსწავლობ, ბაბუ.

ირაკლი – ხოდა, ახლა ვილაპარაკოთ ბატონო, მაინტერესებს როგორი თაობა მოდის, რას ფიქრობთ, როგორ აზროვნებთ?

დავითი – ილაპარაკეთ, ისაუბრეთ, ოლონდ მშვიდად და ნერვების აშლის გარეშე. ჩვენ მაინც დაკარგულ თაო-ბად ვითვლებით და თქვენგან მაინც გავიგებთ რაიმე ახალს, საით მიდის ცხოვრება და რა მოგველის მო-მავალში.

ნინო – დაპირისპირება ბაბუა-შვილიშვილთა თაობებს შორის, ხომ?

ირაკლი – ეგ არის სწორედ, დაკარგული თაობები ვართ ვითომ, ხომ! ფუჭად გვიცხოვრია! ჰმ!!

ნინო – რატომ ბაბუ, შვილი და შვილიშვილები ხომ შენი დანატოვარები ვართ, შვილთაშვილსაც მოესწარი.

თამარი – ცხოვრება მარტო ეგ არ არის, შვილო...

ირაკლი – განვლილი ცხოვრების გზას რომ გახედავ და არ შეგრცხვება შენი თავის, ესე იგი, ლირსეულად გიცხოვრია! დიახ, მე სტალინის ეპოქის ადამიანი ვარ. ვიმეორებ, რომ სტალინისტი არა ვარ, მაგრამ ვალიარებ მის უდიდეს ნიჭიერებას. იმ ეპოქაში მომიწია ცხოვრება და მე არც სასირცხვილოდ და არც ფუჭად არა ვთვლი ჩემ მიერ განვლილ ცხოვრებისეულ გზას.

ლაშა – ჩემთვის სტალინი ქართული წარმომავლობის რუსეთის

პოლიტიკური მოღვაწეა. თქვენ ამბობთ, რომ სტალინი უდიდესი ნიჭის მქონე პიროვნება იყო და ამიტომ სცემთ მას პატივს. ამიხსენით, რაში გამოიხატა მისი დიდი ნიჭიერება – მილიონობით ადამიანთა დახვრეტაში?

ი რ ა კ ლ ი – მტერი რომ მტერია, თუ მას ნიჭი და ტალანტი გააჩნია, აუგად და ზერელედ ვერ მოეპყრობი მას, მისი ნიჭიერება დასაფასებელია და სერიოზული დაფიქრებით უნდა მოეკიდო მას. პაბლო პიკასომ თქვა – „სტალინში ერთად იყო თავმოყრილი იულიუს კეისრის ჭკუა და მარკუს ოქტავიუსის ეშმაკობა, ალექსენდრე მაკედონელის მხედართმთავრული გენია, ციცერონის მჭერმეტყველება და აზრის სისხარტე, და მაინც იგი ყველა მათგანზე მაღლა დგას, ბევრად მაღლა“.

ჩვენ, ქართველებს, სხვა მეორე მსგავსი ადამიანი არასოდეს გვყოლია ისეთი, ვისაც რომ იმის მიღწევა შეძლოდა, რასაც სტალინმა მიაღწია.

ერთი უბრალო პროვინციელი ბიჭი საქართველოდან, რომელიც ციმბირის ციხეებში დაკაცდა და გარშემო უამრავი მტრები ჰყავდა, მარტოდმარტომ, დახმარების გარეშე თვითონ გაიკალა ცხოვრებისეული გზა და მსოფლიოში ყველაზე დიდი სახელმწიფოს, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი გახდა, რომელიც გააძლიერა და განამტკიცა; შემდეგ ჰიტლერი დაამარცხა, ახალი სოციალისტური სისტემა შექმნა, ნახევარი ევროპა ამ სისტემას შეუერთა და დაიმორჩილა, ჩინეთიც კორეა-მონღლოლეთიანად თავის სისტემაში მოაქცია, ირანსა და თურქეთშიც საბჭოთა ჯარის ნაწილები იდგნენ და თითქმის მთელი სამი ათეული წელი მართავდა ნახევარ მსოფლიოს. სტალინზე ასეთი გამოთქმა არსებობს: „ქალამნებიანი ქვეყანა ჩაიბარა და ატომური იმპერია დატოვაო“. კრიტიკა, იცოცხლე, ადვილია, აბა, დღეს ვინმე ქართველმა მიაღწიეთ იმას, რასაც რომ სტალინმა მიაღწია.

ლ ა შ ა – მოცილე რომ არავინ ყოფილიყო, სტალინმა ყველა მოაკვლევინა – კიროვი, ტროცკი, სვერდლოვი, ბუხარინი, ზინოვიევი, კამენევი. მანამდე კი ლენინმა ეკლესია

გაანადგურა, მღვდელმთავრები ბევრი დახვრიტეს, დანარჩენები კი გააციმბირეს, ეკლესიის ქონება დაიტაცეს. მთელი ინტელიგენცია გაანადგურეს, ძველი ბოლშევიკებიც დახვრიტეს და, რა თქმა უნდა, არავინ აღარ დარჩა, რომ წინ აღსდგომდა სტალინს.

**ი რ ა კ ლ ი** – მართალი ბრძანდები, ჩემი ბატონო. ლენინი უარესი დესპოტი იყო. მან მოკლე ხანში 20 მილიონი ადამიანი დაახვრეტინა ქონების კონფისკაციით. მის ნაშრომებში და მრავალტომეულ წიგნებში კი ყოველ გვერდზე მრავლად წერია: „დახვრეტა, დახვრეტა, დახვრეტა!“

სტალინმა კი გაგანია ომის დროს, ეკლესია-მონასტრები სამღვდელოებას დაუბრუნა და წირვა-ლოცვა აღადგინა.

**ლ ა შ ა** – არც ის დავივიწყოთ, რომ სტალინმა 30 მილიონი ადამიანი დაახვრეტინა. საქართველოში მთელი ინტელიგენცია თითქმის გაწყვიტა.

სამამულო ომის დროს ხომ შეეძლოთ, რომ ქართველი ჯარისკაცები სხვადასხვა დივიზიებში, სხვადასხვა პოლკებში და სხვადასხვა ფრონტებზე გადაენანილებინათ, მათ პირიქით გააკეთეს, ყველა ქართველი ერთად შეერიბეს, შექმნეს ქართული დივიზიები და ყველა ერთად უაზროდ დაახოცინეს, გერმანელთა ავიაციისა და არტილერიის მასიურ დაბომბვებს, ნოვოროსიისკის, ქერბისა და ჰაჯი მუშკაის, ნაკლები მნიშვნელობის მქონე ქვა-ლორლიან პლაცდარმებზე. იმდროინდელი საქართველოს მთელი მოსახლეობის, ერთი მესამედი ნაწილი ომში დაიღუპა.

**დ ა ვ ი თ ი** – საშინელებაა ომები, ნაპოლეონისა და პირველი მსოფლიო ომის პერიოდებშიც ბევრი ქართველი დაიღუპა და დღეს ამის შესახებ თითქმის არაფერი ვიცით.

**ლ ა შ ა** – როდესაც ნაპოლეონი ეგვიპტეში შეიჭრა, ვითომდა ეგვიპტის გასათავისუფლებლად მამელუქთა მრავალ-ნლოვანი ტირანიისაგან, მან ასეთი სიტყვით მიმართა თავის გვარდიას: – „უძველესი კულტურის მქონე ეგვიპტე გავათავისუფლოთ და გავწმინდოთ ბარბაროსი

ქართველი და აფხაზი მამელუქებისაგანო, რომლებ-საც დაბყრობილი აქვთ ეგვიპტე“. შემდეგ კი ეგვიპტე გაძარცვა და ნაძარცვი ლუვრში გადააგზავნა. სფინ-ქსის ლომის აკლდამას კი მისი არტილერია ზარბა-ზნებს ესროდა გართობის მიზნით, თუ ვის უკეთესი მიზანი ჰქონდა.

ნაპოლეონმა, ვითომ ევროპაც გაათავისუფლა მო-ნარქიებისაგან რესპუბლიკური იდეების გამო, შემ-დეგ კი თვითონვე, თავზე საიმპერატორო გვირგვინი დაიდგა და თავი ევროპის იმპერატორად გამოაცხადა.

თამარი – საცოდავი და გატანჯული ქართველი ერი. რა უნ-დღდათ ეგვიპტეში? სამარცხვინო მაშინდელი ქარ-თველი თავად-აზნაურობა! ერთმანეთს ყმებს პარავ-დნენ, ხანდახან მთელ ოჯახ-სოფლებიანად და ოსმა-ლეებიში ყიდდნენ საცოდავებს. ყოველწლიურად 100 ათასამდე ქართველი იყიდებოდა მონად აღმო-სავლეთის ბაზარზე.

ლაშა – ნაპოლეონის მსგავსად მოიქცა სტალინიც, ვითომდა ევროპა გაათავისუფლა ფაშიზმისაგან, შემდეგ კი ნახევარი ევროპა დაიბყრო, გაძარცვა, გააწითლა და კომუნისტური რეჟიმი დაუწესა მათ.

ირაკლი – სტალინმა მთელი ევროპის დაბყრობ ჰიტლერს ომი მოუგო. იაპონია რომ იმ დროს ზურგში თავს არ დაგვესხა, ეგეც სტალინის დამსახურებაა. ნახე-ვარი ევროპა კი იმიტომ დაიმორჩილა, რომ თავისი ქვეყნისათვის დამცავი ფარი, ანუ დამცველი ზონა შეექმნა, რადგან ტევტონები, ნაპოლეონი და ჰიტ-ლერი სწორედ ევროპიდან შემოდიოდნენ. ჩინეთში, მონლოლეთში და კორეაში სისტემა შეცვალა, ეს ქვეყნები დაიმეგობრა და საბჭოთა კავშირის საზ-ლვრები, ამგვარად კიდევ უფრო გაამაგრა, რადგან ომის დამთავრების შემდეგ, ამერიკის ჯარი ევრო-პაში იდგა გენერლების ეიზენჰაუერისა და პატონის ხელმძღვანელობით; ზურგში კი, იაპონიის ატომური დაბომბვის შემდეგ, მთელ შორეულ აღმოსავლეთსაც ამერიკის ჯარები აკონტროლებდნენ გენერალ მაკარ-ტურის მეთაურობით. სტალინის დიდი მოკავშირე

პრეზიდენტი რუზველტი, ახალი გარდაცვლილი იყო და ამერიკის შემდგომ პრეზიდენტთან ტრუმენთან სხვა ურთიერთობები ჩამოყალიბდა.

გენერალი პატონი საბჭოთა კავშირთან ომის მომხრე იყო. იგი ცდილობდა დაერწმუნებინა ამერიკის ხელმძღვანელობა, რომ – „ადრე თუ გვიან, საბჭოთა კავშირთან ომი მაინც მოგვიწევს, ბარემ აქა ვართ ევროპაში, მაკარტურიც ზურგიდან დაარტყამს და ავილოთ მოსკოვიო“ . იმ დროს, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირს ატომური ბომბი არ გააჩნდა.

სტალინის დიპლომატიამ გადაარჩინა მაშინ საბჭოთა კავშირი ატომური განადგურებისაგან. ნიკიტა ხრუშხის პერიოდში, როდესაც რუსებმა კუპაში ატომური რაკეტები შეიტანეს და მსოფლიო ბეწვზე გადაარჩა მესამე მსოფლიო ატომურ ომს, ამერიკის ადმინისტრაციამ მაშინ გაიხსენა გენერალ პატონის სიტყვები – „მერე უკვე გვიანი იქნებაო“.

**ლ ა შ ა** – სტალინს ის არ უნდა გაეკეთებინა, რაც რომ მან შემდეგ გააკეთა. გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკებიდან გათავისუფლებულ ტყვებს, ევროპის ქვეყნებში მედლები და ორდენები დაურიგეს როგორც გმირებს. საბჭოთა ტყვები კი, სამშობლოში დაბრუნებისას, რკინიგზის ვაგზლებშივე ერთი მატარებლის ვაგონებიდან სხვა მატარებლის ვაგონებში გადაიყვანეს და ეტაპებად ციმბირის ციხეებში გადააგზავნეს კიდევ 10 წლის სასჯელით, როგორც სამშობლოს მოღალატეები.

საბჭოთა ჯარების ევროპაში შესვლის შემდეგ, საბჭოთა მარშლებმა, გენერლებმა, ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა ნახევარი ევროპა გაძარცვეს. სახელოვანი ნითელი არმიის მებრძოლებმა უამრავი ქალები გააუპატიოურეს. არც მცირებლოვანი ბავშვები დაინდეს, არც მოხუცები და არც საავადმყოფოში მწოლიარე ქალები. საბჭოთა ჯარის ნაწილებმა მარტო გერმანიაში 2 მილიონი ქალი გააუპატიოურეს და ნაწილი შემდეგ დახვრიტეს. სხვა ქვეყნებს ალარ ვამბობ.

ი რ ა კ ლ ი - კაი, გაჩერდი, კაცო! ნუ გამახსენებ მაგას! მე თვითონ ჩემი თვალით მაქვს ნანახი ყოველივე ეგ და სწორედ მასეთ უმსგავსობებს ვებრძოდი ბერლინში.

დ ა ვ ი თ ი (ღიმილით, მხარზე ხელის მოთათუნებით) – იმიტომაც გამოგისტუმრეს ბერლინიდან, მამაჩემო. (საერთო სი-ცილი) ერთ საინტერესო ფაქტს გიამბობთ. „ნავთობი დედოფალია და ქალაქი ბაქო გვირგვინიო“. ეს სიტუაცია უინსტონ ჩერჩილს ეკუთვნის. როტშილდისა და ძმები ნობელების მიერ დაწყებული საქმით, ბაქოს ნავთობი ბათუმის პორტიდან ევროპაში გადიოდა და მთელი ევროპის ნავთობის მრეწველობის 90 %-ს შეადგენდა. გერმანის სათავეში ჰიტლერის მოსკოვის შემდეგ გერმანიას დიდი რაოდენობით ნავთობი სჭირდებოდა არმიისათვის. ტანკები, სამხედრო მოტორიზირებული და სატვირთო-სამანქანო ტექნიკა, თვითმფრინავები, საზღვაო და წყალქვეშა ფლოტი ყველაფერი ნავთობზე მუშაობდა. ჰიტლერმა სავაჭრო ურთიერთობა დაამყარა სტალინთან, დიდი რაოდენობით ნავთობის შესასყიდათ. 1939 წ. როდესაც გერმანიამ პოლონეთი დაიპყრო, შეშინებულმა ინგლისმა და საფრანგეთმა გადაწყვიტეს გაერთიანებული საპარო ძალებით, თვითმფრინავებიდან დაებომბათ და მინასთან გაესწორებინათ ქალაქები ბათუმი და ბაქო, რათა გერმანიას ნავთობი ვეღარ მიეღო. ჰიტლერმა დაასწრო და მალევე მთელი ევროპა დაიპყრო. 1941 წ. საბჭოთა კავშირთან ომის დაწყებისას ჰიტლერს იმედი ქონდა რომ სამ თვეში დაასრულებდა ომს, კი-ევის აღების შემდეგ ჰიტლერი ჩაფრინდა კიევში და იქ გამართულ ბანკეტზე, გენერალიტეტმა მას დაახვე-დრა ტორტი საბჭოთა კავშირის გამოსახულებით. კასპიის ზღვის ადგილას შავი შოკოლადი იყო ჩასხმული ერთმა გენერალმა კოვზით გადაასხა ბაქოს ზევიდან შოკოლადი, ის ნაჭერი მოჭრა და ჰიტლერს მიართვა სიმბოლურად ბაქოს ნავთობის დასაპყრობად. ფიურერი აღფრთოვანებული დარჩა. მაგრამ ომი ოთხ წელს გაგრძელდა. საწვავის უქონლობის გამო გერმანული სამხედრო ტექნიკა გაჩერებული იყო და ნინ

ვეღარ მიიწევდნენ. რუმინეთში წარმოებული ნავთობი მოთხოვნილების მხოლოდ 8 %-ს შეადგენდა. ყუბანის მაკოპისა და გროზნის ნავთობის ჭაბურლილები ბერიამ მოშალა და შიგ ბეტონი ჩაასხმევინა. სტალინ-გრადში გაჩერებულ ევროპის დაპყრობელ პაულიუსის სახელმიწოდებლის მეცნიერებების მიერ არმიას, წვეთი საწვავი აღარ ქონდა რომ წინ წასულიყო და ბაქო აელო, ამით ომიც მალევე დასრულდებოდა, რადგან საბჭოთა არმიას ბაქო აწვდიდა საწვავის 90 %-ს, კუიბიშევი კი 10%-ს. საწვავის მოლოდინში გაჩერებული ფელდმარშალი პაულიუსი, თავისი დამშეული და გაყინული არმიით წითელ არმიას დანებდა. ომის დამთავრების შემდეგ 12 ქალაქს გმირი ქალაქების წოდებები მიანიჭეს. აზერბაიჯანის მეთაურმა ბაგიროვმა სურვილი გამოიტვა, რომ გმირი ქალაქის წოდებას ბაქოც იმსახურებდა რადგან 4 წლის განმავლობაში ქალი და კაცი, დიდი და პატარა, ყველა ერთად შეუჩერებლივ 24 საათის განმავლობაში ამჟამადნენ ნავთობის საწარმოებს და ომი ფაქტიურად ბაქოს ნავთობმა მოიგო. რა თქმაუნდა ბაქოს არ მისცეს გმირი ქალაქის წოდება, ბაგიროვი კი მალევე დახვრიტეს.

**ი რ ა კ ლ ი** – უკეთესია, ერთი ისეთი შემთხვევა მოგიყვეთ, რაც რომ თქვენ არ იცით (წამოდგება, კარადის ზედა უჯრიდან რვეულს აიღებს, გადაშლის და ისევ მაგიდას მიუჯდება).

**ნ ი ნ ი** – რა არის ეგ, ბაბუა, მემუარები?

**ი რ ა კ ლ ი** – ისტორიკოს დევი სტურუას მოგონებებიდანაა, მომისმინეთ:

საქართველოსა და ირანს შორის 3000-წლოვანი ურთიერთობის ისტორიულ მანძილზე, მსგავსი არაფერი არასოდეს მომხდარა, რაც რომ მოხდა თეირანში მეორე მსოფლიო ომის დროს (კითხვას დაიწყებს). „1941 წლის აგვისტოში საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ჯარები ირანში შევიდნენ. მათ ირანის ჩრდილოეთი ტერიტორიები დაიკავეს. მოკავშირეებმა იქ თავიანთი ბაზები შექმნეს, რომ საბჭოთა ფრონტისათვის ამერიკიდან, სამხედრო ტექნიკა და სურ-

სათი მიეწოდებინათ. ირანის დიქტატორი შაჰი რეზა, ირანიდან გაიქცა და სამეფო ტახტი დაუტოვა, თავის 21 წლის შვილს მოჰამადრეზა ფეჰლევის, რომელსაც განათლება ევროპაში ქონდა მიღებული და გამეფების შემდეგ მთლიანად მოკავშირებზე იყო დამოკიდებული, რადგანაც ირანის მოსახლეობა და ახლად შექმნილი ირანის სახალხო პარტია გამოუცდელ, ახალგაზრდა შაჰს სერიოზულად არ აღიქვამდნენ. იგი უფრო სიმბოლური მონარქიული ფიგურა იყო.

1943 წლის 28 ნოემბერს, თეირანში დაიწყო სამი მოკავშირე სახელმწიფოს ხელმძღვანელთა კონფერენცია, სადაც განიხილავდნენ მეორე ფრონტის გახსნის შესაძლებლობისა და საბჭოთა კავშირისადმი დახმარების ტვირთის ტრანსპორტირების საკითხებს. ერთ საღამოს, თეირანის საბჭოთა საელჩოში დიდი სავახშმო წვეულების შემდეგ, სტალინს რუზველტისა და ჩერჩილისათვის ახალი გადაღებული ფილმი „გიორგი სააკაძე“ უჩენებია, შემდეგ კი სტალინს აუწყეს, რომ დღისით ირანის შაჰი თვითონ ხლებია რუზველტს და საუბარი მათ შორის მხოლოდ 5 წუთი გაგრძელებულა. ჩერჩილმა კი შაჰი მისაღებში ალოდინა და შემდეგ აუდიენცია სამ წუთში დაამთავრა, რაზეც ირანის შაჰინ შაჰი დიდად შეურაცხყოფილი დარჩენილა.

სტალინმა გადაწყვიტა ვიზიტად წვეოდა ირანის შაჰს, ვინაიდან სტუმრის ვალია ეახლოს მასპინძელს, მადლობის გადასახდელად სტუმართმოყვარეობისათვისო. ამას ვერც რუზველტი და ვერც ჩერჩილი ვერ მიხვდნენ, რომ ახალგაზრდა შაჰის პოზიციები ტახტზე გაემყარებინათ.

სტალინი მოლოტოვთან ერთად გაემგზავრა შაჰის სასახლეში. მას თან ახლდნენ გენერლები: – ლავრენტი ბერია, შალვა წერეთელი, გრიგოლ კარანაძე და კაპიტონ ნაჭუებია.

მოქროვილ სარკეებიან სატახტო დარბაზში შესვლისას, დაბნეულმა შაჰმა სტალინთან მიირბინა, მას მხსნელი უწოდა და სტალინის წინ მუხლებზე

დაეცა ხელის საკოცნელად. სტალინმა შაპი ფეხზე წამოაყენა, შემდეგ მიუბრუნდა ბერიასა და კარანაძეს და ქართულად უთქვამს: – „აფსუს, რომ ამ სურათს გიორგი სააკაძე და ერეკლე მეფე არ ხედავენო!“ (დახურავს რვეულს).

**თ ა მ ა რ ი** – მართლაც უჩვეულო ისტორიული შემთხვევაა, რო-დესაც თეირანის სამეფო სასახლეში ირანის შაპი ქარ-თველთა წინაშე მუხლებზე დაეცა.

**ი რ ა კ ლ ი** – ომის შემდგომ ყველაზე მეტად ხალხს რაც ახარებდა, ეს იყო მარტის თვის მოახლოვება. ყოველწლიურად მარტის თვეში, ყველაფერზე ფასი იკლებდა, ყველაფერი იაფდებოდა. უცხოეთთან ექსპორტ-იმპორტი არ არსებობდა. ქვეყანა ყველაფერს ანარმოებდა და ყველაფერი ხალხისთვის იყო განკუთვნილი. კილო ხორცი მანეთი ღირდა. წითელი და შავი ხიზილალას ყიდვა, ყველას თავისუფლად შეეძლო მაღაზიებში. პური, მარილი, ასანთი და კიდევ რამდენიმე რაღაც, უფასოდ უნდა გაცემულიყო, რომ დასცლოდა.

იმ პერიოდში კორუფცია და ფულის მოპარვა არ არსებობდა. დირექტორებიდან და მინისტრებიდან დაწყებული, უბრალო მუშით დამთავრებული, ყველა პატიოსნად შრომობდა, რადგან ყველას შიში ჰქონდა. იცოდნენ, რომ ქურდობისათვის გააციმბირებდნენ და 25-წლიან კატორლაში გაუშვებდნენ.

„შიში შეიქმს სიყვარულსაო“ – სწორედ გაციმბირებამ გადააჩვია ამხელა ქვეყანა, მოპარვასა და ქურდობას. კარაშინის ისტორიული გამონათქვამი – „ვსე ვორუიუტ!“ – იმ პერიოდში დავიწყებული იყო.

აბა ახლა რას გავს ეს? მთავრობა თვითონ იპარავს და შემდეგ მოპარული ფულით საზღვარგარეთ, უცხოეთში გარბიან!

**დ ა ვ ი თ ი** – საცოდავი ქვეყანა და ხალხი. 1918 წლის დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე, საქართველოს ჯერ ლირსეული ან ნორმალური მთავრობა არა ყოლია. კარგს ვინ ჩივის, ნორმალური მაინც, რომ ქვეყანასა და ხალხს შვებით ამოესუნთქა. 1921 წლის

შემდეგ ამდენი ხანი გავიდა და ჯერ კიდევ რევოლუციებსა და გადატრიალებებში ვართ. ამჟამად ჩვენთან პოლიტიკური და საპარლამენტო კულტურა არ ასე-ბობს. სიტყვა პარლამენტი ნიშნავს საღაპარაკო ადგილს, სადაც ერისა და ქვეყნის საკითხები ლაპარაკით უნდა გადაწყდეს და სადაც სავალდებულოა მოსმენისას კულტურის ქონა. განსხვავებული აზრის მოსმენისას ჩვენი პოლიტიკოსები ან მუშტებით იმუქრებიან, ან იგინებიან, ან ჭიქებს ისვრიან, ან კი ავტომატებით დასდევენ ერთმანეთს. პოლიტიკოსებმა ერზე და ქვეყანაზე უნდა იზრუნონ, როგორც ერთ დიდ ოჯახზე. ნუთუ ჩვენი პოლიტიკოსების ოჯახებში ყველა ერთ აზრზეა და თუ რომელიმე ოჯახის წევრმა განსხვავებული აზრი გამოთქვა. პოლიტიკოსი საკუთარი ოჯახის წევრებს დაუწყებს მუშტების ქნევას, გინებას, ჭიქების სროლას ან ავტომატით დევნას?...

ლ ა შ ა - ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ 1921 წლის შემდეგ, საქართველო თავის ტერიტორიებს კარგავს. თქვენ ამ-ბობთ, რომ სტალინმა დაიპყრო ნახევარი ევროპა, თუ იგი პატრიოტი იყო და თავისი სამშობლო უყვარდა, დაებრუნებინა საქართველოსათვის ძირძველი ტაო-კლარჯეთის მიწები. იმ პერიოდში ხომ თავისუფლად შეეძლო ამ დიდი მამულიშვილური საქმის გაკეთება, მით უმეტეს იმ დროს, საბჭოთა ჯარი თურქეთშიც იდგა. მან პირიქით გააკეთა, საინგილო აზერბაიჯანს აჩუქა, ლირე კი – სომხეთს. ორჯონიკიძემ, როდე-საც სოჭი რუსეთს აჩუქა, სტალინს რა, არ შეეძლო გაეუქმებინა ორჯონიკიძის უაზრო ახირება? პირიქით, შეკვეცილი საქართველოს ტერიტორიები მან კიდევ უფრო დააქუცმაცა. პატარა საქართველოში სამი ავტონომია დაარსა, აჭარის, აფხაზეთისა და ოსეთის ავტონომიები. კიდევ კარგი, რომ დროულად გაჩერდა და ავტონომიური სტატუსები არ მისცა იმერეთს, კახეთს, სამეგრელოს, გურიას, რაჭას, სვანეთს და ქართლის რეგიონებს. ჩვენი ხასიათიდან გამომდინარე, მერე უნდა გენახათ, ქართველები როგორ დავერეოდით და დავჭამდით ერთმანეთს.

შე მამაცხონებულო, რუსეთისათვის რომ ამდენი დიდი საქმეები გააკეთე, ერთი საქართველოსათვის გაგეკეთებინა რაიმე კარგი. დაებრუნებინა დაკარგულ-წართმეული ტერიტორიები, არ დაექუცმაცებინა საქართველოს მიწა-წყალი და ისე წასულიყო იმ ქვეყნად! მით უმეტეს, მან წინასწარ იცოდა, რომ რუსები მას არაფერს დაუფასებდნენ და ყველა, ვისაც სისხლში ჰქონდა ხელები გასვრილი, სტალინის სახელს შეახო-ცავდნენ სისხლიან ხელებს.

**ი რ ა კ ლ ი** – მასეც მოხდა. იმდროინდელი მთავრობის ყველა წევრს სისხლში ქონდა ხელები გასვრილი. კალინ-ინმა ხელი მოაწერა დოკუმენტს ათასობით ბავშვთა დახვრეტაზე; ბავშვები არისტოკრატული ოჯახებისა და თეთრგვარდიელთა შვილები იყვნენ. ყველა ერ-თად კენინსბერგში ჰყავდათ შეგროვებულნი. ბოლ-შევიკებმა არ იცოდნენ რა ექნათ, ან რა ეყოთ ამდენი განათლებული და ორ-სამ ენაზე მოლაპარაკე ბავშ-ვებისათვის. გამოსაყალი მაინც მოძებნეს და ყველა ერთად დახვრიტეს. კალინინის გმირობა ბოლშევიკებ-მა სათანადოდ დააფასეს. იგი ორდენით დააჯილ-დოვეს, კენინსბერგი კი კალინინგრადად გადააკეთეს.

**თ ა მ ა რ ი** – ბარბაროსები...

**ი რ ა კ ლ ი** – სტალინის კულტად გამოცხადების ავტორი, ნი-კიტა ხრუშხოვი! მოსკოვისა და უკრაინის დასახვრეტ ხალხთა სიების შემდგენელი ავტორიცაა. ომის დროს, სტალინგრადში ჩასვლისას ხრუშხოვმა 10000 სამხედრო დაახვრეტინა. აღარ გავაგრძელებ, ყველა ერთმანე-თის მსგავსი იყო, სხვებსაც უარესი საქმეები ჰქონ-დათ ჩადენილი და მთავრობის წევრებმა თავიანთი ბინძური ხელები სტალინ-ბერიას სახელზე შეახოცეს. რომ იცოდეთ, ქართველი ერი ბეჭვზე ვართ გადარ-ჩენილები. სტალინის სიკვდილის შემდეგ, ხრუშხოვი მთელ ქართველ ერს, შუა აზიასა და ციმბირში გა-დასახლებას უპირებდა. ისევე როგორც ჩეჩინები, მთის ხალხები და ყირიმელი თათრები გადაასახლეს შუა აზიაში.

## ბურთ ასლაციზალი - თეატრალური პესერი

თამარი - როგორ თუ გადასახლებას გვიპირებდნენ? ამის შესახებ არაფერი მსმენია!

დავითი - აკრძალული იყო ამ თემაზე საუბარი. თუ ვინმემ რაიმე იცოდა, შეიძლება ისინიც დაეჭირათ.

ირაკლი - სტალინის კულტად გამოცხადების შემდეგ, მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო ანტიქართული კამპანია. სახელმწიფო აპარატი და ორგანოები, რომლებიც სავსე იყო ქართველებით, განმინდეს და გაათავისუფლეს, თითქმის ყველა ქართველი მოსკოვიდან დაიფრინეს, მოხსნეს და გაათავისუფლეს. „ანტიგრუზინიზმის“ კამპანია იმდენად აგორდა და აზვირთდა, რომ ჭკვათხელი ხრუშოვი აზარტში შესული, ხშირად მუშტების ქნევით უყვირდა და ემუქრებოდა, საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელს ვასილ მუავანაძეს, რომ შუა აზიასა და შორეული აღმოსავლეთის სტეპებში გადაგასახლებთო. ხრუშოვის საამებლად, მოსკოვში მთავრობის წევრები სხვადასხვა გეგმებს ადგენდნენ ქართველი ერის დასასჯელად.

მაშინდელი ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგის სუსლოვის გეგმა ასეთი იყო: - „ქართველების წინააღმდეგ ბრძოლა უნდა დავიწყოთ აფხაზეთში. სამეგრელოს და სვანეთს ავტონომიები უნდა მივცეთ. ყველგან გავაღვივოთ ეთნიკურ-ნაციონალური კონფლიქტები. დასავლეთი საქართველო დაუპირისპიროთ აღმოსავლეთ საქართველოს. ამის შემდეგ კი ჩვენ შუამავლის როლი შევასრულოთ“.

თამარი - დაყავი და იბატონე. დღესაც ასე მოქმედებენ და ჩვენ კი ვერ ვისწავლეთ ჭუა.

ირაკლი - მოსკოვში „კგბ“ სხვა გეგმას ადგენდა. საქართველოს გასაბჭოების 40 წლისთავის იუბილეზე, თბილისში ნიკიტა ხრუშოვი უნდა ჩამოსულიყო, რომელზეც ტერორისტული თავდასხმა მოეწყობოდა. ეს კი ნამდვილად კარგი საბაბი იქნებოდა ქართველთა დეპორტაციისა და შუა აზიაში გადასახლებისათვის. ვასილ მუავანაძემ და საქართველოს „კგბ“-ს უფროსმა ინაურმა იცოდნენ, რასაც რომ ამზადებდნენ მოსკოვში.

ქართველი ერის გადასარჩენად მათ სასწრაფოდ

შეადგინეს საიდუმლო გეგმა. ყოფილი პოლიტპარტიმ-რებისა და დისიდენტებისაგან, შექმნეს ვითომდა ტერ-ორისტული ჯგუფი, რომელთაც ვითომ თავდასხმა უნდა მოეხდინათ ხრუშოვზე.

ამ გეგმით მოსკოვს დაასწრეს და ცენტრალურ ორგანოებს შეუთვალეს, რომ აღმოჩენილია და ლიკ-ვიდირებულია ტერორისტული ჯგუფი, რომლებიც ხრუშოვზე აპირებდნენ თავდასხმას. მოსკოვიდან იმ დროს ძევრი თანამშრომელი გამოაგზავნეს „კგბ“-ს ორგანოებიდან შესამონმებლად. ხრუშოვის თბილისში ჩამოსვლისას კი აღარაფერი მომხდარა. ასე გადავრჩით მაშინ ქართველები ციმბირში ან შუა აზიაში გადასახლებას. მაგრამ ერთი კურიოზული შემთხვევა მაინც მოხდა. მოგეხსენებათ რომ 1956 წლის 9 მარტს თბილისში სანაპიროზე გამართული მიტინგი, სადაც ქართველი ხალხი კონსტიტუციის თანახმად მოითხოვდა საბჭოთა კავშირიდან ნებაყოფლობით გასვლას, საბჭოთა არმიამ ტანკებითა და ავტომატებით დაარბიეს და დახვრიტეს. ათასამდე ადამიანი დაიღუპა. ჯარისკაცები ვარანცოვის ხიდიდან პირდაპირ მდინარე მტკვარში ყრიდნენ დაღუპულ და დაჭრილ მოქალაქეებს. ამიტომაც ქართველი ხალხი სამართლიანად გაპრაზებული იყო სულელ ნიკიტა ხრუშოვზე და მართლაც შესაძლებელი იყო, რომ რომელიმე დაღუპული ადამიანის ნათესავს რაიმე ეს-როლა ხრუშოვისათვის, შემდეგ როდესაც 1961 წელს თბილისში ჩამოვიდა ხრუშოვი ფიდელ კასტროსთან ერთად. თბილისის ქუჩებში სადაც ხრუშოვის მანქანის კორტეჟს უნდა გაევლო, რა თქმა უნდა მოძრაობა გადაკეტილი იყო. კეგბ-სა და მილიციას მაქსიმალურად დაცვა გაეძლიერებინათ. მთავრობამ კი ქარხნებიდან და სასწავლებლებიდან ხალხი ქუჩაში გამოიყვანა წითელი დროშებით ხელში ხრუშოვისა და ფიდელ კასტროს დასახვედრად. როგორც იქნა გამოჩნდა მანქანა გადახსნილი ვილისი. ეყველას გასაკვირად მანქანაში ისხდნენ პლეხანოველი სულელი მეტადსახელად კიკა და წვერიანი თბილისელი კაცი, რომლებიც მართლაც

შორიდან წააგავდნენ ხრუშოვსა და კასტროს. ისეთი სიცილი ატყდა მაშინ, ხალხიც გამხიარულდა და დაძაბულობაც მოიხსნა. გასაგები იყო რომ ვითომდა ხუმრობა, ისიც კვბ-ს, ინაურის დადგმული სპექტაკლი იყო და თუ რამე უნდა მომხდარიყო საცოდავი კიკა გაწირეს ყოველშემთხვევისთვის, სანამ ხრუშოვის ნამდვილი კორტეჟი გამოჩნდებოდა თბილისის ქუჩებში.

დავითი – რა ურჩხულს შევეჭიდეთ, ბევრმა არც კი ვიცოდით. ეგენი უსისხლოდ არაფერს დათმობენ და ჩვენი არეული ქვეყანა ალბათ კიდევ დიდხანს არ დალაგდება, რადგან კრემლი მუდმივ მტრად ეყოლება მოკიდებული საქართველოს და ისინი კვლავ მრავალგზის შეეცდებიან, კიდევ მრავალი გადატრიალებები და არეულობები მოახდინონ მომავალში ჩვენს ქვეყანაში. რუს ხალხს მე არაფერს ვერჩი, აგერ მე თვითონ დედა რუსი მყავდა. მე რუსეთის მთავრობაზე, კრემლზე ვლაპარაკობ. მესამე საუკუნე დაიწყო უკვე, რაც ყოველივე ცუდი საქართველოსთვის რუსეთიდან მოდის. ერთხელ და სამუდამოდ რით ვერ ვისწავლეთ ჭკუა, რომ რუსეთთან ურთიერთობისას დიდი სიფრთხილე გვმართებს ყოველთვის და მაინც ერთი და იგივე შეცდომებს ვუშვებთ. რუსეთის ნდობა არასოდეს შეიძლება. რუსეთის ყველაზე დიდი მწერლები და სახელოვანი ადამიანები ასე ახასიათებენ რუსეთს: „უძველესი კიევის რუსეთი, ევროპული ცივილიზაციის შემადგენელი ნაწილია. სრულიად სხვა სახეა მოსკოვის რუსეთი, რომელიც ველური ურდოებისა და მონღოლთათართა წარმონაქმნია. მოსკოვის რუსეთი ეს არის მატყუარა, ცბიერი დამპყრობელი, უხეში, ტლანქი აზროვნებით, რომელსაც არასოდეს არ გამოუცდია თავისუფლება და იგი იპრძვის, რომ გაანადგუროს ყოველივე ცივილიზებული, ის, რაც მას არ გააჩნია და რისი შეგნებაც მის აზროვნებას არ შეუძლია“.

რუსეთთან არც ერთ დოკუმენტზე ხელის მოწერა არ შეიძლება, თუგინდ მეგობრობის დოკუმენტი იყოს, რადგან ისინი ყველა დოკუმენტს საბაბად იყენებენ, თუ რომელიმე ქვეყანაში ჯარით შეჭრა სურთ, ვითომცდა

დასახმარებლად ან კიდევ მშვიდობისმოყვარე შუამავლის როლის შესასრულებლად. თუმცა დოკუმენტის გარეშეც თავსედურად იჭრებიან სხვადასხვა ქვეყნებში, მაგრამ ხელმოწერილი დოკუმენტის საბაბით კიდევ უფრო კადინირდებიან. დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი უინსტონ ჩერჩილი ტყუილად არ ამბობდა: – „რუსეთთან ნებისმიერ ხელმოწერილ დოკუმენტს ზუსტად იმის ფასი აქვს, რა ქაღალდზეც ეს დოკუმენტიან დაწერილი!“

ნ ი ნ ო – უნივერსიტეტში, სწორედ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის თემაზე ვმუშაობთ. ბიბლიოთეკაში მასალებზე მუშაობისას ზოგჯერ ისეთ ინფორმაციებს წავანყდებით ხოლმე, რომ თმები ყალყზე გვიდგება. რამდენიმე ამონაწერს წაგიკითხავთ ჩემი ნაშრომიდან, დაგაინტერესებთ (სავარძელზე დადებული ჩანთიდან რვეულს ამოილებს და კითხვას დაიწყებს):

– „რუსეთს შუბლზე ძარღვი არა აქვს“ – ეს სიტყვები ბოლშევიკური რუსეთის პირველი ჩეკისტის, ფელიქს ძერჟინსკის ამაყად წარმოთქმული სიტყვებია, რომელშიც აისახება ეთიკისა და მორალის არქონა, სირცხვილის გრძნობის არარსებობა იმ ქმედებებზე, რასაც რუსეთის მთავრობა და ძალოვანი ორგანოები ახორციელებდნენ ქვეყნის შიგნით თუ გარეთ.

ძერჟინსკის ამ სიტყვათა არსი, უფრო მკვეთრად აღვიქვი, როდესაც წავიკითხე ალექსანდრე სოლუენიცინის დიდი ნაშრომი „არხიპელაგი გულაგი“, რომელშიც შემაზრზენი რეალობით არის ასახული, ათეულობით მილიონი უდანაშაულო ადამიანის დაპატიმრება და დასჯა, რომელთა შორისაც უამრავი ქართველიც იყო.

ბოლშევიკური „ჩეკა“, წითელი ტერორის, სახელით რასაც აკეთებდა და ახორციელებდა საკუთარი ქვეყნისა და ხალხის მიმართ იმ ქმედებებს, ახსნა და სახელი არა აქვს. შუბლზე ძარღვის არქონა ძალიან რბილი გამონათქვამია იმ ბოროტებასთან, სასტიკ ძალმომრეობასთან, ცინიზმთან და აბსურდულ სისულელებთან, რასაც ჩეკისტები სჩადიოდნენ.

განსაკუთრებით ჩამრჩაში ერთი ტრაგიკული

მონაკვეთი ა. სოლუენიცინის წიგნიდან „არქიპელაგი გულაგი“.

– 1918-1920 წლებში, სამოქალაქო ომის დროს, რუსეთში დიდი შიმშილობა მძვინვარებდა. პროლეტარიატსა და წითელ არმიას ლუკმაპური აღარ ჰქონდათ. ზოოპარკებში მხეცები შიმშილით იხოცებოდნენ. პეტროგრადისა და ოდესის ჩეკამ გადაწყვიტა, რომ სიკვდილმისჯილი პატიმრები ყველა არ დაეხვრიტათ. პატიმართა ნაწილს, გაშიშვლებულებს, ცოცხლად შეუგდებდნენ ხოლმე ზოოპარკებში ლომებსა და ვეფხვებს გამოსაკვებად.

დღისით კი სკოლებიდან ექსკურსიებზე ჯგუფებად ბავშვები დაყავდათ ზოოპარკებში, რომლებმაც არც კი იცოდნენ, რომ შესაძლოა წინალამეს მხეცები გამოკვებილები იყვნენ მათი მშობლებითა და ახლობლებით!

– ახსნა არა აქვს ასეთ არაადამიანურ ულმერთო ქმედებას (ცრემლს მოიწმენდს), უსირცხვილობასა და ცინიზმს.

დავითი (დამწუხრებით) – ბოლშევიკებს საერთოდ დაკარგული ჰქონდათ ადამიანობა, აღარც მორალი ახსოვდათ და აღარც ღმერთი.

ნინო – ცარიზმის ეპოქაშიც ძალიან მძიმე და აუტანელი მდგომარეობა იყო საქართველოში. მეფის რუსეთის ჯარი და რუსი მოხელეები, განსაკუთრებული სისასტიკითა და ძალმომრეობით ეპყრობოდნენ ქართველ მოსახლეობას, რის გამოც მრავალჯერ აჯანყებულ ქართველთა ამბოხი, სისხლში ჩაახშვეს რუსეთის ჯარებმა და მრავალმა სახელოვანმა ქართველმა მამულიშვილმა თავიანთი სიცოცხლე დაასრულეს ციმბირის კატორდებსა და გადასახლებებში.

რუსეთიდან საქართველოში, ევროპულ და რუსულ კულტურასთან ერთად, შემოდიოდა უხეში სისასტიკე და ძალმომრეობა. ქართულ ენას ძალლის ენა უწოდეს და ქართულად წერა-კითხვა შეიზღუდა. რუსი საეკლესიო ექსარქოსები მთავარმართებლებზე მეტს იპარავდნენ, მათ ქართული ეკლესის ავტოკეფალია გააუ-

ქმეს, ყველა ქართული ეკლესია-მონასტრები დახურეს და გაძარცვეს. რუსი მღვდელმთავრები უამრავ ოქროვერცხლსა და ხატებიდან დამძვრალ ძვირფას თვლებს კილოგრამებით აგზავნიდნენ რუსეთში, საიდანაც იმპერატორი ორდენებით აჯილდოვებდა მათ. რუსეთიდან გამოგზავნილმა ერთერთმა მთავარმა მღვდელთმთავარმა, ეგზარქოსმა პავლემ ქართველი ერი სახალხოდ სამარადუამოდ დაწყევლა.

როგორ გავხდით რუსეთის იმპერიის ნაწილი? – ათასგარი ხრიკებითა და მოტყუებით რუსეთმა გამოუვალი მდგომარეობა შეუქმნა ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლე II-ს და იგი დაიყოლიეს, რომ ხელი მოენერა გეორგიევსკის ტრაქტატისათვის. იმავდროულად კი რუსეთი საიდუმლო მოლაპარაკებებს აწარმოებდა ირანთან და თურქეთთან, რათა საქართველო მათ კიდევ უფრო შეევიწროვებინათ. ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ გეორგიევსკის ხელშეკრულების დოკუმენტის არსებობის მიზეზით, რუსეთის ჯარები ქართლ-კახეთის სამეფოში შემოვიდნენ, მალე მეფობაც გააუქმეს და რუსეთმა დაიწყო ქართული ტერიტორიების კოლონიური დაპყრობა.

პათოლოგიური ტყუილი მუდმივად იყო დამახასიათებელი რუსული პოლიტიკისათვის. რუსეთის მხრიდან ძმური ან მეგობრული დახმარება ყოველთვის დაპყრობისა და დამორჩილების ტოლფასი იყო ნებისმიერი ქვეყნისათვის. რუსეთის მთავრობა ზოგიერთ გამოჩენილ ქართველს იყენებდა და თავის სამსახურში აყენებდა; პრივილეგიებს და თანამდებობებს აძლევდნენ ზოგიერთ მათგანს, მაგრამ ბოლომდე მათ ნდობას დაუშვებლად მიიჩნევდნენ.

დაგლალეთ, ალბათ (ლიმილით გადახედავს ყველას), მერაბ მამარდაშვილის სიტყვით დავამთავრებ: „ქართულმა ხასიათმა, ქართულმა გენოტიპმა დაკარგა თავისი მოხაზულობა, ეს დაიკარგა რუსეთთან ურთიერთობაში XIX საუკუნიდან მოყოლებული. იმდენი ჩვენ ვერ გვავნო მაჰმადიანურმა სამყარომ, რამდენადაც ჩვენ გვავნო რუსეთთან კავშირმა და ურთიერთობამ“.

დავითი - მათ შეგნებულად დაიწყეს ქართული ხასიათისა და გენოფიპის შეცვლა. დაუღალავი მშრომელის, მრავალგზის აღმშენებლისა და სამშობლოსათვის მეპრძოლი თავდადებული ხალხისაგან შემდგარი ქვეყანა, რუსეთს არ სჭირდებოდა როგორც კოლონია, ამიტომ დაიწყო! – შინაგანად შეეცვალა, გაეხრინა ქართული სული და მენტალიტეტი; ლოიალური პრივილეგიების დანერგვით, ქართული ეკლესიის განადგურებით, ქურდული ფილოსოფიის შემოტანით, ეროვნულობასთან ბრძოლითა და უზრუნველი ცხოვრების სტერეოტიპის დანერგვით, რუსეთი შეეცადა, რომ ქართველი ერის დიდი ნაწილი გარდაქმნილიყო, მხოლოდ ჭამასმის მოყვარულ მუქთახორა მასად.

ირაკლი - ოდითგანვე საქართველო იყო ღვინის ქვეყანა, სადაც ცხოვრობდა მებრძოლი ხალხი. სტუმარს და კეთილმოსურნეს, სიკეთის ღვინის ფიალით ხვდებოდნენ, მტერს და ბოროტებას კი – მახვილით!

თამარი - სწორედ ეგ იდეაა ჩადებული „ქართლის დედის“ ქანდაკებაში.

ლაშა - არადა, იყო დრო, როდესაც სპარსეთის სამეფოსა და ბიზანტიის შორის დავას, შემარიგებელ შუამავლად ედგა მესამე ძლიერი სახელმწიფო – საქართველო.

ბიზანტიის იმპერიამ 1000 წელი იარსება და გაქრა. რომისა და სპარსეთის იმპერიებიც დაეცა. მუდმივი არაფერია და რუსეთის იმპერიული ამბიციებიც დაეცემა.

ყველაზე დიდი და სახელოვანი ნამდვილი მამულიშვილები რუსულ იმპერიალიზმს ებრძოდნენ, სიაც კი მაქვს შედგენილი (უბის ჯიბიდან პატარა ფურცელს ამოიღებს წასაკითხად) რომელი ერთი ჩამოვთვალო – ილია ჭავჭავაძე, ვაჟა ფშაველა, აკაკი წერეთელი, მიხეილ და ივანე ჯავახიშვილები, ტიციან ტაბიძე, გრიგოლ რობაქიძე, პალლო იაშვილი, მუხრან მაჭავარიანი, ექვთიმე თაყაიშვილი, სანდრო ახმეტელი, ნიკო ნიკოლაძე, კოტე აფხაზი, მარო მაყაშვილი, ლიზიკო ქავთარაძე, ხათუნა ჭიჭინაძე, ევგენი მიქელაძე, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, გიორგი კვინიტაძე,

გიორგი მაზნიაშვილი, შალვა მაღლაკელიძე. მღვდელმთავრები ამბროსი ხელაია, კირიონ საძაგლიშვილი და გაბრიელ ქიქოძე. ბატონები მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია. ზურაბ ჭავჭავაძე და კიდევ მრავალი სხვა. ყველა ეს ადამიანები რუსეთის იმპერიალიზმს და საქართველოს კოლონიურ ჩაგვრას ებრძოდნენ, გასაკვირია რომ დღესაც არის საქართველოში ხალხი, ვისაც კრემლისა და რუსული პოლიტიკის მეგობრობის სჯერა. ისინი ვერ ხვდებიან, რომ ეს ქართველი გამორჩეული მამულიშვილები არ ტყუოდნენ და ისინი კი მართალები არ არიან. თურმე ყველა მამულიშვილი შემცდარა და მათ კი რუსეთის სიკეთისა ჯერათ, თურმე საქართველოს 200 წელზე მეტი კოლონიური ჩაგვრა არ ყოფილა, არ არსებულა და ამ ხალხს კი იმედი აქვთ, რომ მამავალში რუსეთი საქართველოს ააყვავებს, როცა კრემლს თავისი ხალხიც და თავისი ქვეყანაც ფეხებზე კიდია. დავიჯერო მართლა ასე ფიქრობს ეს კრემლის მიმნდობი ხალხი, რომ ყველა სახელოვანი ქართველი შემცდარია და თვითონ მართლები არიან? რომ დიდი ადამიანები ტყუიან და მათ მართალი სწორი პოზიცია აქვთ? რა თქმა უნდა, არა. პირადი ინტერესები ხშირად აბრმავებს ხალხს. რისი დანახვაც არ უნდათ, იმას შეგნებულად ვერ ხედავენ. მხოლოდ საკუთრი პირადი ინტერესების ნაჭრში ჩაკეტილ არსებას, ძნელია შეაგონო მამულიშვილობისა და ერის ინტერესების მცნება.

**ი რ ა კ ლ ი** – დავუშვათ, რომ ჩვენ ვერ ვივარგეთ. თქვენ ივარგეთ, ჩემო ბატონო, ახლა ხომ ისევ დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ. უფალმა ისევ გვაჩუქა თავისუფლება ისევე, როგორც რუსეთის 1917 წლის რევოლუციის შემდეგ გვებოდა განგებისაგან თავისუფლება და 1921 წელს ისევ დავკარგეთ. ახლა თქვენ ააშენეთ ახალი ძლიერი ქვეყანა, რომ ხალხმა ამოისუნთქოს. რა გიშლით ხელს?

**ლ ა შ ა** – სამწუხაროდ, საჩუქრად მიღებული თავისუფლება ვერ შეძლეს დაეცვათ მაშინ საქართველოს პირველ პრეზიდენტსა და მის მთავრობას. ნოე ჟორდანია,

სემინარიის მასწავლებელი იყო და სწორედ მან აზიარა თავისი მონაფე სტალინი სოციალისტურ იდეებს. როდესაც უორდანია დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი გახდა, მან ბოლშევიკების მსგავსი მეთოდებით დაიწყო ქვეყნის მართვა: მიწებისა და ქონების კონფისკაციით, მეფისდროინდელი ჯარის დაშლითა და მალევე მისმა ნამონაფარმა სტალინმა, 1921 წელს საქართველო ბოლშევიკური რუსეთის სისტემიან კლანჭებში მოაქცია.

დავითი – გახსოვთ სტალინის ლექსი, ბავშვობაში რომ დაწერა?

„აჰყვავდი ტურფა ქვეყანავ,  
ილხინე, ივერთ მხარეო,  
და შენც ქართველო, სწავლითა  
სამშობლო გაახარეო!“

ასეთი პატრიოტული სულისკვეთების მქონე ბავშვი როგორ შეცვალა კომუნისტურმა იდეოლოგიამ და პროლეტარიატის დიქტატურამ. არადა, ეს ლექსი „დილა“, პატარა სოსელომ ილია ჭავჭავაძეს მიუტანა და ილიასაგან ქებაც კი დაიმსახურა: – „შენგან დიდი მამულიშვილი დადგებაო“. შემდგომში კი სოციალისტებმა ერის სულიერი მამა, ილია, მოაკვლევინეს ბერბიჭაშვილის ბანდას. – „რას შერებით? არ მესროლოთ, ილია ვარო!“ – უთქვამს ჭავჭავაძეს. – „ილია რომ ხარ, იმიტომ გესვრითო“.

კომუნისტური მარაზმით ტვინმონამღელ სოციალისტებს ილია ჭავჭავაძის სიკვდილით სურდათ, რომ საქართველოში ეროვნული თვითშეგნება მოესპოთ და აღმოეფხვრათ. შემდეგ კი სხვა ეროვნულ მოღვაწეებს დაერივნენ. დავრდომილი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი წიხლისკვრით გაიყვანეს ბოლშევიკებმა დასახვრეტად. თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელი ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის კიბეებზე დააგორეს. ვაჟა ფშაველა კი საქართველოს მწერალთა კავშირიდან გარიცხეს.

ნინო – რა მოხდებოდა, სტალინი რომ არ დაბადებულიყო და არ არსებულიყო?

დავითი – ამ საკითხზე მეც ბევრი მიფიქრია... სამყაროში შემთხვევით არაფერი არ ხდება, ყველაფერს თავისი კანონზმიერება აქვს. რუსეთ-საქართველოს ერთმანეთთან თანდათანობით შეკავშირებასაც ალბათ ახსნა გააჩნია. ერეკლე I-ის ვაჟი არჩილი მოსკოვის სამეფო კარზე იზრდებოდა. ერეკლე მეჯვარე-ხელისმომკიდე იყო ნარიშკინას ქალისა, იგი თათარ ბოიართა ნარიშთა შთამომავალი იყო, რომელიც მეორე ცოლად გაყვა რუსეთის დავრდომილ, ავადმყოფ მეფეს ალექსეის, რომელსაც დედა აგრეთვე თათრული წარმომავლობისა ყავდა. პეტრე I-ის დაბადების შემდეგ, ბოიარებმა არჩილი მოსკოვიდან დაითხოვეს, როგორც უკვე არასასურველი პიროვნება, რადგანაც არჩილის მისია და ფუნქცია დასრულებული იყო რუსეთის სამეფო სისხლის განახლებაში. არჩილს შემდეგ მიმონერა ჰქონდა ნატალია ნარიშკინასთან, სადაც მოიკითხავდა ხოლმე პატარა პეტრეს: – „როგორ არის ჩვენი ანციო?“. მოგეხსენებათ, რომ თათარ-მონღოლებისაგან დაფუძნებული მოსკოვის რუსეთი, პეტრე I-მა ჩამორჩენილი აზიური რუსეთიდან ევროპულ რუსეთად აქცია და რუსეთი სხვა გზით წავიდა.

1917 წლის რუსეთის რევოლუციის აქტიური მონაწილეები იყვნენ: – კარლო ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი, ბუდუ მდივანი, ფილიპე მახარაძე, ვასილ კიკვიძე, სერგო ორჯონივიძე, ქართველიშვილი, მაღლაკელიძე, წულუკიძე, ცხაკაია, ენუქიძე, სტალინი და კიდევ სხვები.

რუსეთის ისტორია კვლავ შეიცვალა და ახალი გზით განვითარდა. სათავეში სტალინი მოვიდა. რა მოხდებოდა სტალინი რომ არ ყოფილიყო? ჰიტლერი რუსეთს დაიპყრობდა, შემდეგ კი ატომური ომი დაიწყებოდა გერმანიასა და ამერიკას შორის. ატომური კოლაფსის შემდეგ, დედამინაზე სიცოცხლის არსებობა შეწყდებოდა... სიცოცხლე განადგურდებოდა. განგების კანონზმიერებამ, დიდი ბოროტების, ჰიტლერის

საწინააღმდეგოდ, მეორე ძლიერი ბოროტება, სტალინი მოავლინა და ამით ორ ბოროტებას შორის, ნაკლებმა ბოროტებამ უფრო დიდი ბოროტება დაამარცხა, რათა ჩვენი პლანეტა დედამიწა გადარჩენილიყო ატომური აპოკალიფსისაგან. ალბათ, ამაშია სტალინის ფენომენი....

(სიჩუმე)

თამარი - კარგით, რაც მოხდა, მოხდა. ეს ყველაფერი უკვე ისტორიაა, თუმცა ძალიან მტკიცნეულია და მწარე. ახლა მთავარია მომავალში რას იფიქრებთ, როგორ აპირებთ ქვეყნის აშენებას? (შეხედავს ნინოს და ლაშას).

ლაშა - ცნობილი ამერიკელი მეცნიერის გამონათქვამია: – „როდესაც ეკონომიის საათი ჩერდება, მოქმედებას ომის საათი იწყებსონ“. – ეს ნიშნავს იმას, რომ როდესაც მსოფლიოში დიდი ეკონომიური კრიზისია, ეკონომია გაჩერებულია და ეკონომიის მოტორის ასამუშავებლათ, ძლიერნი ამა ქვეყნისანი მცირე ომებს ნამოიწყებენ ხოლმე აზიის ქვეყნებში, რათა სამხედრო მრეწველობის ამუშავებით ეკონომიკაც ამუშავდეს. ვიტნამის, კამბოჯის, ავღანეთის, ქუვეიტის, ერაყის, სირიისა და აფრიკის ომები ამის მაგალითებია. მოსახლეობის ათეულ-ათასობით უბრალო ხალხის მსხვერპლი არავის არ ადარდებს. ჩვენ აზიის საზღვარზე ვიმყოფებით და ყოველთვის ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ ასეთ ომებში არ ჩაგვითრიონ. სხვათა შორის, ნაპოლეონი და ბისმარკი ამბობდნენ, – „კაცობრიობას საფრთხე მომავალში ჩინეთიდან ემუქრებაო“. – მომავალში ალბათ ეკონომიურად ყველას ჩინეთი ჩაყლაპავს.

ირაკლი - ეუჟ!.. ახლა ჩინურის სწავლაც დავიწყოთ, ხომ?

ლაშა - რატომაც არა! მსოფლიოს თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში, ქალაქებსა და სოფლებში უამრავი ჩინელები ცხოვრობენ და ყველა ბიზნესით არის დასაქმებული.

ი ო ა კ ლ ი – მერე? მაგით რა? – ამჟამად თუ ევროპისაკენ მი-  
ვდივართ, შემდეგ რა ვქნათ? – ჩინეთისაკენ დავიძ-  
რათ? (ატყდება სიცილი).

ლ ა შ ა – რატომაც არა. ოდითგანვე საქართველო იყო ხიდი  
ევროპასა და აზიას შორის. მომავალშიც იგივე ფუნ-  
ქციები უნდა დავიპრუნოთ. სავაჭრო გზებისა და მა-  
გისტრალების ხიდის არსებითი მნიშვნელობა ევრო-  
პასა და აზიას შორის.

დ ა ვ ი თ ი – მაგისტრალი რად უნდათ, შვილო, ბოინგის აირ-  
ბუსები და სატვირთო თვითმფრინავები, რამდენიმე  
საათში გადაიტანენ აზიდან ევროპაში ნებისმიერ  
ტვირთს.

ლ ა შ ა – აზიაში 3 მილიარდზე მეტი მაცხოვრებელია. მოთხოვნე-  
ბი და დაკმაყოფილება კიდევ უფრო გაიზრდება მო-  
მავალში, აზის მოსახლეობის გაორმაგების ან გასამ-  
მაგების შემთხვევაში. მაგისტრალები იაფია, ფრენა კი  
ძვირი.

ი ო ა კ ლ ი – ეეე! (მრავლისმეტყველად ამოიოხრებს და ხელს  
ჩაიქნეს. გაისმის თურქული საესტრადო სიმღერა)  
– გამოკეტეთ შუა კარი! მაგათი ხმა არ გამაგონოთ!  
(ყვირილით და გაპრაზებით).

ნ ი ნ ი (ლაშას მიუბრუნდება) – ჩვენს დაბლა თურქებმა რესტო-  
რანი გახსნეს და იქიდან ამოდის მუსიკის ხმა (ადგება  
შუა კარის მისახურად).

ი ო ა კ ლ ი – აი! ხომ გესმით! ალმაშენებლის ქუჩაზე მცხოვრებ  
კაცს, თავი სტამბულის ჩაიხანაში მგონია! (ყველა იცი-  
ნის) ყოველ ნაბიჯზე თურქი, არაბი ან აზიელი გვხვდე-  
ბა. ტელევიზიაც თურქული სერიალებით ააჭრელეს.  
ასე მგონია, ჩვენ ევროპისაკენ კი არა, აზისაკენ მი-  
ვექანებით (კარზე გაისმის ზარის ხმა. ნინო წამოდგება  
კარის გასაღებად და ოთახში დაბრუნდება თავის დას-  
თან და დისტვილთან ერთად. დისტვილი გიორგი 6 ან 7  
წლის, თეთრ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი).

თ ა მ ა რ ი – მარიამ, შვილო, რატომ დაიგვიანეთ?

ი ო ა კ ლ ი – „აუჟ!“ (ფეხზე წამოდგება და ხელებს გაშლის. ყვე-  
ლა ფეხზე წამოდგება).

## ბურთ კალაციზაცია - თეატრისტური პერსონაჲ

გიორგი (ხმამაღლა) – ბაბუა! გილოცავ დაბადების დღეს! (გაიქცევა ირაკლისაკენ).

ირაკლი (ხელებგაშლილი) – შენ გენაცვალე! ჩემი საამაყო შვილთაშვილი! მოდი, გიორგი (სკამზე შეაყენებს), ჩამეუხტე, ბაბუა გენაცვალოს (ჩაეხუტებიან).

მარიამი – სკოლაში ბავშვები საახალწლო კონცერტს ამზადებენ. რეპეტიციიდან მოვდივართ. ახლა მოგასმენინებთ, რა სიმღერას შეასრულებენ (ჩანთიდან კომპაქტურ დისკს ამოიღებს და მაგნიტოფონს მიუახლოვდება).

ირაკლი (გიორგის) – ბაბუა, გვეშველება რამე?

გიორგი – ვის, ბაბუ?

ირაკლი – ჩვენ! ჩვენს ქვეყანას! ქართველებს! გვეშველება რამე?

გიორგი – კი, ბაბუა, გვეშველება!

ირაკლი – როგორ მერე? რანაირად?

გიორგი – შენ თვითონ რამდენჯერ გითქვამს, ბაბუ, ჩვენი პატრონი არავინააო, ხოდა, ბაბუ, ჩვენ თავს ჩვენ თვითონ უნდა მივხედოთ და ისეთი ქვეყანა უნდა ავაშენოთ, ისეთი! ისეთი, რომ ყველას შურდეს ჩვენი.

ირაკლი (წამოიძახებს) – შენ გენაცვალოს ბაბუა! (ცრემლს მოიწმენდა) – თქვენი იმედი მაქვს! შენმა თაობამ უნდა ააშენოს ეს ქვეყანა! სწორედ შენმა თაობამ! (კიდევ ცრემლს მოიწმენდა). ომის შემდეგ გერმანია ისე იყო დანგრეული და განადგურებული, რომ ერთი ქვა აღარ დარჩენილა მთელი. შევიდი წლის შემდეგ კი გერმანია, ევროპაში მონინავე ქვეყანა გახდა გერმანელი ხალხის შრომითა და მონდომებით. ჩვენც ავაშენებთ, ბაბუ!

დავითი – მართალია ბავშვი. სხვა არავინ არ მოვა და სამოთხეს არ აგვიშენებს.

ლაშა – კი, მართალია. ჩვენ ვერც სინგაპურს ვერ გავასწრებთ და ვერც ევროპას ვერ დავენევით. ჩვენი გზით უნდა ვიაროთ.

ნინო – ჩვენი საკეთებელი საქმე ჩვენვე უნდა გავაკეთოთ ყოველმა ჩვენგანმა.

თამარი (ცრემლის მონმენდით) – ჭეშმარიტებაა! ჩვენი საქმე ჩვენვე უნდა გავაკეთოთ! არავის იმედზე არ უნდა ვიყოთ.

ირაკლი – შენ გენაცვალოს ბაბუა! ბევრად უფრო დაქცეული საქართველო მრავალჯერ ფეხზე წამოგვიყენებია! ავაშენებთ ჩვენს ქვეყანას, აბა რას ვიზამთ!

მარიამი (გაკვირვებით) – რა მოგივიდათ? რა გატირებთ? რა დაგემართათ, ხალხნო? აი, მოუსმინეთ საკონცერტო სიმღერას (ამ დროს ისმის მარიამის მიერ ჩართული ქართული ხალხური სიმღერა „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“).

ირაკლი ხელს აღმართავს და სიმღერას აყვება. შემდეგ გიორგიც ამღერდება. სიმღერას სხვა თვალცრემლიანი ოჯახის წევრებიც შეუერთდებიან. ყველა ერთად მღერიან სიმღერას „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“.

### ფარდა

2014 წ.



# ფარნავაზი და ქუჯი

მონაწილეები:

ფარნავაზი,

ქუჯი,

ბაქარი,

რატი.

## I ნაწილი

ეგრისის დედაქალაქ ციხეგოჯში, ეგრისის ერისთავის ქუჯის სასახლეში ადრეული განთიადის დილა იდგა. ქუჯის ჯერ კიდევ ეძინა. საძინებლის კართან ფრთხილი ნაბიჯით აქეთ-იქით ბოლთას სცემდა ქუჯი ერისთავის მრჩეველი და მარჯვენა ხელი – რატი, რომელიც მოუთმენლად ელოდა ქუჯის გალვიძებასა და მისი საძინებლიდან გამოსვლას. შემდეგ რატი საძინებლის კარს მიუახლოვდა, ფრთხილად კარზე დააკაკუნა და რამდენიმეჯერ დაბალი ხმით წარმოთქვა:

რატი – დილა მშვიდობისა, ქუჯი ერისთავო!

ქუჯი – მოხდა რამე? – საძინებლიდან გაისმა ქუჯის ნამძინარევი ხმა.

რატი – მცხეთიდან კაცია გამოგზავნილი, ქუჯი ერისთავის ნახვა მინდა, წერილი მაქვს სასწრაფოდ გადასაცემიო.

ცოტა ხანში საძინებლის კარი გაიხსნა და პირად მოსასვენებელ მომცრო სამუშაო დარბაზში ქულაჯამოსხმული, ნამძინარევი ქუჯი ერისთავი გამოვიდა. ქუჯი იყო ახალგაზრდა, ახოვანი, წარმოსადეგი, ვაჟკაცური შეხედულებისა და რაინდული აღნაგობის.

ქუჯი – დილა მშვიდობისა, რატი.

რატი – მშვიდობა გფარვიდეს მუდამდღე, ქუჯი ერისთავო.

ქუჯი – მცხეთიდან გამოგზავნილი კაციაო, ამბობ, რატი. აზონის მიერ თუ იქნება გამოგზავნილი, ალბათ, რაღაც მოხდა, ასე დილაუთენია საჩქაროდ რომ ჩემს ნახვას ისწრაფვის. ხარკ-გადასახადის წასაღებად არ იქნება მოსული, რადგან იქამდე ჯერ ადრეა. ხარკის მისაცემად თითქმის სამი თვეა კიდევ დარჩენილი, – მშვიდად და დაფიქრებით წარმოთქვა ქუჯიმ და ქულაჯის შეკვრა-შესწორებით, ნელ-ნელა შუა დარბაზში გადაინაცვლა.

## ბურთა კალაციოზი - თეატრისტები პიესები

რატი - ბერძენი არ უნდა იყოს მცხეთიდან გამოგზავნილი კაცი, ბაქარი ჰქვია სახელად. ქართულად არის ჩაცმულ-აღჭურვილი და ამბობს, მხოლოდ ერისთავ ქუჯის დაველაპარაკები, პირადად მაქვს მისთვის წერილი და სიტყვა გადასაცემიო.

ქუჯი - შემოიყვანე! – წარმოთქვა ქუჯიმ და დარბაზის შუაში მდგომ გრძელ მაგიდასთან მიდგმულ სკამ-ტახტრევ-აზე ჩამოჯდა.

მალევე რატი დაბრუნდა დარბაზში ბაქარის თანხლებით.

ბაქარი - დიდო ერისთავო (თავი მდაბლად დაუკრა).

ქუჯიმაც ოდნავ დახარა თავი და ბაქარი შეათვალიერა. მისი ჩაცმულობითა და ვაჟეკაცური, მკლავ-ნაწრთობი იერსახით ქუჯისთვის გასაგები გახდა, რომ მის წინ უბრალო მალემსრბოლი არ იდგა.

ქუჯი - ვისი მიღების პატივი მაქვს? გისმენ!

ბაქარი - ბაქარი გახლავართ, ბაკურის ვაჟი, შანშე ხევისთავის ჩამომავალი. წერილი მაქვს თქვენთვის, ერისთავო, მცხეთიდან ფარნავაზის მიერ გამოგზავნილი. – მშვიდი, დაბალი ხმით წარმოთქვა ბაქარმა და უბიდან არზა ამოილო. ქუჯი ფეხზე წამოდგა და მოლიმარი მიუახლოვდა ბაქარს.

ქუჯი - ბევრი მსმენია შანშე ხევისთავის შესახებ ან გარდაცვლილი მამაჩემისაგან. დიდი მეომარი, ვაჟეკაცი და თავისი ქვეყნისთვის თავდადებული მებრძოლი იყოო.

ქუჯიმ არზა გამოართვა ბაქარს, თან ხელით მიანიშნა ვერცხლის ჭურჭელ-სასმისით გაწყობილ მაგიდასთან მდგომ სკამზე, დაბრძანდიო, და თვითონ წათელი ადგილისაკენ გადაინაცვლა წერილის წასაკითხად. სანამ არზას ხსნიდა, ქუჯიმ კვლავ გახედა ბაქარს და ჰკითხა:

ქუჯი - ფარნავაზის გამოგზავნილიაო, ამბობ, ბაქარ, მაგრამ მე არაფერი მსმენია მის შესახებ... ვინ არის ფარნავაზი?

ბაქარი სკამიდან წამოდგა, რატის გახედა და შემდეგ ისევ ქუჯის მიუბრუნდა. ქუჯიმ დაიჭირა ბაქარის მზერა და რატისკენ ხელგაშვერილმა წარმოთქვა: ჩემი მარჯვენა ხელი და მრჩეველი რატი, მასთან ყველაფრის თქმა შეგიძლია (პაუზა).

**ბაქარი** – (ხმადაბლა) ფარნავაზი არის ქართლის სამეფო ტახტის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე. იგი არის ძე ქართლის სპასპეტისა და ძმისწული ქართლის მმართველისა, სამარასი.

ბაქარის ნათქვამის გაგონებაზე ქუჯი და რატი მოულოდნელობისაგან გაშრნენ და გახევდნენ. ქუჯის გაშლილი წერილი დაბლა დაეშვა და ბაქარს შეჰყურებდა გაოცებული.

**რატი** – (გაკვირვებული და ცალი ფეხით წინ წამოწეული) ადარ-ნასეს შვილი?

**ქუჯი** – (რატის გახედავს) შენ თუ გსმენია რაიმე ფარნავაზის შესახებ, რატი?

**რატი** – არა, არაფერი.

ქუჯიმ არზა გაშალა, წერილი მაღლა ალმართა და დახედა. შემდეგ არზიანი ხელი ნელ-ნელა ძირს დაუშვა, მზერა კი უსასრულობაში დარჩა; თუმცა მალევე თავი დახარა, ჩაფიქრებული, მძიმე ნაბიჯით მაგიდას მიუახლოვდა, წერილი მაგიდაზე დადო და სკამზე ჩამოჯდა. ფეხზე წამომდგარ ბაქარს ხელით ანიშნა, ისევ დაბრძანდიონ და ჩაფიქრებულმა რატის მიმართა: – რატი, ხელმეორედ წამიკითხე ფარნავაზის წერილი, ოღონდ მშვიდად და უჩქარებლად.

ქუჯი და ბაქარი მოგრძო მაგიდას აქეთ-იქიდან მისხდომოდნენ, ნახევრად ირიპად მდგარ სკამ-ტახტრევანზე მოთავსებულნი.

შორიახლო მდგომი რატი მიუახლოვდა მაგიდას, წერილი აიღო და კითხვა დაიწყო:

**რატი** – „მე ვარ ფარნავაზი, ძე ადარნასესი, შენი ახლობელ-ნათესავი ქართლიდან, და როგორც შენ ხარ ეგროსის შთამომავალი, შენსავით მეც ქართლისის შთამომავალი ვარ, უფლოს მცხეთოსის მოდგმისა და გვარის

გამგრძელებელი; და ძმისწული ქართლის მმართველი-სა სამარასი, რომელიც ბოროტად მოკვდინებული იქნა აზონის მიერ.

ხელთა მაქვს დიდძალი სიმდიდრე-ხვასტაგი, ოქრო და ვერცხლი. ნება მომეცი, მოვიდე შენთან, რამეთუ ვეძმოთ ძმანი ერთმანეთს, მოვიხმაროთ სიმდიდრე-ხვასტაგი ორივემ ერთად. შევკრიბოთ სპა-ლაშქარი, შევერთდეთ და ერთიანი ძალებით შევებათ აზონს – ქართველთა მოძულე მტერს. უფლის შეწევნით ვაძლიოთ მტერსა და განვათავისუფლოთ მცხეთა, ქართველთა მიწები და მტრისაგან შევიწროებული ყოველი ქართველი, ბერძენი დამპყრობლებისაგან”, – დაამთავრა წერილის კითხვა რატიმ და გაოცებულმა ფრთხილი მოძრაობით არზა კვლავ მაგიდაზე დადო.

სკამზე მჯდომი და იდაყვით მაგიდას დაყრდნობილი, თავ-დახრილი ქუჯი ჩაფიქრებულიყო, ხელის თითები საფეხულებთან მიეტანა და ისე უსმენდა რატის. წერილის მოსმენის შემდეგ ქუჯიმ მაგიდაზე მდგარი ვერცხლის სასმისი აიღო, ოდნავ მოსვა, შემდეგ დადგა და ბაქარს ჰერთხა: – ფარნავაზის განზრახვა კიდევ ვინ იცის?

ბაქარი – მთის ხევისთავმა, კახეთის ყოფილი მთავრის მემკვი-დრემ, დურძუკ-ლეკთა და ოვსთა მთავრებმა.

ქუჯი – აზონმა თუ იცის ფარნავაზის არსებობა?

ბაქარი – იცის, მაგრამ თან არ იცის.

რატი – ეს როგორ უნდა გავიგოთ? რანაირად უნდა აიხსნას?

ბაქარი – ფარნავაზი უბადლო და საუკეთესო მონადირეა. მკლა-ვიც ერჩის და თვალიც უჭრის. მცხეთის მოსახლეობისა და ქართლის ხალხთა თავის გასაცნობად, ერთხელაც ფარნავაზმა მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა აზო-ნის მიერ მოწყობილ ყოველწლიურ მხედარ რაინდთა პაექრობა-ასპარეზობაში, რომელშიც მას დაპირის-პირება უხდებოდა აზონის პირადი დაცვის საუკეთესო მებრძოლ მხედრებთან. მას შემდეგ ფარნავაზი ყო-ველთვის გამარჯვებული რჩება ყოველ მხედრულ შე-ჯიბრში, რომელსაც აზონი აწყობს ყოველწლიურად;

ამიტომაც მცხეთის ქართველ მოსახლეობას გმირად ჰყავს შერაცხული ფარნავაზი, თან გულწრფელად უყვართ და პატივს სცემენ, რადგანაც, ამასთან ერთად, ობოლთა და გაჭირვებულთა ქომაგი და მათი მუდმივი დამხმარეა.

აზონი ნადირობის დიდი მოტრფიალეა. ერთხელ, ნადირობისას, აზონს დიდი დაჭრილი ტახი გამოუხტა. აზონის ცხენი დაფრთხა და აზონი ძირს გადმოაგდო. მიწაზე დანარცხებული აზონი შემთხვევით გადაურჩა გადარეული დაჭრილი ტახის ბასრი ეშვებით დაგლეჯა-დაფლეთას. ამ შემთხვევის შემდეგ აზონმა ფარნავაზი დაიახლოვა, რადგანაც ნადირობისას აზონს უსაფრთხოებისთვის გვერდით ისეთი კაცის ყოლა სჭირდება, როგორიც ფარნავაზია. ფარნავაზი ყოველი ნადირობისას თან ახლავს აზონს პირად დაკვასთან ერთად და იცავს მას საჭიროების დროს, მაგრამ აზონმა არ იცის სინამდვილები, თუ ვინ არის ფარნავაზი. დროთა განმავლობაში აზონს ფარნავაზის მიმართ გულბოროტი შური და სიძულვილი გაუჩნდა, რადგანაც ფარნავაზის სახელი და დიდება ქართლში სულ უფრო და უფრო მეტად იზრდება, მაშინ, როდესაც აზონის დანახვაზე მცხეთის მოსახლეობა ზურგს აქცევს ხოლმე მას, ან კიდევ სრულიად იმალებიან. ფარნავაზს აზონთან სიახლოვე სჭირდება აგრეთვე იმიტომაც, რომ კარგად გაიცნოს და დაიახლოვოს ის ბერძენი მებრძოლები, ასისთავები და ათასისთავები, რომლებმაც ქართველი ქალები მოიყვანეს ცოლებად. ოცდასამი წელი გავიდა უკვე, რაც მცხეთაში ბერძნები ბატონობენ და ამ ხნის განმავლობაში ბევრი შერეული, ბერძნულ-ქართული მრავალშვილიანი ოჯახი შეიქმნა, რომლებთანაც ფარნავაზი მეგობრობს. ნადირობისას შემთხვევით გადაყრილ-წაკიდებული აფთარ-ნადირი-საგან ან სხვა მხეცისაგან ვისაც იცავს ფარნავაზი, სწორედ ის კაცი არის მისი მოსისხლე მტერი; ვის სიცოცხლესაც უფრთხილდება, სწორედ ის არის მკვლელი მისი მამისა და ბიძისა. მცხეთის ციხის გალავანზე სახალხოდ და სამარცხვინოდ აზონმა თავები

მოჰკვეთა ფარნავაზის მამას, ადარნასეს – სპასპეტს ქართლისას – და მის ძმას, სამარას, მეფეს ქართლისას (ბოლო სიტყვები ბაქარმა ფეხზე წამომდგარმა და ოდნავ გაბრაზებულმა წარმოთქვა).

ქუჯი ყურადღებით უსმენდა ბაქარს და გაუკვირდა მისი გაფიცხება. გაოცებულმა ახედა სტუმარს, შემდეგ წამოდგა, გაიარგამიოარა, ანიშნა ბაქარს, დაბრძანდიო და ჰკითხა:

– აზონს თუ იცნობ? თუ გინახავს ახლოს?

ბაქარი – ვიცნობ, კი, ფარნავაზს ვახლდი სასახლეში წვეულებაზე და პირველად იქ ვნახე ახლოს აზონი, შემდეგ კი რამდენჯერმე მცხეთაში შევხვდი ფარნავაზთან ერთად.

რატი – (გაკირვებული) წვეულებაზე? აზონის სასახლეში?

ქუჯი – საინტერესოა, გვიამზე, როგორ მოხდა ეს შეხვედრა (და სკამზე ჩამოჯდა).

ბაქარი – სამი წლის წინ, აზონის მიერ გამართულ მხედრულ ასპარეზობაში ფარნავაზის გამარჯვების შემდეგ, აზონმა ფარნავაზი მიიწვია თავის სასახლეში ნადიმზე, რომელსაც ტრადიციულად ყოველ წელს მართავს ხოლმე მხედრული შეჯიბრის დასრულებისას. ნადიმის დროს შემთხვევით მოხდა ისე, რომ ფარნავაზი და აზონის პირადი დაცვის ამაღის უფროსი ასისთავი ხმლებით შეებნენ ერთმანეთს აზონის მოთხოვნით, რადგანაც აზონს აინტერესებდა, რამდენად მარჯვე იყო ფარნავაზი ფარიკაობაში. ბერძენმა ასისთავმა უბრალო თამაშ-გართობა არაფრად მიიჩნია და მთელი ძალით შეუტია ფარნავაზს. ფარნავაზი ლალად და უშიშრად იღებდა ბერძენი მებრძოლის ფიცხელ შეტევას და მსუბუქად, მოხერხებულად იგერიებდა მის მოქნეულ მახვილს. გათავსედებულმა და გაცოფებულმა ბერძენმა უფრო უხეშად და დაუნდობლად შეუტია ფარნავაზს. საპასუხოდ ფარნავაზმა მამაჩემის, ბაქურის მიერ ნასაკლი ხერხი იხმარა, რომელსაც ბავშვობისას გვასწავლიდა მამაჩემი, როცა მე და ფარნავაზს გვწვრთნიდა ხოლმე მთაში ყოფნისას. ხმლის ტრიალ-ამოკვრით ფარნავაზმა ბერძენ მებრძოლს მახ-

ვილი გააგდებინა. შერცხვენილი და გაკადნიერებული ბერძენი წამოენთო და მუხანათურად, უკნიდან მიპარვით შეეცადა აზონთან მოლაპარაკე ფარნავაზისათვის ზურგში მახვილის დარტყმას. ფარნავაზმა მოხერხებულად ხმალი ვადაში გადაუტეხა გაგულისებულ და გათავსედებულ ბერძენს და ზურგს უკან იდაყვის კვრით ცხვირპირდასისხლიანებული ბერძენი მებრძოლი უკან გადააქცია. ყოველივე ამის შემხედვარე გაოცებულმა აზონმა მაშინ დიდად დააფასა ფარნავაზის მკლავის სიმაგრეე, მაგრამ რაც დრო გადიოდა, აზონი მით უფრო გულლვარძლიანი და მოშურნე ხდებოდა ფარნავაზის მიმართ. მალე დადგება დრო და უამი, როდესაც მათი ერთმანეთისადმი დაპირისპირება გარდაუვალი იქნება და ყოველი ჩვენგანისათვის ასარჩევი გახდება, ვის მხარეს დადგეს – ფარნავაზისა თუ აზონის.

**ქუჯი** – ბაქარ, შენ წელან ახსენე, რომ ბავშვობისას მე და ფარნავაზი ერთად ვფარიკაობდით ხოლმეო; რამდენადაც გადმოცემით მახსოვსა, ალექსანდრე მაკელონელმა ქართლის დასამორჩილებლად ლაშქარი გაგზავნა აზონის მეთაურობით. სარკინეს ციხის დაცემის შემდეგ აზონმა მცხეთაც მალევე აიღო და ქართლის მმართველის, სამარას მთელი ოჯახი სიკვდილით დასაჯა. ეს მოხდა დაახლოებით ოცდასამი წლის წინათ. როგორ გადაურჩა მაშინ ფარნავაზი აზონის რისხვას? განგებისა და ბუნების რა ძალა მფარველობს ფარნავაზს, რომ დღემდე არ იცის აზონმა, ვინ ჰყავს გვერდით?

**ბაქარი** – აზონის მცხეთაში შემოსვლამდე სპასპეტმა ადარნა-სემ თავისი ოჯახი მთას გახიზნა და ჩემს პაპას, შანშე ხევისთავს დაავალა მათი მეურვეობა. ფარნავაზი მაშინ სამი წლისა იყო.

**რატი** – გამოდის, რომ ფარნავაზი ახლა ოცდაექვსი წლისა უნდა იყოს.

**ბაქარი** – ნამდვილად ასეა, ოცდაექვსი წლისაა, თითქმის თანასწორები ვართ. ბავშვობიდან ერთად ვიზრდებოდით, ძმებივით, და ამჟამად მცხეთაში, ბებრის ციხის მახლობლად, ჩვენს ოჯახებთან ერთად ერთ სახლში ვცხოვრობთ.

- ქუჯი - აზონის სიხარბეს მე კარგად ვიცნობ, ძარცვა-გლეჯა კი მისი დამახასიათებელი ავი ზენ-თვისებაა. აზონი არავის დაინდობს, ოღონდ კი ოქრო-ვერცხლი იგდოს ხელთ. ფარნავაზი წერილში მაუწყებს, რომ იგი აურა-ცხელი განძის მფლობელია. (ირონიულად) გასაკვირია, როგორ შეძლო ფარნავაზმა, მეორედ გადარჩენოდა აზონის რისხვას და ამდენი ხნის განმავლობაში ისევ მის გვერდით გაეგრძელებინა ყოფნა.
- ბაქარი - აურაცხელი განძი, რომლის შესახებაც ფარნავაზი წერილში იწერება, უფლოს მცხეთოსის მოდგმის მეფეთა და მათ შთამომავალთა სიმდიდრე და ქონებაა. ორასი წლის წინ, ქართველთა მთელს მიწა-წყალზე სპარსეთის დიდი მეფის, კიროსის შემოსევის დროს, ქართლის იმდროინდელმა მმართველმა მეფემ, კიროსის ქართლში შემოსვლამდე, გადამალა მთელი ხვას-ტაგი; განძის ადგილსამყოფელი მხოლოდ ფარნავაზმა იცის; აზონის ყურამდე კი ჯერ არ მიუღწევია განძის არსებობის ამბავს. ერთადერთი, ვინც განძის ადგილ-სამყოფელი იცის, ფარნავაზია, განძის არსებობა კი - მე ვიცოდი და ახლა თქვენც უწყით, ერისთავო (ქუჯის ირონიის გამო ოდნავ გამწყრალმა წარმოთქვა ბაქარმა ბოლო სიტყვები და ფეხზე წამოდგა).
- ქუჯი - (ჩაფიქრებული შეპყურებს ბაქარს, შემდეგ სკამი-დან წამოდგება, ბაქარს უახლოვდება, პირდაპირ დაუდგება, თვალებში უყურებს, ოდნავ გაღიმებული) ბაქარ, მომწონს შენი ერთგულება ფარნავაზისადმი, შენი სიტყვა-პასუხი და შენი სითამამე!.. ნამგზავრი და დაღლილი ხარ; წინ კიდევ დიდი გზა გაქვს უკან, მცხეთამდე გასავლელი. დაისვენე, შემდეგ კი ფარ-ნავაზის წერილის პასუხის არზას ჩაგაბარებ მცხეთა-ში ჩასატანად და ქართლის საზღვრამდე მხედრებსაც გაახლებ.

ქუჯიმ რატის გახედა. ბაქარმა თავი დაუხარა ერისთავს და რატისთან ერთად დარბაზიდან გავიდა. ჩაფიქრებული ქუჯი ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა მაგიდას, სკამზე ჩამოჯდა, ფარ-ნავაზის წერილი აიღო, გამალა და ყურება დაუწყო. ამასობაში

რატიც დაბრუნდა დარბაზში და ქუჯის სიახლოეს დადგა. ქუჯიმ, ისე, რომ წერილისთვის თვალი არ მოუშორებია, თავაუნევლად, ხმადაბლა იკითხა:

**ქუჯი** – რას იტყვი, რატი, შენ რა რჩევას მომცემ? რა უნდა ვქნა, ფარნავაზს რა ვუპასუხო?

**რატი** – (აღელვებული, მცირე პაუზა) ქუჯი ერისთავო, ეგრის-ში რაც ხდება, ყველაფერი თქვენი გადასაწყვეტია; რაც მომავალში მოხდება, ისიც თქვენი დღევანდელი გადაწყვეტილებიდან გამომდინარე შედეგი იქნება, და თუ როგორი იქნება შედეგი, პასუხისმგებლობა იმაზეც თქვენ დაგეკისრებათ, ერისთავო. ყოველივე ამაზე ფიქრს დრო და გონება სჭირდება, საფიქრალი კი ბევრია, ძალიან ბევრი, დრო კი – ცოტა, რადგან ფარნავაზი პასუხს ელის.

**ქუჯი** – მართალი ხარ, რატი, სიმართლეს ამბობ, საფიქრალი მართლაც რომ ძალიან ბევრია, ჰოდა, ერთად ვი-ფიქროთ; მაინტერესებს შენი აზრი, ხომ გაიგე, როგორ თქვა ბაქარმა, დაპირისპირება ფარნავაზსა და აზონს შორის აუცილებლად მოხდებაო. რას მეტყვი, მე ვისი მხარე უნდა დავიჭირო?

**რატი** – (პაუზა) ჩაფიქრებული) ქუჯი, ამჟამად შენ ხარ ეგრი-სის ერისთავი, ძველი კოლხეთისა და სვანეთის მმართველი. ხარ ახალგაზრდა და მთელი ცხოვრება წინა გაქვს, რომ დიდი ხნის განმავლობაში ბედნიერად მართო შენი ქვეყანა; ხარ ძლევამოსილი, გყავს ჯარი და ლაშქარი; არც სიმდიდრე-სიუხვე გაკლია და არც დიდი ძალაუფლება. ფარნავაზს კი რა გააჩნია? – არაფერი. არც ქვეყანას მართავს, არც ძალაუფლება აქვს, არც ლაშქარი ჰყავს და ეს ამბავიც, მის აურაცხელ განძსა და სიმდიდრეზე, ლეგენდას უფრო ჰგავს, საეჭვოა; და, რაც მთავარია, ფარნავაზს არავინ იცნობს, როგორც ქართლის სამეფო ტახტის მემკვიდრეს; მხოლოდ რამდენიმე კაცი თუ უდგას გვერდით. ფარნავაზისა და აზონის ბრძოლის შემთხვევაში, შენ თუ ჯარით ფარნავაზს დაეხმარები და თუ, დავუშვათ, ომი აზონმა მოიგო, – სისხლმოწყურებული აზონი

ფარნავაზის გვერდით დღომას არ გაპატიებს, ერის-თავო, და სიკვდილით დაგსჯის! ეგრისს კი გადაწვავს და ააოხრებს... დავუშვათ, რომ ომი, შენის დახმარებით, ფარნავაზმა მოიგო – მაშინ ფარნავაზი ქართლის მმართველი გახდება, შენ კი, რაც იყავი ომამდე, იგივე დარჩები, – ეგრისის მმართველი და აზონის ხარკისა-გან გათავისუფლდები. ბრძოლამ შეიძლება დიდხანს გასტანოს და ომში ბერძენთა მეფის მიერ გამოგზავ-ნილი ლაშქარიც ჩაერთოს, რადგანაც აზონი ბერძენ-თა მეფეს ემორჩილება. არსებობს მესამე გზაც, საერ-თოდ არ ჩავერიოთ ფარნავაზისა და აზონის დავაში და შორიდან უუყუროთ, რა მოხდება, მაგრამ ომს შეი-ძლება მაინც ვერ გადავურჩეთ, რადგან გინდ ერთის, გინდ მეორის გამარჯვების შემთხვევაში, შეიძლება ჩვენ მოგვადგნენ შურის საძიებლად, რადგანაც დახ-მარება არ გავუწიეთ.

ქუჯი – (ჩაფიქრებული) ბრძოლად განსჯი ყველაფერს, რატი; შენს ნათქვამში კი უმთავრესი არის ის, რომ ბრძოლასა და ომს ალბათ ვერც ერთ შემთხვევაში ვერ ავცდებით, მაინც მოგვიწევს ბრძოლა, მაგრამ მარტო ბრძოლასა და ომს ისევ ვინმესთან შეკვრა-გაერთიანება და მას-თან ერთად ბრძოლა სჯობია. ვინ უნდა ავირჩიოთ და ვისი მხარე დავიჭიროთ, აზონისა თუ ფარნავა-ზისა? თუ აზონს დავეხმარებით, ქართლს სამუდამოდ მტრად მოვიკიდებთ. აზონის გამარჯვების შემთხვე-ვაში ყოველწლიური ხარკ-გადასახადი აზონისათ-ვის მაინც მისაცემი მექნება. ჩვენ, ეგრისი, პატარა სახელმწიფო ვართ და მუდმივად მტრის თავდასხმის საშიშროება გვემუქრება. გუშინ თუ სპარსი იყო ჩვენი მტერი, დღეს ბერძენია, ხვალ შეიძლება სკვით-კიმე-რიელთა ბარბაროსები დაგვეცნენ ჩრდილოეთიდან, როგორც ადრე სჩვეოდათ ხოლმე – ძველი კოლხეთის სამეფო ხომ სწორედ მათმა შემოსევებმა დასცა და გაანადგურა... და მომავალში კიდევ რომელი ქვეყა-ნა მოძლიერდება და დაეცემა ეგრისს, – თუკი იმ დროისათვის კიდევ იარსება ეგრისმა, – არავინ უწყის; ამიტომ ისეთ ქვეყანას უნდა შევეკრათ და გავერთიან-

დეთ, რომელთანაც საერთო მიზნები და ინტერესები გვაქვს და მომავალშიც გვექნება. ასეთი ქვეყანა არის ქართლი, რომელსაც ზუსტად ისეთივე ინტერესები და მიზნები გააჩნია, როგორიც – ჩვენ, და ზუსტად ისეთივე რთულ ვითარებაში იმყოფება, როგორშიც ჩვენ ვართ. ბერძენი, სპარსელი და ჩრდილოელი, ტერიტორიულად ჩვენგან უფრო შორსაა, ვიდრე ჩვენი კარის მეზობელი ქართლი, რომელიც მუდამჟამ ჩვენ გვერდით გვეყოლება. ცალ-ცალკე პატარა სამეფოების დამარცხება და დაპყრობა მტრისაგან გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე ძლიერი, გაერთიანებული და შეკრული, ერთიანი ძალისა. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ქართლიც და ეგრისიც ერთი მონათესავე ხალხი და ერთი ერია. ქართლოსიცა და ეგროსიც ერთი საერთო მამის ჩამომავალი ძმანი არიან. სწორედ ამას მწერს ფარნავაზი თავის წიგნში, რომ ჩვენ, კოლხენი და იბერიელნი, იგივე ეგრისი და ქართლი, ერთი ძმური ერი და ერთი მოდგმის ხალხი და კაცი ვართ, ამიტომ უნდა ვეძმოთ ერთმანეთს, შევიკვრნეთ, გავერთიანდეთ და ერთად ვიბრძოლოთ საერთო მტრის წინააღმდეგ. მომავალშიც, ცალ-ცალკე ეგრისსა და ქართლს მტერი ადვილად დაამარცხებს, ერთად მდგომ და გაერთიანებულ ეგრის-იბერიას კი მოერიდება.

**რატი** – ერისთავო, ფარნავაზის ჩვენ არ ვიცნობთ, ყველაფერი, რაც მის შესახებ ვიცით, ბაქარის მონაყოლით შევიტყვეთ. თუ დავეხმარეთ ფარნავაზზს აზონის წინააღმდეგ ბრძოლაში და ფარნავაზმა გამარჯვება ჰპოვა, რას მოიმოქმედებს შემდეგ, ან რა უდევს გუნებაში, ან როგორ შეიძლება შეიცვალოს მისი განწყობა თუ ბუნება-ხასიათი, ჩვენ არ ვიცით. იქნებ შემდეგ ეგრისზეც მოინდომოს გამოლაშქრება და ჩვენს დასაპყრობად სხვა მოკავშირებს დაუწყოს ძებნა, კვლავ დაწეროს და გაგზავნოს სხვათა სახელზეც აურაცხელი განძიო დამძიმებული წერილები? არავინ იცის, სინამდვილეში რას ფიქრობს და რა სურვილი ამოძრავებს ფარნავაზს. სიჩაუქესთან და ვაუკაცობა-სითამამესთან ერთად, უფალს დიდი მოხერხებულობა

და სახიობა-თამაშობაც გულუხვად დაუბერტყავს მის თავზე, რადგანაც ფარნავაზი, აგერ უკვე რამდენი წელია, თავის მოსისხლე მტერს, გულბოროტსა და ცბიერ აზონს, გვერდით უდგას და - ჯერ კიდევ! - მხრებზე თავი ადგას, ცოცხალია და უშიშრად მოქმედებს. ეს პირდაპირ სასწაულია (გაკვირვებით) და საოცრება!

ქუჯი - სიმართლეს ამბობ, რატი; კაცის ამოცნობა და მისი ბუნება-ხასიათის ბოლომდე გაგება ძალზე რთულია, მით უმეტეს, კაცს თუ ძალაუფლება აქვს ხელთ, რადგანაც ძალაუფლება ადამიანს ცვლის. კიდევ უფრო საშიშია, თუ ძალიან დიდი ძალაუფლება ისეთ კაცს ჩაუვარდა ხელში, რომელსაც მანამდე, ძალაუფლების ხელში ჩაგდებამდე, არაფერი გააჩნდა და არც არაფერს წარმოადგენდა ამქვეყნად, ან თუ დაბალი ზნისაა და სათანადოდ არ არის მომზადებულ-გაწვრთნილი, რომ განუსაზღვრელმა ძალაუფლებამ არ გარყვნას მისი გული და გონება. რაც შეეხება ფარნავაზს, ჩვენ მას არ ვიცნობთ, ამიტომ საჭიროა, რომ გავიცნოთ იგი. მოვიწვიოთ! დაე, ჩამოვიდეს! ღირსეულად მივიღოთ და პატივი ვცეთ. რამდენიმე დღესაც კი ვისტუმრებ, თუ საჭიროდ ჩავთვლი. შევისწავლოთ, დავაკვირდეთ და საუბარში გამოვცადოთ. არა მგონია (ჩაცინვით) მე და შენ აზონივით შევცდეთ, გონება დაგვებინდოს და ვერ ამოვიცნოთ ფარნავაზის ნამდვილი სახე. გავიგოთ, თუ რა უდეეს გულში, რას ფიქრობს, რას იტყვის და რას მოიმოქმედებს. საუბარში შესაძლებელია ფარნავაზს გამოსაცდელად მკაცრი პირობები დავუყენო და რთული გარემოებები შევუქმნა, ვნახოთ ერთი, რა სიმტკიცისა და რა ხარისხის ფოლადითაა გამონრთობილ-გამობრძმედილი მისი სული (მოსვამს სასმისს).

რატი - ძალიან კარგი, ერისთავო, მოვიწვიოთ! დაე, ჩამოვიდეს ფარნავაზი (ხელების ფშვნეტითა და ნასიამოვნები, ოდნავ ირონიული ღიმილით).

ქუჯი - გაამზადე არზა, დაჯექი და მისწერე წერილის პასუხი ფარნავაზს.

ქუჯი ფეხზე წამოდგა. რატი სწრაფად მივიდა დარბაზის კუთხესთან მდგომ პატარა მაგიდასთან, რომელზეც არზა-წიგნები იყო დახვავებული, მიუჯდა მაგიდას და ახალი არზა გადმოიღო წერილის დასაწერად. ჩაფიქრებული ქუჯი დარბაზში ნელი სვლით ბოლთის ცემას მოჰყვა და თან წერილის ტექსტის წარმოთქმა დაიწყო:

ქუჯი – ძმაო ფარნავაზ, დიდად განმახარა წერილმან შენმან, აღსდექ და მოდი ჩემთან.

სიმდიდრე-ხვასტაგითა შენითა შეჰქმენ და განამრავლე სპა-ჯარი და ლაშქარი. დავუდგეთ ერთმანეთს გვერდიგვერდ და ისე შევებათ ერთიანი ძალით ქართველთა მტერს, აზონს. განვდევნოთ მტერი ჩვენი კუთვნილი მიწა-წყლიდან; და განიხარებ-დეს დიდი სიხარულითა ყოველი ქართველი! ისევე როგორც რომ განვიხარე მე.

### ფარდა

## II ნაწილი

ქუჯის სასახლის მცირე დარბაზში სასახლის მსახურთ მაგიდაზე ძვირფასი სასმის-ჭურჭელი, ტკბილეული დაეწყოთ და რამდენიმე შანდალიც დაედგათ, სქელი სანთლებით დანთებული, რადგან საღამო მოახლოებულიყო. დარბაზში ქუჯი და ფარნავაზი ერთად შემოვიდნენ, მათ უკან რატი და ბაქარი შემოჰყვნენ. ფარნავაზი და ქუჯი კარგ გუნება-განწყობილებაზე იყვნენ, ნადირობაზე საუბრობდნენ, მსუბუქად ხუმრობდნენ და იცინოდნენ.

ქუჯი – (მოლიმარი) ბაქარისგან გადმოცემით ვიცი, რომ უბადლო მონადირე ხარ, ფარნავაზ.

ფარნავაზი – (გალიმებული) არც ბაქარია ნაკლები მონადირე, თუ უკეთესი არა.

ქუჯი – თუ ასეა, მაშინ ხვალ სანადიროდ გიწვევთ შველზე, ეგრისის საუკეთესო სანადირო სანახებში.

ფარნავაზი – (კმაყოფილი) სიამოვნებით, ჩემო ქუჯი, დიდი სიამოვნებით დაგთანხმდები.

ქუჯი – დიდებული ოჯახი გყავს, ფარნავაზ, მანდილოსნები თუ არიან კმაყოფილი ეგრისში სტუმრობით?

ფარნავაზი – ოო, ქუჯი, უსაზღვროდ მადლიერი ვარ ჩემი და ჩემი ოჯახის ასეთი მეფური დახვედრისა და მიღებისათვის, დიდებული ნადიმისა და დედისა და დებისა ჩემისა კეთილად მოწყობისათვის.

ქუჯი – ფარნავაზ, მადლიერი მე ვარ თქვენი, იმ უძვირფასესი ძლვენისა და საჩუქრებისთვის, რაც თქვენმა ოჯახმა მიბოძა და პატივი მცა. მეც მინდა ძვირფასი ძლვენი მოგართვა და საჩუქრად მოიქროვილ-მოვერცხლილი, მტკიცე და ძლიერი საბრძოლო აბჯარ-მუზარადი და მახვილი გადმოგცე.

ქუჯი რატის გახედავს, რომელსაც უკვე მოაქვს ძვირფასი საჩუქარი, ართმევს ძლვენს და ფარნავაზს გადასცემს.

ფარნავაზი – (ჩაცინებით) დაგვჭირდება, დაგვჭირდება... ჩინებული საჩუქარია, გმადლობ, ქუჯი.

ფარნავაზი ჩამოართმევს ძლვენს ქუჯის, მახვილს ერთი-ორჯერ დაიქნევს, მოლიმარი კვლავ მაღლობას გადაუხდის ქუჯის და შემდეგ ყველაფერს ბაქარს გადასცემს, რომელიც აბჯარსა და მახვილს დარბაზის კუთხეში მდგარ ტახტზე დააწყობს. ქუჯი ფარნავაზს სთავაზობს, რომ მაგიდასთან მდგომ ტახტ-სავარძელზე დაბრძანდეს და თვითონაც მის მოპირდაპირედ, მაგიდის მეორე მხარეს ირიბად მდგარ ტახტ-სავარძელზე ჯდება. ბაქარი და რატი მათ სიახლოეს, მაგიდის უკან, ფეხზე დგანან.

**ქუჯი** – (სასმის თასს აიღებს მაგიდიდან) ფარნავაზ, კოლხეთი და ქართლი, ეგრისი და იბერია არასოდეს ერთმანეთს გვერდით არ დასდგომიან, ერთად არ უბრძოლიათ და მხარში არ ამოსდგომიან ერთმანეთს მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. და აი, დადგა დრო და უამი, როდესაც ჩვენ ჩვენი ძალები უნდა გავაერთიანოთ, ერთმანეთის გვერდით დავდგეთ და ერთად ვიბრძოლოთ მტრის წინააღმდეგ; მტერი საერთო უნდა გახდეს ჩვენთვის, შენი მტერი ჩემი მტერი იქნება, ჩემი მტერი კი – შენი მტერი. ჩვენს ორ ქვეყანას შორის საფუძველი და საძირკველი უნდა ჩავუყაროთ და მტკიცედ შევადუღაბოთ ერთმანეთისათვის მუდმივი ურთიერთდახმარება; რომ ძმა ძმას ყოველთვის გვერდით ჰყავდეს და მხარში ამოუდგეს გაჭირვების უამს! (მოსვამს სასმისს ოდნავ და მაგიდაზე დადგამს).

**ფარნავაზი** – (მაგიდაზე მდგომ თასს ახლოს მიიწევს. ხმადაბლა, აუჩქარებლად) ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან შენს ქვეყანას, ქუჯი, და ჩემს ქვეყანას, ასურიელნი და ურარტუელნი მტრობდნენ. შემდეგ კი ჩრდილოეთიდან, ზღვისიქეთა ხალხებისა და კიმერიელთა ბარბაროსულმა ველურმა ტომებმა, მრავალგზის შემოსევების შედეგად, დასცეს და გაანადგურეს ასურეთისა და ურარტუს ძლიერი სამეფოები, გზად კი მათ ჩვენზედ გადაიარ-გადმოიარეს; მრავალგზის წაგვლევეს და გაგვაცამტვერეს, ძველი კოლხეთის სამეფოცა და ძველი ქართლიც. გავიდა დრო და უამი, ორივე ქვეყანა აღვსდექით და მოვძლიერდით, მაგრამ ახალი დიდი უბედურება დაგვატყდა თავს. გაძლიერებული სპარ-

სეთი, დიდი კიროსის ხანაში, დაემუქრა ჩვენი ქვეყნების სიმშევიდეს. ინდოეთის ზღვიდან საბერძნეთამდე, ყველა ქვეყანა და მიწა დაიპყრო კიროსმა და ბოლოს ჩვენც მოგვადგა. კიროსმა დაიპყრო ქართლიცა და კოლხეთიც, ორივე ქვეყანა სპარსეთის სატრაპიებად აქცია, რომლებსაც სათავეში სატრაპები ჩაუყენა და სპარსული მმართველობა-კანონმდებლობა დააწესა. ასე გრძელდებოდა მრავალი წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნების არსებობა სპარსეთის სამეფოს შემადგენლობაში, სადაც ჩვენ ბოლო სატრაპიებად მოვიხსენიებოდით. კიროსის შემდგომ, მომდევნო, აქემენიანთა დინასტიის სპარსეთის მეფეთა – კამბისთა, დარიოსთა, ქსერქსეთა და არტაქსერქსეთა მეფობის პერიოდებში, ქართლი და კოლხეთი ნელ-ნელა თავისუფლდებოდნენ სპარსეთის სამეფოს გავლენისაგან და მხოლოდ სპარსეთის მეფისათვის ხარკისა და გადასახადის გაგზავნითლა შემოიფარგლებოდა სპარსეთისა და ეგრის-ქართლის ურთიერთობა. დროთა განმავლობაში, ნელ-ნელა ისევ ძლიერდებოდა და ლონივრდებოდა ეგრისისა და ქართლის სამეფოები...

სპარსეთის მეფის სიკედილის შემდეგ სომხით-არმენიის სატრაპიის მმართველი, ირანელი სატრაპი დარიო, სპარსეთის ახალი მეფე გახდა და დარიოს III-დ მოევლინა ქვეყანას. მხოლოდ რამდენიმე წელი მოასწრო უდრტვინველი მეფობა დარიოსმა; შემდეგ კი მრავალ-წლოვან ოში ჩაერთო მსოფლიო ქვეყნიერების ახალ დიდ დამპყრობელთან, ალექსანდრე მაკედონელთან, რომლის წინააღმდეგ ბრძოლებში დარიოსმა წაწილ-ნაწილ და ნელ-ნელა დაკარგა ჯერ სპარსეთის მთელი სამეფო და შემდეგ კი – სიცოცხლეუც; და აი, შეიქმნა ახალი, ბერძნულ-ელინური სამყარო, მაკედონელის ახალი იმპერია და ჩვენ ისევ დაგვეცნენ თავს. მაკედონელმა კავკასიის დასამორჩილებლად თავისი ერთ-ერთი მხედართმთავარი, ქართველური წარმომავლობისა და ბერძნულად გაზრდილი, არიან-ქართლის მეფე იარედოსის ვაჟი, აზონი, გამოაგზავნა, რომელიც წარმოშობით ქართლიდან, არიან-ქართული მიწა-წყლიდანაა.

ქუჯი – ფარნავაზი, მოულოდნელი იყო ჩემთვისაც, როდესაც პირველად გავიგე, რომ ცბიერი, სისხლისმოყვარული და ბოროტი აზონი ქართველური მოდგმისა ყოფილა.

ფარნავაზი – ასეა ეს, ქართველური მოდგმისაა. – სპარსეთი!

– ამ სიტყვით ჩვენ, ქართველნი და ბერძენნი, სპარსელთა ქვეყანას მოვიხსენიებთ, ისინი კი თავის ქვეყანას სპარსეთს არ ეძახიან, არამედ – ირანს; არიან-ქართლიც ირანის ქართლს და არიან- ქართველთა წარმომავლობის ადგილს ნიშნავს. სწორედ არიან- ქართლია ქართველთა წარმომავლობის აკვანი, რომელიც უკვე დიდი ხანია, ჯერ სპარსეთს ეპყრა და ამჟამად კი ბერძენთ უპყრიათ. სხვადასხვა დროის დამწერლობა-ენისა და ასოთანწყობის მიხედვით, ამ მინა-წყალს ძველი ასურელები და ურარტულები – დაია, დიაოს ეძახდნენ. ძველი ბერძენები და ახალი ბერძენები – აია, ტიაოს და ტაოდ მოიხსენიებდნენ. აზონს კი ქართველური წარმომავლობის აღარაფერი აღარა აქვს შემორჩენილი. მისი ლაშქარი და ჯარიც შემადგენლობით ჭრელია, მას ჯარში ბერძენებიცა ჰყავს და გაბერძენებული პონტოელი ქართველური ქართველური წარმომავლობის ხალხიც. აზონმა აღასრულა მაკედონელის დავალება, მთელი კავკასია დაიპყრო და დაიმორჩილა, ყველა მოხარკედ გაიხადა და ყველას გადასახადი დაადო. თვითონ კი ქართლის გულში, მცხეთაში დაჯდა. ამგვარად მოექცენ ეგრისიცა და ქართლიც ელინური სამყაროს ახლად შექმნილ უზარმაზარ სივრცეში – ინდოეთიდან ბერძენული და ეგვიპტური მინების ჩათვლით. არავინ იცის, რამდენ ხანს გასტანს ამხელა, უზარმაზარი სამყაროს არსებობა. ძალიან დიდი ხანი იარსება ასურეთმა, ურარტუმ, ეგვიპტემ და სპარსეთმა, მაგრამ დაეცნენ. მუდმივი არაფერი არსებობს ამქვეყნად. ყველაფერი წარმავალია და შემდეგ ახალი მოდის. მაკედონელის მიერ შექმნილი უსაზღვროდ დიდი ქვეყანა ნელ-ნელა ინგრევა და მომავალში საბოლოოდ დაინგრევა. მაკედონელის მონამვლით სიკვდილის შემდეგ მისი ცხედარი ჯერ გაცივებულიც არ იყო, მისი ერთგული მხედართმთავრები ცოფიანი

ძალლებივით რომ დაესივნენ და დაერივნენ ერთმანეთს ქვეყნის დასაყოფად და დასაჯიჯგნად; დიდი, სისხლისმღვრელი ომები დღემდე გრძელდება და კიდევ დიდხანს გაგრძელდება. ხუთიოდე წელიც არ იქნება გასული, რაც მუხანათურად მოკლეს მაკედონელის 13 წლის შვილი ალექსანდრე IV და დედამისი როქსანა. ამგვარად მოსპეს თვრამეტი წლის წინ მონამღული, დიდი მაკედონელის მიერ შექმნილი იმპერიაც და დინასტიაც, ახლა კი ყოფილი დიდი სამეფო კიდევ უფრო დაქუცმაცდა და დაიყო. სწორედ ახლაა ჩვენი დროც! სწორედ ახლა უნდა ვიმოქმედოთ!

**ქუჯი** – ბრძნული გადაწყვეტილებაა, ფარნავაზ, ახლა ჩვენთვის არავის სცალია. აზონს თუ წინ აღვუდგებით, მისი დამხმარე არავინ არის; ერთადერთი, შეიძლება ვიგრაუდოთ, რომ საბერძნეთის მეფე დაეხმაროს აზონს, რადგან იგი მას ემორჩილება, მაგრამ არა მგონია, ყველა თავის ომშია ჩაბმული და აზონს ჯარს არავინ გამოიუგზავნის.

**ფარნავაზი** – მაშ, გავერთიანდეთ და წინ აღვუდგეთ აზონს, ჩვენი ქვეყნების გასათავისუფლებლად! (აიღებს სასმისს და მოსვამს ოდნავ).

**ქუჯი** – ჩვენი ქვეყნები ორ ზღვას შუა მოთავსებული, ძირითადი საფრთხე, თითქმის ყოველთვის, ჩვენთვის სამხრეთი-დანაა მოსალოდნელი და ამიტომ მომავალში, აზონის განდევნის შემდეგ, უპირველესად სამხრეთი ზღუდეები გვექნება გასამაგრებელი.

**ფარნავაზი** – მართალი ხარ, ქუჯი. მტერი ჩვენთან თითქმის ყოველთვის სამხრეთიდან შემოდის. ახლო მეზობელი ქვეყანა ბევრად უფრო საშიშია, ვიდრე შორეული ქვეყანა. რაც უფრო ძლიერია ახლო მეზობელი, მით უფრო საშიშია იგი. ყოველთვის მოლოდინში უნდა იყო, როდის დაგეცემა და წაგართმევს სახლ-კარს. ჩრდილოეთით შედარებით მშვიდად ვართ, რადგან მაღალი კავკასიონის მთების მიჯნაზე ჩვენი მონათე-სავე ხალხები ცხოვრობენ. წარღვნისეული ნოეს მეორე ვაჟის, იაფეტის შთამომავლის, თარგამოსის რვა შვილთაგან, ძმანი იყვნენ – ქართლოსიც, ეგროსიც,

კავკასიონც და ლეკოსიც. აზონის წინააღმდეგ ბრძოლაში მათი შთამომავალნიც დამეხმარებიან. არც მომავალში შეგვიქმნიან ისინი ჩვენ საშიშროებას, თუ ძალიან არ გამრავლდნენ და არ გაძლიერდნენ. ამჟამად, პირიქეთა კავკასიონის მთების გადაღმა, ისინი დამცველი ზღუდე-ფარივით არიან ჩვენსა და ჩრდილოელ ბარბაროსებს შორის. დიდი საშიშროება კი სწორედ ჩრდილოელი ბარბაროსებია, რომლებიც არაერთხელ დასცემიან გავლით ჩვენს მინას საძარცვავად ადრეულ პერიოდში, მაგრამ ეს საშიშროება ძალზედ შორეული მომავალია, რადგან ველური ბარბაროსი თუ ქვეყანაში და სახლში შემოგივარდა, გაგძარცვავს, ვიღაცას მოგიყლავს, მაგრამ წავა, აუცილებლად ისევ წავა! დადგება დრო, როდესაც ეს ველური ბარბაროსები ძალზედ გამრავლდებიან, სახელმწიფოებრიობას შეიქმნიან, ქვეყნად იქცევიან და მათი ქვეყანა დიდად გაძლიერდება. აი, მაშინ კი მეტად საშიში იქნება ჩრდილოელი დიდი და ძლიერი მეზობელი. მაშინ ის საძარცვავად კი აღარ შემოვა ჩვენთან და შემდეგ ისევ წავა, არამედ შემოვა იმიტომ, რომ გაგანადგუროს და აქ დარჩეს! ქვეყანა და სახლ-კარი წაგართვას, მინა წაგდლიჯოს და მიითვისოს, მაგრამ ეს ძალზედ შორეული მომავალია, მანამდე კი შესაძლებელია, ელინური სამყაროს დაშლის შემდეგ, სხვა ახალი ძალები შეიქმნას და ის ძალები დაემუქროს ჩვენს ქვეყნებს. ამიტომ ისე უნდა გავაძლიეროთ და შევკრათ ჩვენი ქვეყნების სიმტკიცე, რომ ყველაფერს გაუძლონ, რაც დღეს გველის, ხვალაც, მომავალშიც და ძალიან შორეულ მომავალშიც დაგვემუქრება, რომ ქართველი ერი, როგორც ერი, გადარჩეს, არ გადაგვარდეს და არ განადგურდეს!

ქუჯი – ფარნავაზი, დავუშვათ, რომ აზონთან ბრძოლაში ვერ გავიმარჯვეთ და დავმარცხდით, რა ვენათ მერე, ჩვენს ქვეყანაში სად უნდა გავიქცეთ; იქნებ ბრძოლის ველზე გმირულად დაცემა სჯობდეს; ან კიდევ, იქნებ წავილოთ ჩვენი ქონება და სიმდიდრე და კავკასიონის იქეთ გადავიხვენოთ?

## ბურნაძე გავიმარჯვოთ - თეატრის ლიკი პერსერვა

ფარნავაზი - დამარცხების უფლება არა გვაქვს, ქუჯი, აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ, ქართველთა ყველა კუთხიდან უნდა შევკრიბოთ ხალხი და შევქმნათ დიდი ლაშქარი. ოვსთა და დურძუკ-ლეკთა ლაშქრებიც ძალიან დიდი ძალაა, რომლებიც გვერდში დაგვიდგებიან, მთა და კახეთ-ჰერეთიც მზადაა საბრძოლველად. მცხეთაში, სარკინეში, საბრძოლველად იარაღი და აბჯარი უკვე იჭედება. ბერძენ მებრძოლთა ნაწილი დიდად უკმაყოფილოა აზონით, მათ ჩვენს მხარეზე გადმობირებას მე ჩემს თავზე ავიღებ.

ქუჯი - ფარნავაზ, დაახლოებით რა რაოდენობის ლაშქარს შეკრებ აზონთან საბრძოლველად?

ფარნავაზი - ქართლში, მცხეთა-მთიანეთში, რვა ათას ქვეით მებრძოლსა და სამი ათას ცხენოსან მხედარს შევკრებ, კახეთ-ჰერეთში - შვიდი ათას მებრძოლსა და ორი ათას მხედარს; დურძუკეთიდან და ოსეთიდანაც ათ-ათი ათასი მხედარი ჩამოვა. მთლიანობაში ოცდახუთი ათასი მხედარი და თხუთმეტი ათასი ქვეითი მებრძოლი მეყოლება. შენ რამდენი მოლაშქრის შეკრება შეგიძლია, ქუჯი?

ქუჯი - თხუთმეტი ათასი მოლაშქრის, რვა ათასი მხედრითა და შვიდი ათასი ქვეითი ჯარით.

ფარნავაზი - 55-ათასიანი ლაშქარი, მთელს კავკასიაში შეკრებილი, დიდი ძალაა. მაკედონელი 45-ათასიანი ლაშქრით შეება სპარსეთის მეფეს, დარიოსს. ზოგიერთ ბრძოლაში მაკედონელთან შედარებით დარიოსს სამჯერ მეტი ჯარი ჰყავდა, ზოგიერთ ბრძოლაში კი - ხუთჯერ მეტიც, და თან განუსაზღვრელი შესაძლებლობები გააჩნდა, მაგრამ მაკედონელთან ყოველ ბრძოლაში დარიოსი დამარცხებული რჩებოდა. აზონი აღბათ დაახლოებით 30 ათასამდე ჯარს თუ შეკრებს. ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ, დამარცხების უფლება არა გვაქვს, აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ!

ქუჯი - ძალიან დიდი სიფრთხილე გვმართებს, რომ საბრძოლო სამზადისმა აზონის ყურამდე არ მიაღწიოს.

ფარნავაზი - დიდი სიფრთხილეც და დიდი სისწრაფეც, ლაშქრის შესაკრებად, თორემ აზონი, თუკი გაიგებს, რომ

მის წინააღმდეგ შეთქმულება მზადდება, მაშინვე ლაშერით თავს დაგვეცემა. (სიცილით) შენი არ ვიცი, მაგრამ მე თავი მხრებზე არ შემრჩება, მით უმეტეს, თუ ბერძნებმა გაიგეს, რომ მე სამარას ტახტის მემკვიდრე ვარ.

**ქუჯი – რა კაცია აზონი, როგორია იგი?**

**ფარნავაზი – როგორ გითხრა, ქუჯი, აზონი არის თვითკმაყოფილებით სავსე და შინაგანად მოსაბეზრებლად ცარიელი; არავის არ ენდობა, ყველას ეჭვის თვალით უყურებს. კარგი მებრძოლია, მაგრამ უკვე ასაკოვანია.**

**ქუჯი – მის გვერდით ამდენი ხანი როგორ გაძელი, რომ ვერავინ გაიგო, ვინცა ხარ?**

**ფარნავაზი – დროის ამბავი იყო, ქუჯი, ადრე თუ გვიან აზონი მაინც გაიგებდა, ვინცა ვარ, ბევრი ხალხი ჰყავს მოსყიდული და დაშინებული, რომლებიც მის სამსახურში არიან.**

**ქუჯი – კარგი ჰქენი, რომ დროზე გამოერიდე.**

**ფარნავაზი – კი, ნამდვილად დრო იყო განრიდებისა, უფალმაც ინება, ხელი მოემართა ჩემთვის და წინაპართა ჩემთა განძი ჩემს ხელთ მოეცა. ამიტომ ვარ ახლა აქ შენთან (დარბაზის სარკმლებიდან შემომავალი ხმაური ფარნავაზს სიტყვას აწყვეტინებს. სასახლის გარედან მოისმის ცხენების ფლოქვების ხმა, რკინა-აბჯარმუზარადის უღრიალი და მხედართა შეძახილები).**

**ქუჯი – (წამოდგება, სარკმელს მიუახლოვდება) ჩემი ლაშქარი წვრთნა-მზადებიდან ბრუნდება.**

**ფარნავაზი – (სარკმელს მიუახლოვდება) კარგად შეიარაღებული და განვრთნილი ჯარი ჩანს.**

**ქუჯი – შენი წერილის მიღებისთანავე შევკრიბე ჯარი და საბრძოლველად წვრთნა და მომზადება დავაწყებინე (ქუჯი მაგიდისკენ მიანიშნებს ფარნავაზს, შემდეგ რატის გახედავს, ისევ ფარნავაზს მოუბრუნდება და დასხდომას შესთავაზებს). ფარნავაზ, ოვსთა და დურძუკთაგან ჯარის დაქირავება, ალბათ, ძალიან ძვირი გიჯდება და გელირება. ჩემს ჯარს თუ მოგცემ, მე საზღაურად რას მივიღებ?**

**ფარნავაზი – (გაკვირვებული შეხედავს ქუჯის, შემდეგ ბაქარს გახედავს, თავს დაუშვებს, დაფიქრდება) ქუჯი,**

მე აქ სავაჭროდ არ ჩამოვსულვარ შენთან. ლაშერის შესაქმნელად და შესაკრებად კი რამდენსაც საჭიროდ ჩათვლი, იმდენი ხვასტაგი მოიხმარე, რასაც მეტყვი, იმდენს მოგცემ, რაც შეეხება ოვსთ-დურძუკთა ლაშერს, ისინი უსასყიდლოდ იბრძოლებენ, ოღონდ კი გათავისუფლდნენ აზონის მძიმე უღლისგან.

ქუჯი! – (ბოლთას სცემს დარბაზში) საწყენად არ მითქვამს, ფარნავაზ, მე ჩემი გეგმები მაქვს. ბრძოლის შემდეგ, აზონი თუ დავამარცხეთ, მე დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ ჩემს ქვეყანას ახალი საშიშროება არ დაემუქრება და ეგრისს თავს არავინ დაესხმება. ამიტომ ზურგი ძლიერად და მყარად უნდა მქონდეს გამაგრებული.

ფარნავაზი! – (ფეხზე წამოდგება) ვის გულისხმობ, ქუჯი, პირდაპირ მითხარი. თუ გგონია, რომ ქართლი ეგრისს დაეცემა ან მე შენ გილალატებ, ეს ჩემთვის უკვე დიდი შეურაცხყოფა!

ქუჯი! – (მოღიმარი ჩამოჯდება, ფარნავაზსაც მიანიშნებს, დაბრძანდიო) დამშვიდლი, ფარნავაზ, მე ჩემს ქვეყანაზე და ჩემს ხალხზე ვფიქრობ, ჩემი ხალხის მომავალი მაფიქრებს და მანუხებს, ამიტომ სიფრთხილე მმართებს. მე ხომ არ ვიცი, ფარნავაზ, ძალაუფლების დაპატრონების, ქართლის ტახტზე ასვლის შემდეგ როგორი გახდები, შეიცვლები თუ ისეთივე დარჩები, როგორსაც ახლა გიყურებ, ჩემ თვალწინ; ან, ხომ შესაძლებელია, შენ რამე დაგემართოს და შენ მაგივრად ქართლის ტახტზე სხვა ვინმე, გამოუცნობი ზრახვების მქონე კაცი მოვიდეს? ბიძაშენის, სამარას, ნინამორბედი ქართლის მმართველი, რომელიც შენც ბაბუად გეკუთვნოდა, გაგონილი გექნება, როგორ იმორჩილებდა ურჩ სოფლებსა და მიწებს. ცეცხლითა და მახვილით გაუბედურებულ-დანიოკებული ხალხი ტყეებს აფარებდა თავს და ისე იბრძოდა. მაშინ გაიცა ბრძანება და ჯარმა ტყეს ალყა შემოარტყა, ტყე ცეცხლს მისცეს და ხალხი ცოცხლად ამობუგეს ცეცხლ-ნაკიდებულ ტყეში. ცოცხლად დაწვეს, ფარნავაზ, ცოცხლად!

ფარნავაზი! – მეც გაგონილი მაქვს ეგ შემთხვევა. გულახდილი საუბარი გვაქვს, ქუჯი, და მეც პირდაპირ გეტყ-

ვი, ხალხზე ზრუნვა და კაცთა ბედნიერ მომავალზე ფიქრი ძალიან კარგია, მაგრამ ნუ დაივიწყებ იმასაც, ქუჯი, შენს მოსვლამდე რა ხდებოდა ეგრისში; რამ-დენიმე წლის განმავლობაში შიმშილით გაწყდა ეგრისის მოსახლეობის თითქმის ნახევარი, რადგან ხალხს გადასახადებისაგან სულს ხდიდნენ, ყველაფერს ართ-მევდნენ, უკანასკნელ ლუკმა-პურს აცლიდნენ და შიმ-შილისგან გაწყვეტილ ხალხს სოფლად ტურა-მგელი ხრავდა, რადგან მიცვალებულთა დამმარხველიც კი აღარავინ იყო. (გაბრაზებით) ხალხზე და ერზე ფიქრი და ზრუნვა კარგია და სანაქებო, მაგრამ ხალხის ჩათვლით, აუცილებლად ერისა და ხალხის ჩათვლით! ყველა ქვეყანამ თავის მიწა-წყალს უნდა მიხედოს, იზრუნოს და თავის მიწა-წყალზე მოძლიერდეს, მაშინ ასეთ ქვეყანას დიდი ხნის არსებობა უნდერია. ქვეყანა, რომელიც სხვა ქვეყნების დაპყრობას დაიწყებს და დიდ სამეფოდ გადაქცევას დააპირებს, დასაღუპადაა განწირული, რადგანაც მთელ თავის ძალებსა და შესაძლებლობებს დახარჯავს, თავის ხალხს გადაანანილებს და დაქსაქსავს უზარმაზარ სივრცესა და ტერიტორიაზე. ასეთმა დიდმა სამეფომ მცირე ხანი შეიძლება იარსებოს, მაგრამ შემდეგ გადანანილება-დაქუცმაცება ელის უეჭველად და სავსებით შესაძლებელია, შენი საკუთარი, ყველაფრისგან დაცლილი ქვეყანაც კი დაკარგო ისევე, როგორც გაქრა ერთ დროს მძლავრი ხეთთა სამეფო. ასე რომ, პატარა ქართლმა თავის თავს უნდა მიხედოს, და თუ ოდესმე ქართლმა მოინდომა და მაკედონელის მსგავსად დიდი იმპერია-სამეფოს შექმნა მოინადინა, სწორედ ეს იქნება ქართლის დასასრულის დასაწყისი. დაპყრობა არა, მაგრამ მომავალში კი არის შესაძლებელი, რომ ერთი და იგივე ერი და ხალხი, ერთმანეთის მოძმენი, ერთ სამეფოდ გაერთიანდნენ და გაძლიერებულნი, ერთმანეთის მხარდაჭერით, მუდმივად იყვნენ ამქვეყნად.

**ქუჯი** – (წამოდგება, გაივლ-გამოივლის და პირდაპირ შეხედავს ფარნავაზს) ფარნავაზზ, დავუშვათ, რომ ეგრისი და ქართლი ერთ სამეფოდ გავაერთიანეთ; არ დაველო-

## ბურთ ხალაციზალი - თეატრისლური პესები

დოთ მომავალს და აღმოსავლეთი და დასავლეთი, ქართლი და ეგრისი ერთ სახელმწიფოდ შევკრათ. შენ თანახმა იქნები, რომ გაერთიანებული ორი ქვეყანა, აქედან, ციხეგოვიდან, მე ვმართო, როგორც არსებულმა ხელისუფალმა, რომელსაც ძალაუფლება უპყრია ხელთ, და ციხეგოვი ორივე გაერთიანებული ქვეყნის დედაქალაქი გახდეს?

ფარნავაზი – (სავარძლიდან ალელვებული წამოიჭრება და ბაქარს შესძახებს): ბაქარ, ტყუილად ვკარგავთ დროს! აქ, როგორც ვატყობ, სავაჭროდ უფრო ჩამოვსულვართ, ვიდრე საქვეყნო საქმეზე.

დარბაზში დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდება, რომელსაც მოულოდნელად შორეული ჩანგის ულერადობა და ქნარზე თან დაყოლილი ტკბილი ლილინი არღვევს.

### ნანის სიმღერა

**Lento**

ნა - ნი - ნა - ო, ნა - ა - ნი - ნა - ო,  
ნა - ნა, ნა - ნა, ნა - ნი - ნა.

ჩანგი ან  
არგა

ქუჯი რატის გახედავს, რატი მხრებს აიჩეჩავს.

ბაქარი – (გალიმებული) ნანი მღერის, ფარნავაზის უმცროსი და (ოთხივე მამაკაცი, ფეხზე მდგომნი, ცოტა ხანს უსმენენ ნანის ტკბილ ლილინს ქნარზე).

ქუჯი – ფარნავაზ, მსმენია და ვიცი, როგორ ეხმარები მცხეთაში ობლებს და გაჭირვებულებს და ისიც ვიცი, როგორ გაფასებენ და როგორ უყვარხარ შენს ხალხს.

ფარნავაზი – მე აურაცხელი სიმდიდრე გამაჩნია და შემიძლია ნებისმიერ ქვეყანაში და ნებისმიერ მხარეს წავიდე, უზრუნველად, მეფურად ვიცხოვო და ასე გავლიო ჩემი წუთისოფელი, მაგრამ, ამის ნაცვლად, დიდ საფრთხეში ვიგდებ თავს, რადგანაც ჩემი ქვეყნის, ერისა და ხალხის მომავალი უფრო მაღელვებს, ვიდრე საკუთარი თავი.

უკმაყოფილოა ხალხი, როცა იგი გაჭირვებულია, გაჭირვებული კაცი კი ფიქრს იწყებს; ხალხი როცა ფიქრს იწყებს, საშიში ხდება. ქვეყნის მმართველს თუ სიმშვიდე უნდა თავის ქვეყანაში, ხალხი უკმაყოფილო არ უნდა ჰყავდეს. აზონს ამდენი არ ესმის და ამიტომ მისით უკმაყოფილო ხალხი ჩვენს სასარგებლოდ უნდა გამოვიყენოთ, არა აქვს მნიშვნელობა, ქართველი იქნება თუ სხვა ერისა და ჯურის კაცი, რომელიც გვერდში ამოგიდგება საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, რადგანაც თავისი გაჭირვებისა და უკმაყოფილების დასასრულს ის კაცი შენს გამარჯვებაში ხედავს. ხალხი ჩვენგან ელის თავის გადარჩენას და სადაც წავალთ, თან გამოგვყვება (ფარნავაზი ჩაფიქრებული მძიმედ დაემვება ტახტ-სავარძელში).

ქუჯი – (სასმისი თასები ღვინით შეავსო. ერთი ფარნავაზს მიანოდა, მეორე თვითონ აიღო და სავარძელში ჩაჯდა) მართალს ბრძანებ, ფარნავაზ, ხალხი ჩვენ შემოგვცერის და მოლოდინშია. მე და შენ საერთო ენა უნდა გამოვნახოთ, აუცილებლად უნდა გამოვნახოთ და წინ ვიაროთ; წინ უნდა წავიდეთ, თუმცა სადაც არ უნდა წავიდეთ, მუდამ ერთად უნდა ვიყოთ და ერთად ვიაროთ.

ფარნავაზი – ქუჯი, ჩვენი ქვეყნების დღევანდელ დღეზე ფიქრით, ჩვენი ერის მომავალზე ვფიქრობთ. დღეს ჩვენ მიერ ჩაყრილი საძირკველი და საფუძველი ქართველი ხალხისა და ქართველი ერის მომავალია, თუ, რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყანა ისტორიის ქარბორბალასა და დროის ორომტრიალს გადაურჩა. მთავარი ეს არის და არა ის, დღეს გაერთიანებული ქართლისა და ეგრისის მეფე შენ გახდები თუ მე!.. გაერთიანებული ქართლ-

ეგრისის დედაქალაქი მცხეთა იქნება თუ ციხეგოჯი!.. დღესდღობით მცხეთას, როგორც დიდ საგაჭრო ცენტრს, ბევრ ქვეყანაში იცნობენ, რადგან ძალზე ხელ-საყრელ ადგილას მდებარეობს. მცხეთაში უამრავი სხვადასხვა ჯურისა და ერის ხალხი ცხოვრობს, სხ-ვადასხვა ენაზე და კილოკავზე მეტყველებენ. მცხე-თაში ყოველდღიურად გაიგებ ქართულ, ბერძნულ, სპარსულ, სომხურ, ებრაულ, არამეულ და კიდევ მთის ზოგიერთი ხალხის ენებზე საუპარს. ციხეგოჯი თუ გაერთიანებული ეგრის-ქართლის დედაქალაქი გახ-დება, მცხეთაში შესაძლებელია ეს ხალხი აღსდგეს ქალაქის ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად და ეს ბრ-ძოლები – ქართველებს, ბერძნებს, სპარსელებსა და კიდევ სხვათა შორის დიდი ხანი შეიძლება გაგრძელ-დეს; მცხეთა ქართლის შუაგულია და მცხეთიდან ქვეყნის მართვა ყველა მიმართულებით უფრო ადვილი და მოსახერხებელია. დღესდღობით მცხეთა ძალზე მნიშვნელოვანი ქალაქია. მომავალში კი თვით ერმა და მომავალ თაობათა მმართველებმა გადაწყვიტონ, სად გადაიტანონ ან დააარსონ ახალი დედაქალაქი.

**ქუჯი** – ფარნავაზ, დავუშვათ და გავაერთიანეთ ქართლი და ეგრისი. შენ როგორ მოაწყობდი და გამართავდი ქვეყ-ანას?

**ფარნავაზი** – ამის შესახებ ძალიან ბევრი მიფიქრია, ქუჯი, ქვეყანა საერისთავოებად დაიყოფა, ყოველ საერი-სთავოს ერისთავი ჩაუდგება სათავეში, რომელსაც ათასისთავები დაემორჩილებიან; ათასისთავები კი – საერისთავოთა მიწა-წყლისა და იქ მცხოვრები ხალხის მოყურადღებ-მიმხედვინი და პასუხისმგებელ-ნი იქნებიან, მშვიდობიან დროს თუ საომარი მდგო-მარეობისას. ყველა ერისთავი ერთ დიდ მთავარს – ერისთავთ-ერისთავს დაემორჩილება, რომელიც ამავე დროს იქნება გაერთიანებული ქვეყნის მთავარი სპას-პეტი, მხედართმთავარი, და მეფის შემდეგ მეორე კაცი ქვეყანაში.

**ქუჯი** – ღმერთებს რას უპირებ, ფარნავაზ? ამდენი ერისა და სხვადასხვა რწმენის ხალხს როგორ დაიმორჩილებ?

აზონის მიერ შემოტანილ ძველ ბერძნულ ღმერთებსა და შემდეგ ახლად დაფუძნებულ, გაცისა და გაიმის ღმერთებს რას უპირებ? (ქუჯი წამოდგება და ფარნავაზის მოპირდაპირედ ჩამოჯდება მაგიდასთან).

**ფარნავაზი** – არა მარტო ამ ღმერთებს, რაც შენ ჩამოთვალე, ქუჯი, არამედ კიდევ ბევრ სხვა ქართულ ღმერთს სცემენ თაყვანს, რომლებიც ოდითგანვე არსებობდნენ: ნადირობის ქალღმერთ დალის, ტყის ღმერთ ოჩოპინტრეს, მინის, ნაყოფიერების, წვიმისა და კიდევ მრავალ სხვა ღვთაებას. ყველა ამათ დაუმატე ებრაელთა ღმერთი, სპარსელთა ზარატუსტრას მიერ შექმნილი ღმერთი და რელიგია, რომელსაც ისინი ზოროასტრიზმს ეძახიან, ჩვენ კი ცეცხლთაყვანისმცემლობით მოვიხსენიებთ და სხვა მრავალი კერპები. მცხეთაში, ქართლის მთაზე, აზონმა თავის მიერ აშენებულ აკროპოლისში, რომელიც სამეფო სასახლის მახლობლად მდებარეობს, ჯერ ბერძნული ღმერთები და ქალღმერთები მოათავსა, ბერძნული ათენის აკროპოლისის მსგავსად, შემდეგ კი აკროპოლისის პანთეონში ახალი ღმერთები განალაგა – მოვერცხლილ-მოქროვილი გაცი და გაიმი, რომლებიც სიმბოლურად კაცსა და ქალს გამოსახავენ. სწორედ ამ ადგილას დავდგამ ახალ ღმერთს, მრისხანეს და ძლიერს, მახვილალმართულს, ძვირფას აბჯარასახმულ მებრძოლს, რომელიც მთავარი ღვთაება, ჩვენი ერისა და ქვეყნის თავისუფლების სიმბოლო იქნება. სახელად ერქმევა „არმაზი“ და იქნება ჩვენი მთავარი ღმერთი; ის დაგვიცავს მტრის შემოსუევებისაგან, ქვეყნის აოხრება-განადგურებისაგან და ყოველი კაცისათვის ვაჟკაცობისა და მხნეობის სიმბოლო, იმედის მიმცემი იქნება სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლასა და მისთვის თავდადებაში! (ფარნავაზი ფანჯარას მიუახლოვდა და დალამებულ კოლხეთის ცას მიაპყრო მზერა).

**ქუჯი** – ფარნავაზი, ძველი კოლხური დამწერლობა აღარ არსებობს; ეგრისსა და ქართლში ბერძნული და ძველარამეული დამწერლობა იხმარება, სალაპარაკოდ კი ქართული ენა და რამდენიმე შიდასახმარი, განსხვავებუ-

ლი ენა-კილოკავი გვაქვს, ამის შესახებ თუ გიფიქრია? ფარნავაზი – (მოტრიალდება ქუჯისკენ) რა თქმა უნდა, ქუჯი, ბერძნებს როცა განვდევნით და გავათავისუფლებთ ჩვენს ქვეყანას, შემოვიდებთ და დავაწესებთ ქართულ დამწერლობას!

რატი – (გაკვირვებით) ქართულ დამწერლობას?

ფარნავაზი – დიახ, ქართულ დამწერლობას!.. ახალ ქართულ დამწერლობას!.. (ფარნავაზი ბაქარისკენ წავიდა და მხარზე ხელი დაადი) ჩემი და ბაქარის ოჯახები ბავშვობიდან მთაში ერთ ოჯახად ვცხოვრობდით და ერთად ვიზრდებოდით. ჯერ კიდევ სხვადასხვა ენისა და წერა-კითხვის სწავლის პერიოდში ჩვენი და ჩვენი დების ძალისხმევითა და დედაჩემის დახმარებით მოვინდომეთ, რომ ახალი ქართული დამწერლობა შეგვექმნა. შევაგროვეთ ამჟამინდელი და ძველთაგან არსებული ქართული დამწერლობის მსგავსი რამდენიმე ნიმან-მითითება, ბევრიც ჩვენ ახლად მოვიგონეთ; ჩვენმა დებმა ახალ ასოთა წყობას ლამაზი დამწერლობითი ფორმა და სახე მისცეს და ამგვარად შევქმნით ჩვენი ახალი ქართული დამწერლობა. აზონის განდევნის შემდეგ ბერძნულ ასოთა წერა აღარ იქნება; შემოვიდებ ქართულ მთავარასოთმწერლობას (ფარნავაზმა ხელისგული მაგიდაზე მსუბუქად დაჰკრა, სავარძლისკენ წავიდა და შიგ ჩაჯდა).

ქუჯი – ფარნავაზ, შენი წერილის მიღების შემდეგ მე და რატი დიდხანს ვძჭობდით, თუ რა გადაწყვეტილება მიგველო და რა გზა აგვერჩია ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის. შენ შესახებ მხოლოდ ბაქარის მონაცემლით შევიტყვეთ, ვინა ხარ და რა მიზან-ჩანაფიქრი გაგაჩნია. გადავწყვიტე, პირადად მენახე, გამეცანი, მომესმინა შენი ნააზრევი, ნუ მიწყენ და, შეგნებულად, განზრახ ისეთი პირობები დაგიყენე და ისეთი სახის შეკითხვები დაგისვი, რომელიც უხერხულობაში და გამოუვალ მდგომარეობაში ჩაგაყენებდა, რადგანაც შენი გამოცდა და შემონმება მინდოდა, მაინტერესებდა შენი აზრი და სიტყვა-საქციელ-ქმედებანი. ჩემთვის ახლა ყველაფერი ნათელია, გასაგებია და დარწმუნებული

ვარ, რომ ჩემ წინაშე არის კაცი, რომელსაც თავის პირად კეთილდღეობაზე ბევრად უფრო მაღლა ქვეყნისა და ერის ინტერესები დაუყენებია!.. მე, ეგრისის მმართველი ერისთავი, რომელსაც ხელთა მაქვს ძალაუფლება და ძლევამოსილება, პატივისცემით ქედს ვიხრი იმ კაცის წინაშე, რომელიც დღეს, ამჟამად არაფერს წარმოადგენს, მაგრამ ხვალ ქვეყნის მეფედ, მმართველად და უფლად მოგვევლინება, რომელიც თავისი ქვეყნისა და ერის მომავალს მრავალსაუკუნოვანი, ასეული და ათასწლეულების დამტევი, შორსმჭვრეტლური ფიქრით განსჯის და მოიაზრებს, ამიტომ მე მზად ვარ გემსახურო, ფარნავაზ, ჩვენი უფლობა შენთვის დამითმია!..

ქუჯის ბოლო სიტყვებს ფარნავაზი ფეხზე წამომდგარი უსმენდა, ბაქარი იღიმებოდა, რატი კი თანხმობის ნიშნად თავს უკრავდა. ფარნავაზი მიუახლოვდა ქუჯის და ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ. შემდეგ ორივემ სასმისები აიღეს ხელში, თასები ზეალმართეს და წარმოთქვეს:

ქუჯი – ჩვენი ერთად დგომისა და გამარჯვებისა, ფარნავაზ!  
ფარნავაზი – ნამდვილად, ქუჯი! ჩვენი გამარჯვებისა და გაერთიანებისა, გამთლიანებისა და ერთ მუშტად შეკვრისა, საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად!

კმაყოფილი ქუჯი და ფარნავაზი ისევ სკამებზე დასხდნენ. ფარნავაზმა დადგა თასი მაგიდაზე და მოლიმარმა მიმართა ქუჯის:

ფარნავაზი – ქუჯი, შენი დახმარება ჩემს გამეფებაში, ტახტზე ასვლაში, ეს მხოლოდ ჩემთვის შენგნით განეული სამსახურია, მეტი არაფერი. ეს არ არის საკმარისი, რადგან შენ ბევრად უფრო მეტს წარმოადგენ ჩემთვის, ვიდრე შემწე და დამხმარეა, თუნდაც – სამეფო ტახტის დაუფლებაში. ამიტომ ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც ჩვენი დიდი წინაპრები და ძლიერნი ამა ქვეყნისანი – სხვადასხვა ქვეყნის მეფენი იქცეოდნენ. განვამტკიცოთ ჩვენი ურთიერთკავშირი სამუდამოდ

და სამარადჟამოდ! დავმოყვრდეთ და სისხლით დავნათესავდეთ!.. ცოლად მოგცემ დას ჩემსას, ნანის, რომელსაც, ნადიმისას შეგატყვე, ქუჯი, რომ ფარულად უმზერდი ხანდახან. ნადიმის დასრულებისას ხუმრობით ჩავეკითხე ნანის, ქუჯი თუ მოგწონს-მეთქი. ნანი აწითლდა, თანხმობის ნიშნად ერთხელ თავი დამიკრა და თავისი მოსასვენებელი ოთახისკენ გაიქცა სიცილით. შენც შეატყობდი ალბათ, ბაქარ, შენს დათშეზრდილს, ნანის (ფარნავაზი სიცილით გახედავს ბაქარს, რომელიც ღიმილით რამდენჯერმე თავს დაუკრავს ფარნავაზს).

ქუჯი – (მოულოდნელობისაგან ოდნავ შეცბუნებული, წელში გაიმართება) დავმოყვრდეთ, ფარნავაზ, დიდი სიამოვნებით დაგთანხმდები, შევუულლადე შენს დას და გავიხადო ნანი ეგრისის ტახტის თანამოზიარედ (ფარნავაზი და ქუჯი სიცილით წამოდგებიან და ნასიამოვნები კვლავ ერთმანეთს გადაეხვევიან).

ფარნავაზი – (სიცილით) ომისა და გამარჯვების შემდეგ დიდი ქორნილ-წვეულება გადავიხადოთ, დურძუკთა და ოვ-სთა მეფეთა თანდასწრებით. აი, მაშინ კი ეჭვიც ალარავის შეეპარება შენ მიმართ ჩემს ერთგულებაში, ყველა დარწმუნდება, რომ ქართლი არასოდეს ეგრისის დასაპყრობად არ აღსდგება. მე, ფარნავაზი, ხმალს ხომ არ ალვმართავ ჩემი საყვარელი დის, ნანის წინააღმდეგ?

ქუჯი – (გულიანად გაიცინებს) საკვირველია, ფარნავაზ, დღეს პირველად შევხვდით და ასე მგონია, თითქოს უკვე დიდი ხანია, ვიცნობდით და მუდამდღე ვნახულობდით ერთმანეთს.

ფარნავაზი – (სიცილით) ასეა ეს, ქუჯი, ნოეს მეცხრე შთამომავალ ძმათა – ქართლოსისა და ეგროსის ათასწლოვანი მემკვიდრეობა ვართ შენცა და მეც (ორივენი აიღებენ თასებს, მოსვამენ და ისევ მაგიდას მიუსხდებიან).

ქუჯი – ფარნავაზ, ეგრისის ტახტი, ხედავ, რომ ძლიერად მიპყრია და შინაური მტერიც ამჟამად არა მყავს, არც ჩემი მომრევი მეგულება ახლომახლო არავინ. მაგრამ

ეს ამჟამად, რადგან მომავალში რა იქნება, არ ვიცი. მე ჩემი კეთილდღეობა იმდენად არ მაწუხებს, რამდენადაც ჩემი ქვეყნის მომავალი; მუდმივად იმაზე ვფიქრობ, რა ბედი უწერია, რა მომავალი ელის ჩემს ქვეყანას ასწლეულებისა თუ ათასწლეულების შემდეგ. მეც იგივე სატკივარი მაწუხებს, რაც შენ – გადავრჩებით, როგორც ერი, თუ, ღმერთმა არა ქნას, გავქრებით და აღვიგვებით პირისაგან მიწისა; არადა, საწყენი და გულდასაწყვეტი იქნება! ისეთი ერი, ისეთი ხალხი, როგორიც ჩვენია – ხალხი, რომელსაც შრომისუნარიანობა, შრომის სიყვარული, სამშობლოს სიყვარული, ნიჭიერება, სილამაზე, სიმამაცე, გულისხმიერება, შეუპოვრობა, გულდადობა, კეთილი ზნე და ერთგულება უხვადა აქვს, ამ თვისებათა კიდევ უფრო გაღრმავებისა და განვითარების სანაცვლოდ, ისტორიულ დროებათა ნაგავსაყრელ სივრცეში რომ გაქრეს და გაუჩინარდეს, ან კიდევ სხვადასხვა დამპყრობელთაგან, დროთა განმავლობაში, რომ გაიხრწნას, გაირყენას და გადაგვარდეს, განა უბედურება არ იქნება? მე ვერასოდეს წარმოვიდგენ, რომ ოდესმე ჩვენი ერი ისე დაეცეს, რომ კეთილად შობილებმა დაჰკარგონ კეთილშობილება, მაღალი ზნეობა და ბარბაროსების მსგავსნი, მათსავით ქურდნი და მომპარავნი, კაცის მკვლელნი და მრუშ-მეძავნი გახდნენ; მე ვერასოდეს წარმოვიდგენ, რომ ქართველი კაცი, ადამიანი, ადამის მოდგმა ისე დაეცეს, ისე დაემცროს ველური ბარბაროსის დონემდე, რომ იკადროს და რაღაც მოიპაროს, გაძარცვოს, ადამიანი მოკლას და შეიწიროს. ასეთი კეთილი თვისებების, ლამის ღვთაებრივი ბუნების მქონე ადამიანმა, კაცი თუ გქვია, თავს როგორ უნდა აკადრო, რომ იქურდო, რაღაცა მოიპარო; ეს ხომ იგივეა, რომ შენს თავს სულში ღრმად ჩააფურთხო... აი, ეს არის ჩემი საფიქრალი და სადარდელი – არ გაქრეს ჩვენი ერი, ან კიდევ არ გადაგვარდეს, კეთილი და ღირსეული თვისებები არ დაკარგოს და ველური ბარბაროსების მავნე ჩვეულებანი არ აითვისოს და არ შეისისხლხორცოს... ამიტომ დღესვე ჩავუყაროთ საძირკველი

ჩვენი ერის გაძლიერებას, რომ ვერავინ მოგვერიოს, მტერმა ვერ წაგვიღებოს და ვერ გაგვანადგუროს. ერთ სამეფოდ და ერთ სახელმწიფოდ გავერთიანდეთ, სამარადუამოდ!

მე ნებაყოფლობით უარს ვამბობ ეგრისის სამეფოს ცალკე ქვეყნად არსებობაზე და ეგრისის ტახტს ჩემი ნებით ვაბარებ და ვუერთებ ქართველთა გაერთიანებულ სამეფოს. ჩემი ეს საქციელი სხვა ერის-თავებისთვის მაგალითი იქნება იმისა, რომ მომავალ გაერთიანებულ ქართველთა სამეფოში არასოდეს – არც აწმყოში და არც მომავალში – ვინმე ქედმაღლობითა და სიყოყოჩით გაგულისებულმა, გონებადაბინდულმა ერისთავმა არ მოინდომოს ქართველთა გაერთიანებული სამეფოდან გამოყოფა და ცალკე სამეფოდ შექმნა-ჩამოყალიბება!.. რაც შეეხება იმას, თუ ვინ იქნება გაერთიანებულ ქართველთა სამეფოს მეფე და სამეფო ტახტის მემკვიდრე-გამგრძელებელი, ეს ძალიან ადვილი გადასაწყვეტია; ნოეს შთამომავალნი – ქართლოსი და ეგრისი, ძმანი იყვნენ. ქართლოსი უფროს ძმად ერგებოდა ეგრისს, ამიტომ პირველობა ქართლოსის შთამომავალს ეკუთვნის!

ქართლოსიანთა ჩამომავალი მეფის სამეფოს საქართველო დაერქმევა და მისი პირველი მეფე შენ იქნები, ფარნავაზ! ასე გაერთიანდება ყველა ქართველურ-ეგრისული მიწები და პირველად შეიქმნება ახალი სამეფო-სახელმწიფო – საქართველო, ქართული ენით, დამწერლობითა და კანონმდებლობით, რომელსაც სათავეში ჩაუდგება ქართველი მეფე – ფარნავაზ I.

გაოცებული ფარნავაზი გადაეხვევა მოლიმარ ქუჯის. შემდეგ ორივენი სასმისებს აიღებნ მაგიდიდან. ქუჯი ზეაღმართავს თასს – გაერთიანებულ ქვეყანას და მის პირველ მეფეს, ფარნავაზ I-ს, დღეგრძელობა!

ფარნავაზი – (თასით, ხელანეული) გაერთიანებულ სამეფოს და მის მთავარ სპასპეტ-ერისთავს, ქუჯის, დღეგრძელობა!

რატი, ბაქარი – (გახარებულები) გაერთიანებული სამეფოსი! ფარნავაზისა და ქუჯის დღეგრძელობა!

დარბაზში მხიარული სიცილით გადახედავს ყველა ერთმანეთს.

ფარნავაზი – (მიუახლოვდება ქუჯის და მხარზე ხელს დაადებს) ჩემო ქუჯი, ისტორია, დრო განგვსჯის შენცა და მეც... და ქართველი ერი იქნება ჩვენი მსაჯული!

ქუჯი – ნამდვილად ასეა, ჩემო ფარნავაზ, დრო და ხალხია ჩვენი მსაჯული, ახლა კი დასვენება გმართებს, გვიანია, საცაა მამალი იყივლებს. მთელი დღის ნამგზავრი ხარ და (სიცილით) ხომ არ დაგავიწყდა, ხვალ რა გველის?

ფარნავაზი – (სიცილით) რა დამავიწყებს! ნადირობა, ქუჯი, ნადირობა!

ქუჯი – (ლიმილით) ნამდვილად, ფარნავაზ, შველზე ნადირობა.

ქუჯი და ფარნავაზი ნელ-ნელა დარბაზიდან გადიან, ბაქარი და რატიც უკან მიჰყვებიან მათ. თანდათან სცენაზე შუქი ქრება და რჩება მხოლოდ მაგიდაზე მდგარი სანთლების მკრთალი ნათება. ისმის ხმა:

ხმა ონ ოფ ფ – შენ, ჰე, ფარნავაზ, ჰქმენ ერთ-მთავრობა, შენ მოეც ქართველს წიგნი პირველი, შენ დაუმკვიდრე ერსა ერთობა და ერთობისა წესი და ძალი... გრიგოლ ორბელიანი

ფარდა

## **სარჩევი**

ნიკოლოზ ბარათაშვილი .....	3
სადილი.....	41
ფარნავაზი და ქუჯი .....	72